



ციბერი

№ 23 / 22 - 28 მარტი / 2010

- „იმედი“ თქვენი კათილდღეობისათვის **გვ. 16**
ცხინვალის რეაქცია: როცა ომში ვიყავით **გვ. 20**
მოდელირებული ომის ეროვნება **გვ. 24**
აგვისფოს ომი საქართველომ დაიწყო **გვ. 28**
ჯანსაღი პიზენესგარეონ საქართველოში – მითი თუ რეალობა? **გვ. 12**
რეპორტაჟი: დევნილები სტიქიას ეპრაცენ **გვ. 13**
აია „ჩვენი ხელი გიგა უგულავას“ **გვ. 30**
ოპოზიცია „ხალხის ლიდერის“ არჩევანს ელის **გვ. 33**

ISSN 1987-7528

9 771987 752008
ფასი 2.80 ლარი

მედია ფსკოლე

ფოკუსი
გვ. 16 - 27





თბილისი, ყვარელი, ლაგოდევი

FM 105.5

გორი, ქარელი, ხაშური

FM 103.0

ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრებია

FM 104.5

ურეკი, ერებულეთი, ბათუმი

FM 101.0

ვოთი, სენაკი, ზუგდიდი

FM 101.9



■ აქცია „იმედთან“ „იმიტირებული ქრონიკის“ შემდეგ, თბილისი, 13 მარტი 2010

ବ୍ୟାକରଣ:

- 02** რეაქტორი
04 მოკლედ
06 ვრცლად
08 ორაზრი
რას შეცვლის არველაძის
გადაფინავისა?
თინა ხიდაშელი N.S. ეკა
კვესიტაძე
10 **თვალსაზრისი**
შიშისა და განხერთებილების
გამოწვევა საქართველოს
ინტერესებს არ ემსახურება
მარკ მალენი
12 **მიმოხილვა**
ჯანსაღი პიზნესგარემო
საქართველოში – მითი თუ
რეალობა?
რეპორტაჟი
13 დევნილები სტიქას ებრძვია
ფუკუსი – მედია
16 „იმედი“ თქვენი
კეთილდღეობისათვის

- 19 პანიკა მოსახლეობაში
მასობრივი შოკი

20 ცხნოვალის რეაქცია
როცა ომში ციფაგოთ

22 ინტერვიუ გორგი
არველაძესთან
ზღვირი ანალიზსა და
პრიპაგნდას შორის არ
არსებობს

24 მოდელირებული ომის
ქრონიკა
მოქალაქეები V.S.
ქვეშევრდომები

27 თვალისწინეთი
სად არის კარგი პრესა, რო
ის ასე გვჭირდება?
მარტინ ნოგტონი
საუბრები ლენტალიზმზე

28 აგვისტოს ომი საქართველო
დაიწყო
პოლიტიკა

30 აპ „ჩევნი ხმა გიგი
უგულავას“

- 33 ოპაზიცია
ოპაზიცია „ხალხის
ლიტერატურის“ არქევეკნ ელის
უურნალისტური გამოძიება

36 წართმეული სიღნალი
**ადამიანის უფლბეჭი და
სამართლი**

39 ადგევაზური შეფასება
საზოგადოება

42 ინიციალები ბავშვების
ნაცვლად

45 **ჯანდაცვა**
ულიმიტო გრანტი კიბოს
წინააღმდეგ

47 **ძალების უფლბეჭი**
ცრუ თავშესაფარი
კულტურა

49 „მოითხოვეთ კარგი წიგნები
და მიღლებთ მათ“

50 პირებ სარკიზო „ჰიპ-ჰოპის
პრონცი“

51 ყველაფერი დედამისის
შესახებ

ქალაქში მოხეტიალე კაცის
ჩანაწერები

- 48 სამარშრუტო სექტენი

გარეპანზე:

მედია ფსკერზე
ილუსტრაცია: თათია ნადარეიშვილი



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION

უურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდი
„ლია საზოგადოება - საქართველოს“
მხარდაჭერით.



ՅՈՒՆԻՎԵՐՍԻՏԵՏԻ Վ.Տ. ՀՅՈՒՅՈՒՆԻՑԱԿԱՆ ԽՈՐՀՈՒԹՅՈՒՆ

(ნაცვლები სტატიიდან)

პოლიტოლოგიაში არსებობს ტერმინი – იმპ-ტირებული დემოკრატია. ეს მმართველობა არც დემოკრატიადა და არც სრული ავტორიტა-რიზმი. ამ სისტემაში არსებობენ „მოქალაქეებიც“ და „ქვეშევრდომებიც“, სისტემაც იმად ჩამოყალიბდება, რომელი ჯგუფიც საბოლოოდ გადაძლევს.

არეველაძეს და ნამალაშვილს არ უარყოფიათ, რომ მათ შორის სატელეფონო საუბარი შედგა; პრეზიდენტი არ გვიხსენებიათ, — თქვენს. თუმცა „ქვეშევრდომ“ შორს ნავიდა და თქვა: არსებობს სპეციალური პროგრამა, რომლის მეშვეობით და 33 ბერის საშუალებით, ნებისმიერი პირის ხმის მიმსგავსება და ჩანერა შეიძლება; აქეანა გამომდინარე, ეჭვი მაქვს, სატელეფონო საუ-ბრენები ფალსიფიკირებულიათ.

ქვეყნის უსაფრთხოება, რომლის ვითომდა გადასარჩენადაც იყო მოწოდებული „მოძღვი-რებული ქრონიკა“, მოქალაქეების კონსოლიდა-ციით ოწყება. 1920 წელს ქვეყანა „ბოლშევიკე-ბად“ და „მენშევიკებად“ გაიყო, გამსაზრდისა დროს „ზოადისტებად“ და „დემოკრატებად“. თვალსაჩინოა ეს გაყოფა დღესაც:

„მოქალაქეს“ მიაჩინა, რომ ქეყვანა არადე-
მოკრატიულია. მას პასუხობდნენ: რა დროს დე-
მოკრატიაა, როცა ტერიტორიული მთლიანობა
გვაქვს აღსაფერი?! მედია არ არის თავისი უფა-
ლი – აბა, „მაგისტრო“ და „კავკასია“ რა არის?!
არჩევნები გაყალბდა – ჩვენი პრეზიდენტი უალ-

ტერნატიყოვა! 7 ნოემბერს ხელისუფლება ძალის
გადამეტებით საკუთარ მოსახლეობას სასტიკად
გაუსწორდა - 7 ნოემბერს სახელმწიფოებრიობა
გადარჩა! ომი წაგავთ - ომი მოგივგთ, რად-
გან დამოუკიდებლობა შევინარჩუნეთ; მერე რა,
რომ ორი რაიონი დაცვარებული არ არის
არ არის თავისუფალი - ამას კრიმინალური ამ-
ბობენ, იმიტომ რომ ფულით საქმეებს ვეღარ
აკეთებენ! კერძო საკუთრება დაცული არ არის
- განა შეგრჩებოდათ?! რატომ ვერ მივიღეთ
ნატო-ს ბუქარესტის სამიტზე „მაპი“? - „მაპზე“
უკეთესი მივიღეთ! რატომ არ გავრცელდა ნუ-
ლოვანი ტოლერანტობა გირგვლიანის, რობაქი-
ძის, ვაზაგაშვილის და სხვათა მკვლელებზე? -
პასუხი არ არის.

დღეს ქვეყანა ამ ნიშნითაც გაიყო და ყველა
მოვლენას „ქვეშევრდომები“ იმის მიხედვით
აფასებენ, მოეწონება, თუ არ მოეწონება მათი
პოზიცია ხელისუფლების მეთაურის. „მოქალაქე-
ებს“ აყვედიან, ან „იმიტირებულმა ქრონიკამ“
როგორ შეგაშინათ. პუნქტოვია, რადგან „ქვე-
შევრდომს“ ლირსებას ვერავინ შეულახავს, მათ
ის მაშინ დათმეს, როცა არჩევანი გააკეთეს.
ამიტომ, „მოქალაქეების“ აღშფოთება „ქვეშევრ-
დომებს“ ძალიან აღიზიანებთ.

ბესო კურტანიძე,
ჟურნალისტური გამოძიების
განყოფილების რედაქტორი

გამოიყენეთ კვირის შემთხვევაში ერთხელ, ყოველ ღრმაშობათს. პირველი ნომერი გამოიცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2,80 ლარი.

www.liberali.ge

3

2



caravan

ლოტენის ჭურიმები წალე

სიახლე
13-დან 16 საათამდე
4 განსხვავებული
პიზეს ღარე მანუშ
ფასი: 15,99 ლარი

საუკეთესო ადგილი: გაფევირთვისთვის,
ლიტ-სალამოებისთვის, კონკრეტული
შეარეაბისთვის.

სამზარეულო: აზიურ-ევროპული
ადგილების რაოდენობა: 90
მისამართი: ა. ფურცელაძის №10
ტელ: 996691/874880378



ახალი გადასახალი თურქთში შენზისული ბაზისთვის

1 მაისიდან თურქეთის ტერიტორიის გავლით საქართველოში მომავალი დახურული ძარის მქონე ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალება ახალ გადასახალი გადაიხდის: დატვირთული – 1200 ევროს, ცარიელი – 600-ს. თურქეთის ტრანსპორტის მინისტრის განკარგულებით, ტრანზიტული გავლისთვის დაწესებული საფასურის გადახდას დაექვემდებარება დროებითი ან უცხოური სანომრენშების, დახურული ძარის მქონე ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომლითაც ტვირთის გადატანა შესაძლებელი, განუჩევლად წონისა, მათ შორის – სავარძლებისა და მინების არმქონე მიკროვტობულებიც.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ამ საკითხან დაკავშირებით განმარტებაც.

გავეთდა, რომ ამ გადაწყვეტილების გამო, მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნათ საქართველოს მოქალაქეებს. „მის გაოვალისწინებით, რომ აღნიშნულის თაობაზე დროულად არ იყო ინფორმირებული ქართული მხარე, თურქეთის ტრანსპორტის სამინისტრიმ, გამონაკლისის სახით, 2010 წლის 1 მაისამდე საქართველოს მოქალაქეები ტრანზიტული გავლის გადასახადისგან გათავისუფლად“ – განმარტა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დრიქტორმა გორგი ტაბატაძემ.

თურქელი მხარე სატრანზიტო გადასახადის დაწესების მიზნად ასახელებს მიკროვტობულის ტიპის გადაკეთებული ავტოსატრანსპორტო ტვირთების გადაზიდვის ნაკადის მნიშვნელოვან ზრდას.

თვითმმართველის აჩვენების თანამდებობის განვითარება

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 129 13 პრიმა მუხლის მიხედვით, 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების თარიღიდან 30 მაისი განისაზღვრა. „ეს გავეთდა იმისთვის, რომ ყველა პოლიტიკურ ძალას, პირველ ყოვლისა როზიციურ პარტიებს, საარჩევნო კამპანიის სწორად დაგვამჟის საშუალება ჰქონდეთ“, – განაცადა პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ.

არჩევნების ჩატარების ბრძანება პრეზიდენტმა უწდა გამოსცეს, რაც 31 მარტამდე უწდა მოხდეს. ცესკო-ს თავმჯდომარის თქმით, ამის შემდეგ

დაიწყება კანდიდატების რეგისტრაცია. მერობის კანდიდატებს საარჩევნო კამპანიის დაწყება დარეგისტრირების შემდეგ შეუძლიათ, 29 მაისს კი უნდა დასრულონ.

საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, საინციდენტო ჯგუფს მერობის კანდიდატის წარდგენის უფლება არ აქვა.

პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ თვითმმართველობის არჩევნებს საერთაშორისო დამკაირვებელთა „ძალიან დიდი ოდენობა“ დაქსნრება.

პატიმჩის ბაზესაცაბის მიზანები ცნობის

17 მარტს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში გეგუთის მე-8 სასჯელადსრულების დაწესებულების პატიმარის ნადიმ ცეცხლაძე გარდაცვალა, რომელიც ამ ცენტრში 11 თებერვალს, უმძიმეს მდგომარეობაში გადაიყვანეს.

ნადიმ ცეცხლაძეს სამხედრო სავალდებულო სამსახური თვითმებურად თავის არიდებისთვის 6 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისკილი. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები ნადიმ ცეცხლაძის მდგომარეობას 5 მარტიდან ადევნებდნენ თვალს და მიაჩნიათ, რომ გეგუთის №8 დაწესებულებაში ყოფილის მას დროულად არ დაესვა დიაგნოზი და არ დაენიშნა მკურნალობა. არასამთავრობო ორგანიზაციის „ყოფილი ჰილოტატიკის მიზნების მიზნებისთვის“ ხელმძღვანელი ნანა კაკაბაძე ამბობს, რომ ნადიმ ცეცხლაძეს გეგუთის მე-8 სასჯელადსრულების დაწესებულებაში აწარმენდნენ. გარდაცვლილ პატიმარს სხეულზე მართლაც აღენიშნება წყლულები და ჭრილობები. თუმცა, დამოუკიდებელი ექსპერტის თქმით, ეს, შესაძლოა, დაავადებასაც გამოიწვია. გარდაცვლილი ჯაჭაბის მოთხოვნით, ცეცხლაძის ცხედრის ექსპერტიზაში, სახელმწიფო ექსპერტებთან ერთად, ჩართულია დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრი „ვექტორიც“.

"ჰერიტი" ცისანის მოპოვებას, 2 ნივთი, უშადოებობის სისტემის

რადიო „ჰერიტი“ დირექტორი რამაზ სამხარაძე საერთაშორისო ორგანიზაციებს, მედიის ნარმომადგენლებს და სახალხო დამცველს ლიკვიდის მისაღებად დახმარებას სთხოვს.

„ჰერიტი“, უკვე ორი წელი, ამაოდ ცდლის თბილისში მაუწყებლობისათვის ლიკვიდის მოპოვებას. კომიტიუციების ეროვნულ კომისაში აცხადებენ, რომ ლიკვიდის გასაცემად სპეციალური საზოგადოებრივი კვლევის ჩატარებაა საჭირო.

მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, კომუნიკაციების კომისიამ ორ წელიწლის გრძელ საზოგადოებრივი აზრის კვლევა „უნდა ჩატაროს, როთაც „უნდა დაადგინოს, თუ რა ტიპის სატელევიზიო და რადიო პროდუქტზე საზოგადოებაში მოთხოვნა და სამაუწყებლო ლიკვიდის უნდა გათვალისწინებით გასცეს. თუმცა, კომისიას ასეთი კვლევა 2004 წლის შემდეგ არ ჩატარებით. საზოგადოებრივ-პილტრიურ რადიო „ჰერიტი“ კი, ვიდრე თბილისას აუდიტორიას მიანვდება ხმას, კახოთის რეგიონსა და დასავლეთი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მაუწყებლობს.

კომუნიკაციების კომისიაში ექვსი წლის მანძილზე კვლევის არჩა-ტარებას აბიექტური მიზეზშით ხსნან. 2006 წელს კომისიამ კვლევა იმის გამო ვერ ჩატარა, რომ კომუნიკაციების კომისიას დროებითი თავმჯდომარე ჰყავდა. 2008 წელს კი საზოგადოებრივი აზრის კვლევა რუსეთ-საქართველოს იმამდე რამდენიმე დღით ადრე დასრულდა. „ომის შემდეგ იმდენად შეიცვალ საზოგადოების განწყობა, რომ კომისიამ კვლევის შედეგები ბათოლად ცნო და ხელახლი კვლევის ჩატარება გადაწყდა“, – განმარტავს კომუნიკაციების კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ხატია ქურაშვილი. მისი თქმით, კვლევა ამჟამად მიმდინარეობს და, საფარაუდოდ, მაისისთვის დასრულდება.



ჩისხვები

100 მილიონი ევროს ოდენობის სესხს გამოყოფს EBRD თბილისის ახალი შემოგლითი სარკინიგზო ხაზის პროექტის დასაფინანსებლად.

11,5 მილიარდი აშშ დოლარია საჭირო მინისტრის შეფეგად დანგრეული კუნძულ ჰაიტის აღსაღენად.

22 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ბონუსი მიღლო Apple-ის მთავარმა ოპერაციულმა დირექტორმა ტიმოთი ჰუკმა აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შესრულებისთვის.

37 მილიონი ლარის საბაზო გადასახადი გადაუგადა შემოსავლების სამსახურმა „ოქრის სიის“ ნეკრ 30 კომპანიას.

ცისანის უშადოების სისტემის



„აუცილებელია ბოლომდე იქნას მიუვანილი ყველა დემოკრატიული რეფორმა, მათ შორის, მედიის თავისუფლების პატივისცემის ჩათვლით. ეს შეეხება ასევე მოახლოებულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს. ვფიქრობ, ეს აუცილებელია ევროკავშირსა და საქართველოს შორის უფრო მტკიცრო კავშირობისათვის.“

ჟოზე მანუელ ბაროზო

17 მარტი, ბრიუსელი

„ამის გამო [მოდელირებული „ქრონიკის“] სერიოზული პრობლემები არავის შეექმნება – პასუხი არავის მოეთხოვება? ჩემი აზრით, სწორედ ეს არის ყველაზე შეურაცხმყოფელი გარემოება, ვინაიდან საქმე დემოკრატიით ბოროტად სარგებლობასთან გვაქვს... რა ეგონათ, რას აკეთებდნენ – ხუმრობდნენ? ადამიანებს პოლიტიკურად ანათლებდნენ? ეს ფილმი თუ ნარსულში მომხდარ მოვლენებს უკავშირდებოდა, უნდა გვახსოვდეს, რომ დასავლეთში – ბრიტანეთში – ბევრი მიიჩნევს, რომ საქართველო ძალიან უპასუხისმგებლოდ მოიქცა და რუსეთთან ომი მან გამოიწვია.“

ბობ ფერგულსონი – ლონდონის უნივერსიტეტის ლექტორი, მედიის საკითხების ანალიტიკოსი

17 მარტი, რადიო „თავისუფლება“

„მე არ მგონია, რომ ამ სახის გადაცემები [მოდელირებული „ქრონიკა“] – თუნდაც მითითებული ყოფილიყო, რომ ის გამოგონილია, ამ კონკრეტულ მომენტში საქართველოს წინაშე არსებულ რეალურ საფრთხეებთან და პრობლემებთან გამკლავების ხელისშემწყობი იყოს.“

ჯონ ბასი

14 მარტი, გადაცემა „აქცენტები“

საცვლი გამოძიება

ალტერნატიული ექსპერტიზა „დიდების მემორიალის“ სასამართლო გამოძიებას ეჭვქვეშ აყენებს.

ნინო გოგუა



ფოტო: თავის სახლის მიმდევარი

ქუთაისში „დიდების მემორიალის“ აფეთქებისას მომხდარ ტრაგედიაში პრალ-დებულები, ერთი თვე, ქუთაისის ციხეში იხდიან სასჯელს. „საქაფეთქმრეწვის“ სამთანაშორომელს – ავთანდილ დარსაველის, ეგლიუშა გადაბაძეს და თერგიზ დარახველიძეს სასამართლომ აფეთქების დროს უსაფრთხოების წესების დარღვევაში დასდო ბრალი და 2-დან 4 ნლამდე პატიმრობა მიუსავა. სასამართლო ექსპერტიზის დასკნით, ამფეთქებლებმა საჭიროზე თითქმის ორჯერ მეტი ასაფეთქებელი ნივთიერება გამოიყენება. უსაფრთხო პერიოდზე არა – 300, არამედ 600 მეტრით უნდა განსაზღვრულიყო.

იმის გამო, რომ მომხდარი უბედური შემთხვევა მძიმე კატეგორიის დანაშაულს არ განეკუთვნება (არაგანზრბა ჩადენილი დანაშაული) და სამივე მსჯავრდებული 60 წელსა გადაცილებული, პროკურატურა მათთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე თანახმა იყო. ამისთვის „საქაფეთქმრეწვის“ თანამშრომლების აღიარებითი ჩვენება იქნებოდა საკარისი. გირაოს თანხის გადახდის სანაცვლოდ, ციხეში რამდენიმე წლის გატარებას აარიდებდნენ თავს, მაგრამ დარსაველიძემ, გადაბაძემ და დარახველიძემ თავი დამნაშავედ არ ცნეს.

შეიძიო სასამართლო პროცესის განმავლობაში მოსამართლემ ადგომატების არც ერთი შეუძლებელობა არ დააკმაყოფილა. მსჯავრდებულების პოზიციის დადასტურების საშუალება ადგომატებებს – მარინა სვანიძეს და თემურ გვიშიანს მხოლოდ ახლა – სასამართლო პროცესების დასრულებიდან ერთი თვის შემდეგ

მიეცათ, მას შემდეგ, რაც ჩატარებული ალტერნატიული ექსპერტიზის შედეგები დაიდო. ეს ექსპერტიზა დაზარალებულების ადგომატებმა კავშირ „სამთო ტექნოლოგიებს“ შეუკვეთეს.

„გამოყენებული ფერების ნივთიერების რაოდენობა შეესაბამება მემორიალის აფეთქებით დამნის აუცილებელ მოთხოვნას. მემორიალის აფეთქებისას განსაზღვრული საშიში ზონის რადიუსი – 3000 ავგანოზილებს სამაფეთქებლო სამუშაოების უსაფრთხოების წესების მოთხოვნებს“, – ვკითხულობთ კავშირ „სამთო ტექნოლოგიებს“ ფერების მასალების სფეროში ექსპერტების – ს.ხომერიკისა და ნ.კუკულაძის დასკვნაში. ექსპერტები ადასტურებენ, რომ კომპანიამ მემორიალის ასაფეთქებლად 289,700 კგ ასაფეთქებელი ნივთიერება, „მაგნუმი 365“ დასარვა. თუმცა, ამავე დროს, დასკვნაში აღნიშნულია, რომ ასაფეთქებელი ნივთიერების ეს რაოდენობა 19 დეკემბერს სრულად არ გამოიყენებიათ, და ის სხვადასხვა დროს მომხდარ სუთ აფეთქებაზე გადანაწილდა.

19 დეკემბერი და დიდების მემორიალზე „რამდენიმე პატარა აფეთქების ფაქტებს გამოიძიების მიერ დაკითხული ყველა ქუთაისელი ადასტურებებს, მაგრამ მოსამართლეს სასამართლო პროცესზე ეს გარემოება არ გაუთვალისწინებია.

იმის დასამტკიცებლად, რომ ამფეთქებლებმა საჭიროზე მეტი ასაფეთქებელი ნივთიერება გამოიყენეს, პროკურატურას მემორიალიდან 357 მეტრში ნაპოვნი ბეტონის ნატეხი მოჰყავს. ხომერიკისა და კუკულაძის ექსპერტიზის დასკვნის

შედეგად კი, შესაბამის გამოთვლებზე დაყრდნობით, ნატეხების გატყორცნის რადიუსი 290-315 მეტრი უნდა ყოფილიყო. „არავინ იკვლევს, როგორ მოხვდა ის ქა 357 მეტრში? ან არის კი მემორიალის ნატეხი? შესაძლოა, ვიღაცამ აიღო ქვა და დადო იმ სიშორეზე – ეს ეჭვი არანაირი მტკიცებულებით არავის არ გამოურიცხავს“, – ამპობს მსჯავრდებულების ადგომატები მარინა სვანიძე.

დედა-შვილი ჯანჭარატებების სიკვდილი მემორიალიდან 273 მეტრში დაცულ ნატეხს მოჰყავს. სასამართლო გამოძიებას არ გაუთვალისწინებია არც „საქმილ-სადენშენის“ (რომელმაც მოვარინებით უშუალოდ აფეთქებისთვის იქირავა „საქვეთქმრეწვი“) დირექტორ ავთანდილ ლომთაძესა და ქუთაისის მერის მოგა-ლების შემსრულებელ ზაზა ნუცებიძეს შორის 17 დეკემბერს დადებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, 300 მეტრის რადიუსიდან მოსახლეობის ევაკუაციაზე პასუხისმგებლობას ქუთაი-სის მერია იღებს.

„სამთო ტექნოლოგიების“ ექსპერტებმა თავიანთი გამოთვლები წინასწარი გამოძიების მასალებზე დაყრდნობით გააკეთეს – კომპანიის მიერ ნარდგენილი ჩანაწერებისა და შემთხვევების ადგილის დათვალიერების იქმების ანალიზის შედეგად. იმავე მასალებზე დაყრდნობით მიუსავა მოსამართლემ ბრალდებულებს პატიმრობა.

ადგილობრივი აღმოჩენების ჩატარებაში ადგენერატიული გამოძიების ჩატარების წარმოადგენერირება, კონკრეტული გამოძიების მასალების გაცნობა დეკემბერშივე სთხოვეს, თუმცა – უძედეგოდ.

განაჩენის დადგომიდან ერთი თვის შემდეგ ადგომატებმა – მარინა სვანიძემ და თემურ გვიშიანმა სწორედ ალტერნატიული ექსპერტიზის შედეგების საფუძველზე მოამზადეს სარჩელი და 19 მარტი სააპელაციი სასამართლოში შეიტანეს.

ამ დროისთვის მსჯავრდებულები სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულით იხდიან სასჯელს – სამთო სამშენებლო სამუშაოებისას არაგანზრბას მკვლელობის ბრალით.

სტილიზირებული სტილიზირებული ბაზარი

პრეზიდენტის ფონდის მიერ უცხოეთში გაგზავნილი სტუდენტების ნაწილს კუთვნილ სტიპენდიებს დაახლოებით ორი თვის განმავლობაში არ ურიცხავდნენ.

რუსუდან ფანზიშვილი

ორთვანი ლოდინის შემდეგ, 18 მარტიდან პრეზიდენტის ფონდის რამდენიმე სტიპენდიანტს კუთვნილი თანხა ჩაურიცხეს. გადარიცხევით მას შემდეგ დაწყო, რაც სტუდენტებმა დაშმარება პირადად განათლების მინისტრს სტხოვებს.

შემსან 120 სტუდენტი გაემგზავრა ევროპის და აშშ-ს ნამყვანი უნივერსიტეტების მაგისტრატულაში სასწავლებლად პრეზიდენტის „რეფორმებისა და განვითარების ფონდის“ დაფინანსებით. თუმცა, მათი ნანილისთვის სხორცედ ამ პრესტიულ კონკურსში გამარჯვება გახდა შემშილისა და უფლების მიზეზი.

„რატომ უნდა ვერძნობდე თავს მათხოვრად?“

„ზოგს საჭმლის ფულიც გამოელია“.

„მე პირადად, ამ წეუთას პირდაპირი მნიშვნელობით, კაპიკი აღარ მაქს“ს, – ასეთი შინაარსის წერილებს გზავნიდნენ წინა კვირას ქართველი სტუდენტები. უშედეგოდ ამონშებდნენ თავიანთა საბანეჟი ანგარიშებს და ამაოდ ელოდნენ სტიპენდიას, რომელსაც მათთვის საზღვარგრეთ ცხოვრების, კვებისა და მგზავრობის ხარჯები უნდა აქაზღაურებინა.

თანხის გადარიცხევის შენყვეტა პრეზიდენტის ფონდის ლიკვიდაციის გამოიწვია. ლიკვიდაციის შემდეგ სტიპენდიანტების საკითხი განათლების სამინისტროს გადააბარეს. სტუდენტებმა, რომლებმაც ფორმალურ წერილი სტიპენდიას მოთხოვნით 2010 წლის 1 თებერვლის შემდეგ გაგზავნეს ფონდში, მოულოდნელად გაარევის, რომ ფონდი აღარ არსებობდა. „ლიკვიდირებულია, მითხრებს ფონდის თანამშრომლებმა“, – იხსენებს წინა აბრამიშვილი, რომელიც ამსტერდამის უნივერსიტეტის სტუდენტია, – სანამ არ დაუურეკე, ამის შესატყობინებლად ერთი მეოლიც არ მოუწერიათ“.

მას შემდეგ სტუდენტებს ხან პირდებოდნენ, რომ თანხას „დღეს ან ხვალ“ გადაურიცხავდნენ, ხან კი შეფერხების მიზანად ბანკების სადღესასწაულოდ დაკეტებას ასახელებდნენ.

სტუდენტები ამბობენ, რომ არაერთი მცდელობის მიუხედავად, კონკრეტული თარიღი მათთვის არავის დაუსახელება. მოუსედავად ამისა, განათლების მინისტრმა

ტელეკომპანია „მაესტროსტევის“ მიცემული ინტერვერში აღნიშნა, რომ სტუდენტების-თვის თანხის გადარიცხვა „დაგვგმილზე ორი დღით ადრე“, ანუ 18 მარტიდან დაიწყო.

განათლების სამინისტროში განმარტავნ, რომ სტიპენდიების გადარიცხვები პროგრამის ერთ სტრუქტურიდან მეორეში გადატანისათვის საჭირო პროცედურების გამო გაჭირნურდა. აღმოჩნდა, რომ განათლების სამინისტროში საერთოდ არ არსებობდა ის სამსახური, რომელსაც პრეზიდენტის ფონდის მონაცემები სახელმწიფო არქივიდან უნდა მიეღო. დრო სწორედ „შესაფერისი სამსახურის შექმნაზე“ დაიხარჯა.

ერთი თვე დასტირდა იმის დადგენასაც, თუ რომელ სახელმწიფო სტრუქტურში უნდა გადაეტანათ პროგრამა. შემდეგი ერთი თვე კი ბიუჯეტის განსაზღვრაზე დაიხარჯა. „თუმცა, არც ერთი ეს ბარერი არ ამართლებას იმ ფაქტს, რომ ყველაზე მთავარი – სტუდენტები არ გათვალისწინება“, – ამბობს იურისტი თამარ გურიშვილი.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის, ლადო ლომაძეს განცხადებით, ფონდმა თავისი ძირითადი მისია ამონურა და ამიტომაც დაიხურა. ლიკვიდაციურ ებგვერდზე ფონდის დაარსების უმთავრეს მიზნად დემოკრატიული რეფორმებს მსარდეჭრაა დასახელებული. „რადგანაც მის ფუნქციები მხოლოდ სასწავლო სამაგისტრო პროგრამები დარჩა, ლოგიკურად ეს პროგრამა განათლების სამინისტროს

გადააბარეს“, – განმარტავს ლომაძე.

„განვითარებისა და რეფორმების ფონდი“ მიხეილ სააკაშვილის ინციატივით 2004 წელს შეიქმნა. 2005 წლიდან კი, მისივე სურვილით, ფონდის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება გახდა ახალგაზრდებისათვის საზღვარგრეთ განათლების დაფინანსება.

„ყველა ქრონიკა სტუდენტს ვაძლევთ სპულალებას, რომ საკუთარი ცოდნით მსივლიობის სუვერენიტეტებში ჩააბარონ“, – ამაყად აცხადებდა მიხეილ სააკაშვილი და აღნიშნავდა, რომ ქართველი ახალგაზრდების ხარისხიანი განათლება საქართველოს წარმატების შანსია.

თუმცა, ბოლო ორი თვის განმავლობაში სტუდენტებს ამ შანსის გამოყენებაში სხვადასხვა საყოფაცხოვრებო პრობლემაზ შეუძლა ხელი. ლეიიდნის უნივერსიტეტის სტუდენტი, მარიამ ნასყიდვებილი ბოლოს 20-გვერდიანი ნაშრომის ამოსაბჭედდა საჭირო თანხასაც ვეღარ შეულობდა. მთელი შრომისა წყალში რომ არ ჩაყროდა, ამიტებჭედვი დახმარება უცხო სტუდენტს სთხოვა და იცრუა, – საფულე სახლში დამრჩაო.

„ცრუმლებს ძლიერ ვიკავებდი“, – იხსენებს მარიამი.

დაგვანებულ სტიპენდიებს სტუდენტების ნანილი ჯერ კიდევ ელოდება. ფინანსურის მიზნების შემცირების უწყება შეიცვალა, თუმცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები იგივეა: უცხოეთში სასწავლებლად წასულმა მაგისტრანტებმა სტიპენდიები სრულად და დროულად უნდა მიღლონ.



■ მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა პრეზიდენტის ფონდის სტიპენდიანებიან, თბილისი



თინა ხილაშელი

„რესპუბლიკური პარტიის“ ლიდერი

საზოგადოებაში, სადაც ჯერ კიდევ აგვისტოს ომის განცდები და შიში არ განელებულა, ასეთი სიუჟეტის გაკეთება საკუთარი ხალხის დაცინვაა. არ შეიძლება ადმინისტრაციის მსგავსი ექსპერიმენტები მოუწყო. რთულია, ინტელექტუალური ახსნა მოუძებნო ფაქტს, რომელიც უშუალოდ პრეზიდენტის ღამის კოშმარების ეკრანიზაციას ჰგავდა. სხვათა შორის, ამ სიუჟეტში პუტინი არსად არ იყო ნახსენები, რაც ასევე პრეზიდენტის შიშზე მიუთიერა. მეორე მხრივ კი, ეს იყო პოლიტიკური ბრძოლა ჩვენ წინააღმდეგ. წინასწარ თქვეს, რომ არჩევნები გაყალბდება და ამის შემდეგ თუ ვინმე გარეთ გამოსვლას გაბედავს, რუსეთის მხარდაჭერად ჩაითვლება.

13 მარტი, ვფიქრობ, მიწისძვრა იყო ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ ფაქტმა ქართველ საზოგადოებას, რომელსაც შეიძლება დაავიწყდა, ან შეეგუა, ან უარესის მოლოდინი არ ჰქონდა, ის რეალობა შეახსენა, რომელშიც ცხოვრება გვინევს. ამან შეიძლება აბსოლუტურად დამანგრეველი და გამოუსწორებელი შედეგები მოიტანოს ქვეყნისთვის, თუ უპასუხოდ დარჩება და ადეკვატური რეაგირება არ მოჰყვება.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ლიად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ერთმა ნაწილმა იცოდა სიუჟეტის შესახებ და ამბობდა, რომ დიდი არაფერი მომხდარა, მეორე ნაწილი კი აღმფოთებული და შოკირებული იყო ამ მოვლენით. ისინი მოითხოვდნენ არველაძის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას. ამ დაპირისპირებას იმ ფარული სატელეფონო ჩანაწერის გამოქვეყნებაც ადასტურებს, რასაც ჩვეულებრივი მოქალაქე ვერ გააკეთებდა. ის ვიღაცამ შიგნიდან გამოაქვეყნა. თუმცა, არველაძის გადადგომა ვერც შიდა პოლიტიკაში შეცვლის რამეს.

ფორმალურად მაინც, დამოუკიდებელი ტელევიზიის მიმართ (საერთაშორისო პრესაში „იმედი“ ყველგან სახელისუფლებო არხად არის მოხსენიებული) სანქციების გატარება არ არის საჭირო. თუმცა, უნდა გადადგეს არხის დირექტორი, რომელსაც პასუხისმგებლობა აკისრია არამარტო ხალხის, ასევე „იმედის“ ურნალისტების წინაშეც. არველაძემ ამ სიუჟეტით დაარღვია უურნალისტიკაში არსებული ყველა წესი – საზოგადოებას მიაწოდო ინფორმაცია, ასახო სინამდვილე და მაყურებელს საკუთარი მოსაზრება თავს არ მოახვიო.

ის ვალდებულია, პასუხი აგოს ქმედებაზე, რომელსაც ქართული და მსოფლიო საზოგადოების მხრიდან ასეთი რეაგირება მოჰყვავა. მთელმა მსოფლიომ დაგვცინა, გაგვაკრიტიკა და დაგვგმო ამ ფაქტის გამო. აქ კონკრეტული უურნალისტის პრესტიუზზე არ არის საუბარი. საქმე ეხება საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს პრესტიუზს, რომელიც დღითი დღითი დღე ეცემა, ამ მოვლენამ კი ჩვენს ქვეყანას განსაკუთრებული ზიანი მიაყენა.



ჩას შევისი გალეა

მან ბოდიში უნდა მოიხადოს და წავიდეს, ოღონდ არა ისე, როგორც მოიხადა, – ბოდიში, პანიკაში რომ ჩაგაგდეთ, მაგრამ პრინციპში კარგი რამე გავაკეთოვ.

გიორგი არველაძის გადადგომა მხოლოდ მორალურ-ზნეობრივი უსტი იქნება საზოგადოების წინაშე, და არა – ცვლილება ტელეკომპანია „იმედში“. სახელებისა და გვარების ცვლილებას მნიშვნელობა არ აქვს, ვიდრე ტელეკომპანია გიგი უგულავას კონტროლის ქვეშ და ისევ ხელისუფლების რუპორად ჩჩება. სხვა ტელევიზიების ხელმძღვანელების, თუნდაც „რუსთავი 2“-ის და „პირველი არხის“ დირექტორების შეცვლამ დაგვანახა, რომ პრობლემაა სახელმწიფოს მხრიდან ზეზოლა და არა კონკრეტული პიროვნებები. არხზე რეალური ცვლილება მხოლოდ მაშინ დაიწყება, როდესაც ის კანონიერ მესაკუთრეს დაუბრუნდება და მედიის ფუნქციას დაიპრუნდებს. ეს ქვეყანაშიც პრინციპულად შეცვლის ვითარებას. **¶**



ა სამართლებო მომართებელი არა არა?



ეკა კვესიტაძე
უურნალისტი

იმიტირებული „ქრონიკის“ ეთერში გასვლის შემდეგ, როცა შიშმა და პანიკამ გადაიარა, ზოგიერთებმა თქვეს, რომ ასეთი შოკი, დახახაც, აუცილებელი იყო საზოგადოებისთვის, რათა ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეები მეტი სიცხადით შეგვეგრძნო.

იყო თუ არა ეს მართლაც აუცილებელი, ან შეეძლო თუ არა იმის ამდაგვარ იმიტაციას ეს ეფექტი გამოიწვია – ამზე სარელაციას ამათი კამათი იმ შემთხვევაში გამიართებოდა, თუ 13 მარტის იმიტირებულ „ქრონიკას“ ტიტრებს დაადებდნენ.

მაგრამ იმიტირებული „ქრონიკა“ ტიტრების გარეშე გავიდა. მე, რომელმაც ყურმოკრით ვიცოდი, რომ „სპეციალურ რეპორ-

ტაჟში“ რაღაც ამდაგვარი იგეგმებოდა, „ქრონიკის“ ყურებისას არ გამოვრიცხე, რომ ომი მართლა დაიწყო.

ტიტრების არდადება გიორგი არველაძის გააზრებული გადა-ნევეტილება იყო – მას სურდა, რომ შოკი, რომელსაც ამ კა-ლერების ნახვისას ადამიანები მიიღებდნენ, რაც შეიძლება მძაფრი და ყოვლისმომტკველი ყოფილიყო. სწორედ ეს არის ამ ამბავში ყველაზე მეტად აღმაშენებელი და სისასტიკემდე ცინიკური. ეს ის შემთხვევაა, როცა ადამიანის ხელში მედის შეგნებული მანიპულირების შედეგებმა საგანგაშო მასშტაბებს შეიძლება მია-ღწიოს.

რა შეიძლებოდა მოპყოლოდა ტელევიზით მსგავსი სიუჟეტის გამვებას, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში? რა გადაწყვეტილებას მიიღებდა ასეთი შემთხვევაში ბრიტანეთის კომუნიკის იუსი? ძნელი სათქმელია, ჩამორჩმელი ასეთი რადიკალური ნაბიჯები შეიძლება მხოლოდ მაუწყებლის მიერ ტერორიზმის ხელშეწყობას და ქა-დაგებას მოჰყვეს. მაგრამ, ეჭვიც არ მეპარება, რომ ტელევიზია დიდი ფინანსური სანქციის გარეშე ვერ გადარჩებოდა.

ეს რაც შეეხება ეთიკის კოდექსის ერთ-ერთი ძრითადი შუხლის დარღვევის სამართლებრივ მხარეს. მაგრამ, არსებობს ამ ამბის მორალური მხარე – ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში ასეთი ქცევის შემდეგ ტელევიზითი ხელმძღვანელი გადადგებოდა.

როცა რამდენიმე წლის წინ ცნობილი გახდა „ნიუ-იორკ თაი-მისის“ ერთ-ერთი რიგითი შურნალისტის არაკეთილსინდისიერი ქცევის შესახებ (ის სხვადასხვა შურნალისტების სტატიების კომპილაციის გზით ფარმაციებს ქმნიდა), გაზეთის რამდენი-მე რედაქტორი გადადგა, რადგან ისინი თითქმის ერთი წლის განმავლობაში ვერ მიხვდნენ, რომ ჯეისონ ბლეერის წერილები ფართოკაცია იყო. ამ ადამიანებს მაშინ ერთადერთი მიზანი ჰქონდათ – „ნიუ-იორკ თაიმსის“ რეპუტაციის გადარჩენა და გაზეთის მიმართ მეთხველის ნდობის შენარჩუნება.

თავისი შეგნებული გადაწყვეტილებით, გიორგი არველაძემ – ქვეყნის უსაფრთხოება და რეპუტაცია, ისევე როგორც უამრავი ადამიანის ფსიქიკა დარტყმის ქვეშ დააყენა. მაგრამ მისი არა-ნაკლებ უპასუხისმგებლობა და არაადეკვატური რეაქციით, დარჩეს თანამდებობაზე, ის ახლა ყველაზე დიდ დარტყმას „იმედის“ აყენებს – დღეს ვინ შეიძლება იმჩნენოს მისი სიტყვების, რომ გველაფერს გააკეთებს „იმედის“ მიმართ ნდობის აღსადგენად.

არველაძის ხელში „იმედის“ ბევრჯერ გაგვიოცა – პრეზიდენტზე გაკეთებული სიუჟეტით, სადაც საკაშვილის აპოლოგია თა-ვისდაუნებურად მის გამარჯებაში გადავიდა, ნანკა კალატონიშ-ვილის გადაცემებით, სადაც მხედრობინის რომანტიზაციაც მოხდა და ისეთი ცნობილი ფრაზებიც დაიბადა, როგორიცაა – „თავს ხშირად იბართ?“, „შეგრცევენიათ თქვენი სომხური წარმომავლო-ბის?“. მაგრამ „ჭეშმარიტი სანახაობა“ მაინც 13 მარტს მოეწყო.

ეს დღე, საუკეთესო შემთხვევაში, შეიძლება ახალ ათვლის წერტილიდან იქცეს „იმედისთვის“, ისევე – როგორც მთლიანად ქართული მედიისთვის, რომელიც აქამდე არასურიოზულიდ უდ-გვებოდა მედიასტანდარტებს.

მაგრამ, არველაძის თაოსნობით „იმედის“ შურნალისტური კათარზისი წარმოუდგენელია, მის ხელში ტელევიზიისგან, რო-გორც მასების მანაულინირების საუკითხოს საშუალებისგან, მხო-ლობ საშიშ სიურპრიზებს უნდა ვეღლოდეთ.

ამიტომ, თუ დღეს ვინმეს იდანვე მაინც შესტკივა გული „იმე-დზე“, ამ ტელევიზითის თანამშრომლების ჩათვლით, არველაძის ნასვლა მანამდე უნდა მოითხოვოს, ვიდრე ის არ წავა.

შიშისა ღ ბანებისილების ბამონვევა სუათვის ინტენსიბს ა უმსახუებს



„იმედის“ სიმულირებული შოუ საერთაშორისო ამბების თემა გახდა,
და ეს ჩვენ წინაშე რამდენიმე საკითხს წამოჭრის.

მარკ მალენი

საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს მთელ მსოფლიოში მუდმივად ეკითხებოდნენ „იმედის“ დაბურვისა და მისი ახლანდელი მფლობელის შესახებ. ისინი პასუხობდნენ, რომ ეს საოჯახო დაპირისპირება იყო და რომ მთავრობას არ უნდოდა სასამართლოს საქმეებში ჩარევა. ამ ვერსიის არავის სჯეროდა, იმათაც კი, ვინც ამას აცხადებდნენ. „იმედის“ ახლანდელმა საგამი იმაზე მეტად დააზიანა მთავრობის ინტერესები, ვიდრე მაშინ, როდესაც ტელეარხს ბადრი პატარკაციშვილი მართავდა. როდესაც „იმედი“ პატარკაციშვილის იყო, ტელეარხი ერთგარ ქართულ „ოოქს ნიუსს“ წარმოადგენდა, ანუ ცდილობდა, საკუთარი გავლენა მთავრობის დასასუსტებლად გამოეყენებინა. ახლა კი უკვე „იმედის“ არსებობა აზიანებს ხელისუფლებას.

ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ ერთიანობას და საერთო ინტერესები გამოვნახოთ. შეშისა და განხეთქილების გამოწვევა საქართველოს ინტერესებს არ ემსახურება. „მოლალატის“ იარლიყს ამ ბოლო დროს სულ უფრო მეტ ვინმეს აკერძენ, რაც ამ ერთ დროს სერიოზულ ტერმინს მნიშვნელობას უკარგავს.

საქართველომ ან რეგიონმა საერთაშორისო მედიის ყურადღება მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება მიიჰყროს, და ამ ყურადღების საგანი ძალიან მნიშვნელოვანი უნდა იყოს. მსოფლიოს, განსაკუთრებით ევროპას, არ სურს, რუსეთით აიტყიოს თავი, ცივი მოის დაპრუნება არავის უნდა. კრემლმა კი სწორედ ცივი მოის სტრატეგია აირჩია. მისი რეგიონული იმპერიალიზმი და საერთაშორისო ობსტრუქციუ-

ლი ქმედებები სწორედ ამაზე მეტყველებს. საქართველოს მსოფლიოსთვის დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია, იმის ჩვენებით, თუ რას აკეთებს რუსეთი რეალურად. ხოლო როდესაც საქართველოს მთავრობა არასაიმდოდ, დაბნეულად გამოიყურება და ხშირად უშვებს შეცდომებს, ეს ეჭვის ქვეშ აყენებს რუსეთის, მისი მეზობლების და თავად საქართველოს საკითხსაც.

ლოიალურობა ქართული კულტურისთვის ძალზე მნიშვნელოვანი ცნებაა, მაგრამ მას უარყოფითი მხარეც აქვს. როდესაც ჯგუფი იმდენად ლოიალურია, რომ ვერ ამბობს სიმართლეს, ან ვერ უშლის ხელს ჯგუფის წევრს შეცდომის დაშვებაში, წრე ძალიან ვიწროვდება. მსგავსი ლოიალურობა უფრო დაბრკოლება ხდება, ვიდრე უპირატესობა. საქართველოში ყველა პოლიტიკოსმა უნდა დაიწყოს საკუთარი ვიწრო წრის გარეთ კითხვების დასმა და პასუხების მოსმენა. როგორც ვხედავთ, პატარა ლოიალური ჯგუფები უამრავ შეცდომას უშვებენ.

იმ შემთხვევაში, თუ ვინმეს რაღაცის არ სჯერა, ყველა სარწმუნო ფაქტის არსებობის მიუხედავად, მისი მოტყუება მაინც ყოველთვის ცუდი იდეაა!

და ბოლოს, საქართველოს მოქალაქეები უკეთეს ბოდიშს იმსახურებენ. გულწრფელი ბოდიში შესანიშნავი რამაა. ის არაორაზროვანი და გულის მომლბობია. ის იღებს სრულ პასუხისმგებლობას და წინ წასვლის საშუალებას გვაძლევს. ბოდიშის ნაძალადევად მოხდა, ან ნახევრად ბოდიში, მაგალითად: „ბოდიშს გიხდით, მაგრამ...“ სრულიად უაზროა. შეცდომებს მეტ-ნაკლებად ყველა უშვებს, მაგრამ საჯარო პირებს რეალური პრობლემა ბოდიშის მოხდისას ექმნებათ. ☐



■ როდესაც ჯგუფი იმდენად ლოიალურია, რომ ვერ ამბობს სიმართლეს, ან ვერ უშლის ხელს ჯგუფის წევრს შეცდომის დაშვებაში, წრე ძალიან ვიწროვდება. მსგავსი ლოიალურობა უფრო დაბრკოლება ხდება, ვიდრე უპირატესობა. საქართველოში ყველა პოლიტიკოსმა უნდა დაიწყოს საკუთარი ვიწრო წრის გარეთ კითხვების დასმა და პასუხების მოსმენა. როგორც ვხედავთ, პატარა ლოიალური ჯგუფები უამრავ შეცდომას უშვებენ.

ახალი ნიგნი



12.00
ლასი

გამოჩენილი ჩეხი მოღვაწის, წარსულში ორი
სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტის, ვაცლავ
პაველის ბოლო - 2006 წელს გამოცემული
წიგნის ქართული თარგმანი.

წიგნი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, თუმცა
ვერ თავსდება კლასიკური ავტობიოგრაფიული
ჟანრის ფარგლებში, რაც სრულებითაც არ
არის შემთხვევითი, ვ. პაველის მრავალმხრივი
შემოქმედება ყოველთვის გამოირჩეოდა
ორიგინალურობითა და მრავალმხრივობით.
წიგნი ეხება ვ. პაველის მოღვაწეობას
ხავერდოვანი რევოლუციიდან (1989) მეორე ვადით
პრეზიდენტობის დასრულებამდე (2003), ანუ
სოციალისტური ქვეყნის დემოკრატიზაციისა და ღია
საზოგადოების მშენებლობის ხანას.
ავტორი საუბრობს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა
იყოს, მისი აზრით, პრეზიდენტის ინსტიტუტი,
ურთიერთობა მთავრობასა და პრეზიდენტს შორის,
პარტიებისა და ფართო საზოგადოების როლი
პოლიტიკურ ცხოვრებაში, სახელმწიფოს როლი
მსოფლიოში, ანუ როგორი უნდა იყოს იდეალური
დემოკრატია, სამოქალაქო საზოგადოება, მსოფლიო
წესრიგი; თუ როგორ იბრძოდა ამ შეხედულებების
ცხოვრებაში გასატარებლად თავის სამშობლოში
და მოგვიანებით - საერთაშორისო პოლიტიკურ
სარბიელზე და რა დაბრკოლებებს აწყდებოდა
ამ როტულ გზაზე.



გადამდებრების
სამინისტრო

www.sulakauri.ge



ჯანსალი ბიზნესბუჟირო საქართველოში - მითი თუ ჩაიცობა?

უცნობია, რა კრიტერიუმები მოქმედებს საგადასახადო აუდიტის ჩასატარებლად საქართველოში. შესაძლოა, ხელისუფლება საგადასახადო მექანიზმს კანონის საკუთარ თავზე მორგების საშუალებად იყენებს.

მარტინ ნოგტონი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“



სარესტორნო პინქესი, ბიზნესის სხვა სფეროებთან შედარებით, არამდგრადია. რესტორნი ერთ დღეს შეიძლება კლიენტებით იყოს გადაჭედილი, მეორე დღეს კი, შესაძლოა, იქ ცარიელი მაგიდები იდგეს და მომსახურე პერსონალი უსაქმიდ იყოს. რესტორნის მეპატრონები ხელფასი იმის მიზეზდავად უნდა მისცეს პერსონალს, დატვირთვით მუშაობს მისი დაწესებულება, თუ – არა. თუმცა პიზნესის ამ სფეროს ნარმომადგენლები მაინც იმედოვნებენ ფინანსური წლის განმავლობაში მოგების მიღებას, რომელიც მათ საშუალებას აძლევს, სახელმწიფოს მიერ დაკისრებული გადასახდები გადაიხადონ. „გადასახადების აკრეფა იმაზე დაყრდნობით, თუ რას გამოიმუშავებს პიზნესი, ის „უცნაური“ მეოთხდა, რომელსაც საგადასახადო სისტემა სხვა ქვეყნებიც იყენებს“, – ოუმრით აღნიშნა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენლობან საუბრისას ერთ-ერთმა უცხოელმა პაზნესმებია.

თუმცა საქართველოში გადასახადების აკრეფისადმი შემოსავლების სამსახურის მიდგრიბა სრულია ინოვაციურა. მას არაფრთხო აქვს სარითო გადასახდის ოდენობის არსებული შემოსავლების მიხედვით გამოთვლასთან. შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები ზოგჯერ მთელ კვირას სხედან ამა თუ იმ კომპანიაში და თვალყურს ადევნებენ ფულის შემოდინებას. შედეგად, ისინი ერთი კვირის შემოსავლებზე დაყრდნობით ანგარიშობენ, რა მოგებას ნახულობს ეს კომპანია წლის განმავლობაში.

ასეთმა ინსპექტორებმა სავალალო შედეგი მოუტანა აღმოსავლით და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი მაგისტრალის ახლოს მდებარე რესტორნი „დიდ სახლი“. შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები ამ ობიექტის შესამოწმებლად ავგისტოში შევიდნენ, როცა, საუკონტრო სეზონის გამო, ამგარი რესტორნები მაქსიმალური დატვირთვით მუშაობენ ხოლო, სწორედ დატვირთვით მიმდებარების გათვალისწინებით აღმოჩნდა

შემოსავლების სამსახურის თანამშრომლების მიერ გამოთვლილი წლიური შემოსავლი იმაზე გაცალებით მეტი, რასაც ეს რესტორნი სინამდგოლები იღებდა. შედეგად, საგადასახადო დავალიანებაც დიდი გამოვიდა – 400000 ლარი, ჯარიმების ჩათვლით. რატომ დაემატა გადასახადებს ჯარიმა? შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა აგვისტოს შემოსავლებზე დაყრდნობით დასკენერს, რომ რესტორნი ბოლო ორი წლის განმავლობაში რეალურ შემოსავალს მაღლვდა და გადასახადების გადახდას თავს არიფებდა. თუმცა მათ აღმატა მხედველობიდან გამორჩათ ის ფაქტი, რომ, 2008 წლის აგვისტოს ომის გამო, მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიაზე განალებებულ რესტორნებს პრაქტიკულად არ უშეშავიათ.

„დიდი სახლის“ შემთხვევის მსგავსი მაგალითები ისტორია არ არის. სხვადასხვა პიზნესის გენერიკები, პატარა დაუწით დაწყებული და „ელიტ ლეიქტრონიქსით“ დამთავრებული, მთელი საქართველოს მასშტაბით საგადასახადო წესებს განიცდია. 2008 წლის ომისა და საერთოში სარიტუალის ფინანსური კრიზისის გამო, ქვეყნის ბიუჯეტში გადასახადების შესულება თანხამ იკლი. თბილისში საბურლი სამუშაოების განმახორციელებელი ერთ-ერთი კომპანიის მფლობელის, ჯეფრი კენტის, თქმით, სწორედ ამიტომ დაიწყო სახელმწიფო გადასახადების „უმოწყალოდ“ აკრეფა. უმნიშვნელო დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაშიც კი, ჯარიმები იმდენად დიდია, რომ მათი გადახდა პატარა პიზნესებს არ შეუძლიათ. საგადასახადო დეკლარაციების დაგვიანების გამო, კომპანიებს საბანკო ანგარიშებს უყინვება და ქონებას ართმევენ. ვიდრე საქართველოში ასეთი ფაქტები იქნება, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში განხორციელებული ბევრი დადებითი საკონომდებლო ცვლილება და 2006 წელს მიღებული საგადასახადო კოდექსი მხოლოდ ქალადშე დაწერილ საკუთრებული საკონომდებლო ნიმუშებად დარჩება.

„დიდი სახლის“ მომავალი ჯერაც გაუკვეველია. ის ან უზარმაზურ გადასახადს გადახდის ან თავის სიმართლეს სასამართლოში დამტკიცებს. თუ რესტორნანა ვერც ერთი ვერ შეძლო, ჩვენც დავზარალდებით, რადგან ზაფხულში, ბათუმის გზას რომ დაგადებით, თან საგზლის წალება მოგვინებს. ❶



■ კარალეთის დევნილთა დასახლება, მარტი 2010

ფოტო თბილი საქართველოს

რეპროტეზი

ლევნილი სტიქის ცბძვიან

გოგა აფციაური

კარალეთის დევნილთა დასახლებაში 400-მა რვახმა 16 მარტის ღამე სტიქისთან ბრძოლაში გაატარა.

ადიდებულმა მდინარე მეჯუდამ კალაპოტი გადალახა და პირდაპირ დასახლებაში იწყო დინება. ღამით მდინარესთან ახლოს მაცხოვრებლების ეპაუზია გახდა საჭირო.

ახალგორიდან დევნილმა ნუნუ საბაშვილმა ორი მცირეწლოვანი შვილიშვილი დილის 5 საათისთვის სახლიდან გაიყვანა. „ასეთი რამე არ მინახავს. ბავშვები ძალიან შეშინდნენ, ყველგან წყალი იყო, ძლიერს გამოვალნიერ. მთელი დასახლება დაიტბორა. ცოტა მოსავალს ვინახა-

ვდით სარდაფში და სულ გაგვიფუჭდა”, – ტირილით ამბობს იგი.

ზოგს ქათამი და გოჭი დაეხრჩო. ვინც სარდაფის გაკეთება მოასწრო და იქ ფქვილს, ქატოს და სხვა პროდუქტებს ინახავდა, ყველაფერი წყალში ჩაეყარა.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა სტიქისთან ბრძოლა იმ ღამესვე დაიწყეს, თუმცა ტრაქტორებით და ბულდოზერებით მოვარდნილი წყლისთვის მიმართულების შეცვლა მხოლოდ მეორე დღეს მოხერხდა, როცა მდინარეების დონემ ოდნავ იკლა.

დევნილები საკუთარ კარ-მიდამოს



■ დემურ გოჩაშვილი, 47 წლის დევნილი ცხინვალის რაიონის სოფ. ხეითდან, მარტი 2010

ფოტო თბილი საქართველოს



■ კარალეთის დევნილთა დასახლება, მარტი 2010

■ „ჩვენი საშველი არ ყოფილა, ძლივს მოვეწყვეთ აქ და ეს გვინდოდა? მანამდეც ნესტი იყო ჩვენს სახლებში და ახლა რაღა გამოაშრობს ამოდენა წყალს?“ – ამბობს 67 წლის გურამი, ახალგორიდან დევნილი.



■ კარალეთის დევნილთა დასახლება, მარტი 2010

ფოტო: ირაკლი ბახტარი / დანიელ გორგაძე

სტიქიისგან ბარებითა და თოხებით შეიარაღებულები იცავდნენ.

„ჩვენი საშველი არ ყოფილა, ძლივს მოვეწყვეთ აქ და ეს გვინდოდა? მანამდეც ნესტი იყო ჩვენს სახლებში და ახლა რაღა გამოაშრობს ამოდენა წყალს?“ – ამბობს 67 წლის გურამი, ახალგორიდან დევნილი.

კოტეჯები გადარჩა – წვიმა რომ გა-გრძელებულიყო, წყალი სახლების შიგ-

ნითაც შევიდოდა, თუმცა წვიმის წყალი ზოგიერთ სახლში სახურავიდან ჩავიდა.

მასურაძეების 5-სულიან ოჯახში ჭერი სისველისგან ჩამოწოლილა და წყალი წკაპაწკუპით წვეთავს იატაკზე დადებულ ვედროში. დიასახლისი მზია გელაშვილი ამბობს, რომ აღარ იცოდნენ კარიდან შემოსულ სტიქიისათან ებრძოლათ, თუ სახურავიდან ჩამოსული წყალი შეეკავებინათ.

ადიდებული მდინარე გორის გარეუბანშიც შევარდდა, მთლიანად დაიტბორა ცხინვალის გზატკეცილი. დაზარალდნენ იქვე განთავსებული სამქროების მეპატრონეები. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ავეჯის სამქროების მფლობელები.

ძლიერი წვიმის შედეგად გორში მუნიციპალიტეტის 15-მდე სოფელი დაიტბორა, მათ შორის ბერბუკი, რეხა, ხელ-



■ კარალეთის დეცნილთა დასახლება, მარტი 2010

ფოტო თბილი სამსახურისავალი

თუბანი, სენენთი, თორტიზა, ქინისი, ზედულეთი, ახალსოფელი, კვარხეთი, სკრა, მეჯვრისხევი, შინდისი, ქვახვრელი, ვარიანი, ატენი.

დატბორილი ტერიტორიებიდან წყლის ამოტუმბვაზე სახანძრო მანქანები მუშაობენ.

„სამწუხაროდ, დატბორილი ტერიტორია იმდენად დიდია, რომ სტექის შედეგების ლიკვიდაცია ყველა ობიექტზე ერთდროულად ვერ ხერხდება“, – ამბობს სტექის მეორე დღეს გორის სახანძრო სამსახურის ხელმძღვანელი გია ოქროპირიძე.

გორში მეჯუდამ ორ უბანთან დამაკავშირებელი ხიდი მოგლივა, რომელზეც ბუნებრივი აირის მიღლადენიც გადადოდა, ამიტომ მოსახლეობის ნაწილი გარკვეული პერიოდით გაზის გარეშე დარჩა.

ამჟამად შიდა ქართლის მუნიციპალიტეტები ზარალის დამდგენი კომისიები მუშაობენ. ზარალის ზუსტი ოდენობა ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ შეიძალოს გუბერნატორის, ვლადიმერ ვარძელაშვილის აზრით, იგი 100 ათას ლარზე მეტი იქნება. ■

სტექის შიდა ქართლში

სტექის შედეგად სერიოზული ზარალი მიადგათ ხაშურის, კასპის და ქარელის რაიონებს.

ქარელში ადიდებულმა მდინარემ განსაკუთრებით დაზიანდა სასოფლო გზები. დაბა ხეობის სოფლები დაიტბორა სოფლები კეხიჯვარი, სანებელი, ვედრება და ზღუდერი. ზიანი მიადგა ასევე სოფელ დვანს და ტახტიძირს, სა-

დაც ადიდებულმა მდინარემ ახლად რეაბილიტირებული ხიდი მთლიანად წაილო. დაზიანდა სოფელ მოხასში არსების ადიდების

დეცნილთა 14 კოტევზი, სოფელ ახალსოფელში – 33 ოჯახი, ხოლო ფუაში 5 ოჯახი დაზიარდა.

ხაშურში მდინარე სურამულამ სოფელ სოსიაურის ხიდი და-

აზიანა, მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ ოჯახებში საკარმილამო

ეზოები დატბორა. დაიტბორა ქალაქ ხაშურის 15-მდე ქუჩა, დაზიანდა სასოფლო გზები. დაბა ხეობის სურამში კი, მეწყერის ჩამონილის საფრთხეა. პრობლემები შეექმნა ქალაქის საკანალიზაციო ქსელს.

კასპი – დაიტბორა სასოფლო სამეურნეო სავარგულები. მდინარე ლეხურასა და სარწყავი არსების ადიდების შედეგად 51 ოჯახის ეზო და სარდაფები წყლით აივსო. გზებზე ჩამოტანილია ქალორი. დაზიანებულია საგაზაფხულო ნათესები. ქალაქში 40

მეტრის სიგრძეზე გაფუჭდა საავტომობილო გზა. წყალმა დააზიანა ასევე ელექტროპოძები და სასმელი წყლის მილი კოდისწყაროსა და სამთავისში. წყალი შევიდა სოფელ ლამისყნის და საქადაგისანოს სკოლის შენობებში. დატბორილია ოკამის სკოლის შენობის შესასვლელიც. პრობლემები შეიქმნა სამხრეთი ოსეთის დეფაქტო რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ძლიერი წყიმისა და თოვლის შედეგად ტრანსკავკასიური მაგისტრალის გასწვრივ რამდენიმე ადგილას მეწყერი ჩამოწვა, რამაც ელექტროგადამცემი ხაზები დააზიანა, რის გამოც ცხინვალი 3 დღეს ელექტროენერგიის გარეშე დარჩია. ■

"იმაი" თქვენი წარიცელებისათვის

13 მარტის „ქრონიკა“, რომელმაც მოსახლეობა შეძრა, მედიის მიერ რეალობის სიმულირების კულმინაციად იქცა.

ეკა ჭითანავა



■ „ქრონიკას“ სტუდია, მარტი 2010

„ჩვენ მხოლოდ კეთილი სურვილეული გვამოძრავებს“, – ამბობს „იმედის“ მფლობელი კომპანიის დირექტორი გიორგი არველაძე „მოდელირებული ქრონიკის“ გასვლიდან რამდენიმე დღეში. თითქმის ნახევარი წელია, რაც იგი „იმედს“ სათავეში უდგას. ამასობაში სამუშაო კაბინეტიც შეიცვალა და ახლა სულ ორი სართული აშორებს იმ „ნოუსრუშმს“, სადაც დაინერა და დაიდგა ახლო მომავლის „ყველაზე საშინელი დღის“ სცენარი.

არველაძის თქმით, „მოდელირებული ქრონიკის“ მიზანი იყო, საზოგადოე-

ბას თვალნათლივ დაწინახა რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხეები. მას სჯერა, რომ საზოგადოებას დიდი სამსახური გაუწია და, როცა ემოციები ჩაცხერება, ხალხი რეალობას საღად შეაფასებს.

გადაცემის დაგეგმვის მთავარი დეტალები დღემდე ბუნდოვანია. „ლიბერალთან“ საუბარში არველაძე არ მაღავს, რომ გადაცემის მომზადებაში პირადად მონაწილეობდა. თუმცა, სახელისუფლებო წრების ან პრეზიდენტის მიერ სიუჟეტის დაკვეთის ვერსიას კატეგორიულად უარყოფს.

■ „13 მარტის გადაცემის პათოსი ის იყო, რომ ერთადერთი პატრიოტული ძალა ხელისუფლებაა. ყველა დანარჩენი მოლალატედაა გამოყვანილი. ეს არის პოლიტიკური პარანოია“.

კერ კიდევ ნახევარი წლის წინ თანამდებობაზე ახლად დანიშნული არველაძე მასთან გასაუბრებაზე მისულ ახლაგაზრდა უურნალისტებს სარედაქციო დამოუკიდებლობას ჰპირდებოდა. საუბრისას წითელ ღვინოს წრუპავდა და ცალი თვალით დიდ ეკრანზე „ქრონიკის“ ეთერში უურნალისტ ნოდარ მელაძის ჩართვას აკვირდებოდა. გასაუბრება ხელს არ უშლიდა, რომ „ქრონიკაში“ თითოეული სიუჟეტის გასვლის შემდეგ პროდიუსერთან რეკომენდაციებით დაერევა, უურნალისტებისთვის კი თავისი შთაბეჭდილებები გაეზიარებინა – მომწონს ნამყვანის აგრესიული ტონი, მალიზიანებს გრძელი სიუჟეტები.

2009 წლის ივლისში პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსის, ეკონომიკის ყოფილი მინისტრისა და „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი გენერალური მდინარის „იმედზე“ მისვლა არზე სახელისუფლებო კონტროლის დამყარებას ნიშნავდა. თუმცა, არველაძე დანიშნის დღიდან ხახს უსამადა იმას, რომ იგი მედიაპოლიტიკის სარედაქციო პოლიტიკაში არ ჩაერევა.

საინფორმაციო გამოშვებებს არველაძის პოლიტიკური შეხედულებების გავლენა მაღლე დაეტყო. დაახლოებით სექტემბრიდან „იმედის“ საინფორმაციო გამოშვებების მთავარი თემა ანტირუსული პროპაგანდა გახდა. რუსეთის შესახებ მომზადებული სიუჟეტები მუდამ გადაცემის პირველ ბლოკში ხვდებოდა, თუნდაც ეს მოსკოვში კანონიერი ქურდის დაკავება ყოფილიყო. ხანდახან ისეც ხდებოდა, რომ ერთსათან საინფორმაციო გამოშვებაში რუსეთის თემას მთელი 30 წუთი ეთმობოდა.

„რუსეთი კველაზე მეტად აინტერესებთ. ოლონდ კი რამე გაიგონ, ხელიდან არ გაუშვებენ. ასეთ დეტალებს პროდიუსერები გამუდმებით ქექავენ“, – იხსენებს ერთ-ერთი პრაქტიკანტი გოგონა იმ პერიოდს, როცა ქართულმა მედიამ საქველმოქმედო კონცერტით მოსკოვში ჩასულ პაატა ბურჯულაძეს თითქმის ლალატში დასდო ბრალი.

თუმცა, ამ სიუჟეტების უმრავლესობას აერთიანებს არა მოვლენების სილრმისეული ანალიზი, არამედ ზედაპირული ანტირუსული განწყობა. ნინო ბურჯანაძისა და ზურაბ ნოლაიდელის მოსკოვში ვიზიტი, რომელსაც „ქრონიკაში“ ათამდე სიუჟეტი მოუძღვნა, ამ არზე არა კომპეტიტური პირების, არამედ ქართველი ხელოვანების განსჯის საგნად იქცა. „ახალი ორვერნიკიძეების“ ვოიაჟი უურნალისტებმა

მწერლებს, მსახიობებსა და მომღერლებს ზედიზედ ორვერ – ორ სხვადასხვა დღეს, სხვადასხვა სიუჟეტში შეაფასებინეს.

რატომ უჭირს ბურჯანაძეს რუსეთის კრიტიკა? – დასვა მნიშვნელოვანი კითხვა სიუჟეტის წარდგენისას საინფორმაციო გამოშვების წამყვანმა. თუმცა სიუჟეტში პასუხის მოძებნა აუტორს სერიოზულად არც უცდია: „ბურჯანაძე დაბრუნები იყო, როცა მამაკაცი [პუტინი] მის წინ საკმაოდ ფართოდ გამლილი ფეხებით იჯდა“, – ამბობდა მისი ერთერთი რესპონდენტი.

არველაძე არზე მისვლის დროს რამიც გვარმუნებდა, დღესაც იმას ამტეკიცებს: არხის სარედაქციო დამოუკიდებლობაში არ ვერევონ. „სპეციალური რეპორტაჟის“ სცენარის შექმნაში მონაწილეობას კი მხოლოდ „პროცესის მენეჯმენტს“ უწოდებს.

საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ის, რაც 13 მარტს მოხდა, უკვე არა დაფარული, არამედ აშკარა ტყუილი იყო. ეს იყო ლოგიკური კულმინაცია, რისკენაც, არა მხოლოდ „იმედი“, არამედ სხვა ნაციონალური მაუნიებლებიც ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდნენ.

არხის საინფორმაციო პოლიტიკას არველაძე მარტივად სხინის: „როცა საფრთხე ქვეყნის სუვერენიტეტს ემუქრება, პროპაგანდასა და მოვლენების ანალიზს შორის ზღვარი არ არსებობს“. საქართველო რომ მუდმივ საფრთხეშია, ხელისუფლება კი – ერთადერთი მხსნელი, ამის დამტკიცებას არველაძე არზე მისვლის დღიდან ცდილობს.

სოციოლოგების აზრით, მოღალატის ხატის დამკიდრება და ერთადერთი მხსნელის ძიება ტოტალიტარული აზროვნების გამოხატულება. „13 მარტის გადაცემის ძირითადი პათოსი ის იყო, რომ ერთადერთი პატრიოტული, სახელმწიფოებრივად მიაზროვნებ ძალა არის ხელისუფლება. ყველა დანარჩენი მოღალატედაა გამოყვანილი. ეს არის პოლიტიკური პარანოია“, – აცხადებს სოციოლოგი იაგო კაჭაჭაჭიშვილი.

„სპეციალური რეპორტაჟის“ იდეა გიორგი არველაძეს ეკუთვნის. „გადაცემა, რომელიც ფაქტურზე დაყრდნობით შეაფახებს ქვეების პოლიტიკურ ცხოვრებას“, – ასე ახასიათებდა იგი ამ გადაცემის ჩანაფიქრს ნახევარი წლის წინ.

ნათა კობერიძემ „სპეციალური რეპორტაჟის“ ხუთი გადაცემა წაიყვანა. უურნალისტი აცხადებს, რომ მის სარედაქციო დამოუკიდებლობაში არ

თარიღები



29 მარტი, 2006

ბადრი პატარკაციშვილი მთავრობის ძალოვან და საფინანსო უწყებებს „იმედზე“ ზენოლაში ადანაშაულებს. ხელისუფლების უკამყოფილებას ის სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გაშუქებას აპრალებს.

28 აპრილი, 2006

„იმედის“ აქციები მედიამაგნატ რუპერტ მერდოვის კომპანია News Corporation-მა შეისყიდა. News Corp-ი წლიური 24-მილიარდიანი შემთხვევით ქართულ მედია-ბაზარზე შემოსული პირველი უცხოური კორპორაცია იყო.

7 ივლისი, 2006

„ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში პირდაპირ ისმოდა მოწოდებები რევლუციისეკენ და მასიმარივი საპროტესტო აქციებისეკენ“, – აცხადებდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გორგი არველაძე.

2 ნოემბერი, 2007

ბადრი პატარკაციშვილი ლიად ჩაერთო გაერთიანებული ოპოზიციის საპროტესტო მოძრაობაში, რომელიც ირაკლი იქრუაშვილის დაჭრის შემდეგ დაიწყო.

7 ნოემბერი, 2007

სპეცრაზმი „იმედის“ შენობაში შეიჭრა. არხმა მაუნიებლობა შეწყვიტა. ერთი კვირის თავზე დააყადალეს მისი ქონებაც. საქართველოს კომუნიკაციის ეროვნულმა კომისიამ ტელეკომპანიას სამაუნიებლო ლიცენზია სამი თვეით შეუჩერა.

25 მელბერი, 2007

როინჟერე გამიართა „იმედის“ მხარ-დასაჭერი მრავალათასიანი აქცია. არხი დატოვა ორმა პოპულარულ-მა წარმატებაში – ინგა გრიგოლიაშ და ეკა ხოფერიაშ.

12 დეკემბერი, 2007

„იმედიმ“ საპრეზიდენტო არჩევ-ნებაში დატოვათი დღით ადრე მაუწყებლობა განახლდა.

26 დეკემბერი, 2007

მას შემდეგ, რაც ბადრი პატარკა-ცის შემდეგ ხელისუფლების წინააღ-მდეგ შეთქმულების სკანდალში გახეხვა, ექვსმა უურნალისტმა „იმედი“ დატოვა. ამავე დღეს, რი-გვარეშე საპრეზიდენტო არჩევნე-ბაში დღით ადრე, „იმედიმ“ მაუწყებლობა წერილობით შეწყვიტა.

13 თებერვალი, 2008

ლონდონში გულის შეტევით გარდაიცვალა ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი.

12 მარტი, 2008

ჯოზეფ ქეიმ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-თან სატელეფონო საუბრისას განაცხადა, რომ ის იყო „იმედის“ ახალი მეპატრონე.

1 სექტემბერი, 2008

„იმედიმ“ საინფორმაციო მაუწყე-ბლობა განახლდა.

10 მარტი, 2008

ბადრი პატარკაციშვილის ოჯახმა „იმედის“ დასაპრუნებლად სამარ-თლებრივი ბრძოლა დაიწყო. მათ მოიპოვეს ამერიკელი ექსპერტის დასკვნა, რომელიც ჯოზეფ ქეის მიერ „იმედის“ მფლობელობასთან დაკავშირდებულ დოკუმენტებზე ხელმოწერის სიყვალეს ამტკიცებს.

25 თებერვალი, 2009

მედრა პოლიტიკის 90% წილის მფლობელი RAK Georgia Holding გახდა, წილის 10% კი ჯოზეფ ქეის საკუთრებაში რჩება.

13 ივლისი, 2009

გიორგი არველაძე, პრეზიდენტ სააკაშვილის დიდი ხნის მოკავში-რე და მთავრობის ყოფილი წევრი, „იმედის“ გენერალური დირექტო-რი გახდა.

ერევიან. თუმცა, მისივე თქმით, ხუთი-დან ორი თოქ-შოუსთვის სიუჟეტების მომზადებაში მონაწილეობა არ მიუ-ლია.

პირველი, შვიდწუთიანი სიუჟეტი „სააკაშვილის ეპოქა“ პრეზიდენტის დამსახურებებს ეძღვნებოდა. „მისი პრეზიდენტობაზე უსტად ექვსი წლის წინ პარლამენტთან ჩატარებული ინაუ-გურაციით დაიწყო. ასე დაიწყო საქართველოში ყველაზე დიდი გარდაქმნების, რეფორმებისა და პოლიტიკური ვნებათაღლვის ბობოქარი პერიოდი, რომელიც დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისტორიაში შევა, როგორც სააკაშვილის ეპოქა“, – ამბობდა სიუჟეტის ავტორი.

„ეს ტექსტი ჩემი არ იყო, – აცხადებს კონტენტი, – ვახო სანაიას წასვლის გამო ცაიტონტში ვიყავით და მე უბრა-ლოდ გადაცემა წავიყვანე. ტექსტი პა-თეტიკურია, თუმცა ტყუილი არაა.“

მეორე სიუჟეტი, „მოდელირებული ქრონიკა“ ნათია კობერიძემ თოქ-შოუს ეთერში გასვლამდე საათ-ნაცვრით ადრე ნახა. „არ მომენტა, თუმცა, არ გამიპორტესტება“, – ამბობს უურნა-ლისტი.

„იქ, სადაც პროგანდა, სარედაქ-ციო დამოუკიდებლობაზე მსჯელობაც კი სასაცილოა“, – ამბობს უურნალისტი ზევიად ქორიძე. მისი აზრით, არაპრო-ფესიონალიზმის ამგარი მაგალითები ქართულ მედიაში მრავლადაა, „თუმ-ცა 13 მარტის შემთხვევა არ შეიძლება უურნალისტური კატეგორიებით განვი-სილოთ“. ქორიძე მოდელირებულ „ქრო-ნიკას“ არ მხოლოდ პროფესიული ეთი-კის დარღვევად, არამედ კრიმინალად მიიჩნევს და აზრი სისხლის სამართლის საქმის აღძრას მოითხოვს.

იურისტები „ქრონიკის“ 13 მარტის სიუჟეტს ასეთ მკაცრ შეფასებას არ აძ-ლევენ. თუმცა, მათი ნანილი ფიქრობს, რომ საზოგადოების აქტიური გამოხ-მაურების მიუხედავად, „იმედმა“ თავი ადვილად დაიძრინა.

15 მარტს კომუნიკაციების ეროვნულ-მა კომისიამ ტელეკომპანია „იმედის“ დაავალა მაუწყებლის ქცევის კოდექ-სის დარღვევისთვის პირდაპირ ეთერში დეკლარაციის გამოქვეყნება. ახალგა-ზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი თამარ კორძაია ამ გადაწყვეტილებას უსამართლოს უწოდებს. „იმედმა“ ბო-დიში რამდენჯერმე მოიხადა. გამოდის, მას კომუნიკაციების კომისიამ დაავალა ის, რაც არხმა მანამდე ისედაც გაავე-თა. ჩვენი მოთხოვნა საზოგადოებრივი

არეულობის გამოწვევისთვის „იმედის“ დაჯარიმება იყო“, – აცხადებს კორძაია.

კომისიამ არც რადიო „იმედის“ საკი-თხი განიხილა. ტელესიუჟეტი პირდა-პირ ეთერში რადიოსადგურმაც გადას-ცა. რადიო „იმედის“ სანფორმაციო სამსახურის უფროსი ეკა ეგაძე აცხა-დებს, რომ შეცდომა დაუშევს, წამყვანს მართლაც ეგონა, რომ ომი დაიწყო და თავი ვაღლდებულად ჩათვალა, გადაცე-მის პირდაპირი ტრანსლირება გაეკე-თებინა. ეგაძის ეს განცხადება ნაკ-ლებად დამაჯერებელია, მაგრამ ამავე დროს აბათილებს ტელეარხის ხელ-მძღვანელობის არგუმენტებსაც, რომ საზოგადოების გასაფრთხოებლად არხის ხელმძღვანელებმა ყველაფერი გააკეთა.

სამართლებრივი დარღვევების გარდა, დგება სოციალური პასუხისმგებლობის საკითხიც. ქვეყანაში ემოციური ფონის გაძლიერებით დაინტერესებულია ხე-ლისუფლება, რომელიც მედიის საშუა-ლებით მანიპულირებს და საზოგადოე-ბის მტკიცნეულ გრძნობებზე თამაშობს. იმიტირებულ „ქრონიკას“ ხალხისთვის გასაზრდებლად მარტივი მოდელის შეთავაზება უნდოდა: რუსეთი არის მტერი, ყველა პოლიტიკური ძალა კი, რომელიც მტერთან ასოცირდება – მო-დალატე.

„მოხდა საქართველოს ისრაელიზა-ცია. ისევე, როგორც ისრაელის საზო-გადოება უნდა იმყოფებოდეს მუდმივი ტერორისა და დესტაბილიზაციის მო-ლოდინში, ისე ვართ ჩვენც, – აცხადებს სოციოლოგი იაგო კაჭკაშიშვილი, – სა-ქართველოს მოქალაქეს ჩემოდანი მუდ-მივად ჩამოაგებული უნდა ჰქონდეს და მზად იყოს გასაქცევებდ, რომ კატაკომ-ბებს თავა შეაფაროს“. 13 მარტის სიუჟეტსა და მის შედე-გებზე მთელ პასუხისმგებლას გიორ-გი არველაძე იღებს. თუმცა, ეს ის შე-მთხვევაა, როცა პასუხისმგებლობას მხოლოდ ერთი ხელმძღვანელი, ანდა ერთი არხი კი უნდა გრძნობდეს, არამედ ისიც, ვისაც ეს არხი ემსახუ-რება.

საზოგადოებრივი მუდმივი შენარჩუნება ყველაზე მეტად ხელისუ-ფლებას აძლევს ხელს, რადგან ადვი-ლია შიშით დამუხტული ემოციური სა-ზოგადოების მართვა, რომელმაც მოახლოებულ არჩევნებზე სწორი გადა-წყვეტილება უნდა მიიღოს. „იმედი“ კი, 13 მარტის გადაწყვეტილებას და მის შედე-გებზე მთელ პასუხისმგებლას გიორ-გი არველაძე იღებს. თუმცა, ეს ის შე-მთხვევაა, როცა პასუხისმგებლობას მხოლოდ ერთი ხელმძღვანელი, ანდა ერთი არხი კი უნდა გრძნობდეს, არამედ ისიც, ვისაც ეს არხი ემსახუ-რება.

საზოგადოებრივი მუდმივი შენარჩუნება ყველაზე მეტად ხელისუ-ფლებას აძლევს ხელს, რადგან ადვი-ლია შიშით დამუხტული ემოციური სა-ზოგადოების მართვა, რომელმაც მოახლოებულ არჩევნებზე სწორი გადა-წყვეტილება უნდა მიიღოს. „იმედი“ კი, 13 მარტის გადაწყვეტილებას და მის შედე-გებზე მთელ პასუხისმგებლას გიორ-გი არველაძე იგი უნდა გრძნობდეს, მოსახლეობას სწორებაში ემსახუ-რება. ც

პარეკა მოსახლეობაში

მასობივი შოა

მოდელირებულმა „ქრონიკამ“ მოსახლეობის დიდ ნაწილს
ჯანმრთელობის პრობლემები შეუქმნა.

თამარ ფარადაშვილი, ნინო დაუშვილი



სოფ. არაგვისპირში გაიოზ ოდიშელიძეს გლოვობენ, მარტი 2010

სოფელ არაგვისპირში ოდიშელიძეების ეზოში მიცვალებულის შესანდობარი სუფრა გაშლილი. იქვე მწოლიარე ძალი შავოსან ხალხს მოწყენილი ათვალიერებს. სახლიდან დროდადრო ტირილის ხმა ისმის. სოფელში გაიოზ ოდიშელიძის გარდაცვალებას გლოვონები.

50 წლის გაიოზ ოდიშელიძე 13 მარტს ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გასულ იმიტირებულ „ქრონიკას“ უყურებდა. სიუჟეტის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე გულის არეში ძლიერი ტკივილი იგრძნო და სკამიდან გადმოვარდა. დუშეთის რაიონული ცენტრიდან 10 წუთში მისული სასწრაფო დახმარების ჯგუფს ოდიშელიძე გარდაცვლილი დახვდა. გარდაცვალების მიზეზი ინფარქტი იყო.

ოდიშელიძეს 7 წლის ნინ უკვე გადატანილი ჰქონდა ინფარქტი, თუმცა ბოლო პერიოდის განმავლობაში

■ სიუჟეტმა
განსაკუთრებით
იმოქმედა სამხრეთი
ოსეთიდან დავნილებზე
და იმ ადამიანებზე,
ვისი შვილებიც ჯარში
მსახურობენ.

ჯანმრთელობის პრობლემა არ ჰქონია. მდინარე არაგვზე ქვიშა-ხრეშის სანარმოში მუშაობდა და ოჯახის ერთადერთი მარჩენალი იყო.

ოჯახის ნევრების აზრით, გარდაცვალების მიზეზი იმიტირებული

„ქრონიკა“ გახდა.

„გადაცემის ყურებისას დედაჩემბა იკივლა, – ომი დაინუო, მცხეთაში არიანო. ახლოა მცხეთა. გვეგონა, დაგვბომბეს და დავიღუპებოდით“, – ამბობს გარდაცვლილის შვილი ალეკო ოდიშელიძე.

იმიტირებულმა „ქრონიკამ“ 13 მარტს არა მხოლოდ ოდიშელიძეების ოჯახი დაზარალა. თბილისის სასწრაფო დახმარების სადგურის (033) სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსის, ბესო წულაძის თქმით, „ქრონიკას“ მიმდინარეობისას, ფაახლოებით 1 საათის განმავლობაში გამოძახებების რიცხვმა, ჩვეულებრივთან შედარებით, 50 პროცენტით იმატა. პაციენტთა უმრავლესობას გულთან და ნერვულ სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები აღნიშნებოდა.

სიუჟეტმა განსაკუთრებით იმოქმედა სამხრეთი ოსეთიდან დევნილებზე და იმ ადამიანებზე, ვისი შვილებიც ჯარში მსახურობენ. ხომში მცხოვრებ გურამ ბაბილეიშვილს გულის შეტევა დაემართა, როცა გაიგო, რომ იბომბებიდა ფოთი, სადაც მისი ვაჟი სასაზღვრო ძალებში მსახურობს.

გართულდა იმ ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობაც, ვისაც ფსიქიური პრობლემები აწებებს. ფსიქოლოგთა და ფსიქოთერაპიის ასოციაციის განცხადებით, მათ ექიმებს დასახმარებლად სიუჟეტიდან ერთი კირის განმავლობაში ჩვეულებრივზე 3-ჯერ მეტი ადამიანი დაუკავშირდა.

„რეკავდნენ ისტერიკულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები, რომელთაც დაუცველობის, შიშის გრძნობა ჰქონდათ. ფსიქიური პრობლემების მქონე ზოგიერთ ადამიანს თვეების მანძილზე დახმარება არ დასჭირებია, სიუჟეტის შემდეგ კი, მდგომარეობა გაუმნვავდათ“, – ამბობს ასოციაციის

ფსიქოთერაპევტი სოფიო ვერულაშვილი.

10 წლის თორნიკე გუდაძე ფსიქოლოგთა და ფსიქოთერაპიის ასოციაციის კლიენტი არ ყოფილა, მაგრამ „სპეციალურ რეპორტაჟში“ გასული სიუჟეტის დასასრულს მასაც ნევროტული აშლილობა დაემართა.

„არ მინდა ომი, არ მინდა სისხლი, – ასე ყვიროდა ბავშვი სიუჟეტის დასრულების შემდეგ“, – იხსენებს თორნიკეს მამა ნიკოლოზ გუდაძე.

სიუჟეტმა პანიკაში ჩააგდო 31 წლის ნათია თომაძეც. ის 36 კვირის ორსული იყო. „ომის კადრების ნახვისას მუცელზე ხელი იტაცა და ისტერიკულად ატირდა, – ახლა მე რა მეშველებარ“, – ჰყვება თომაძის დედამთლი ლიანა ვეფხვაძე. ღამე ნათიას სამშობიარო ტკივილები დაეწყო. ქორიძის სახელობის №4 სამშობიაროში საკეისრო კვეთა ჩაუტარდა. ბავშვი ერთი თვით ადრე დაიბადა. თუმცა, ნაადრევ მშობიარობასთან „ქრონიკის“ სიუჟეტის კავშირს გამორიცხავს საავადმყოფოს სამანო განყოფილების უფროსი დავით ქაჯაია: „იმის მტკიცება, რომ თომაძემ ერთი თვით ადრე იმიტირებული „ქრონიკის“ გამო იმშობიარა, შეუძლებელა. სტატისტიკურად ნაადრევი მშობიარობის რიცხვი წელიწადში 15-25 პროცენტია, ამიტომ დიდია შანსი, რომ ამ შემთხვევაში, ეს უბრალოდ დამთხვევა იყოს“.

„იმედის“ ეთერში გასული სიუჟეტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას სხვადასხვა ორგანიზაცია უწევს იურიდიულ დახმარებას. მათ შორის არის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, რომელსაც ამჟამად საჩივრით მხოლოდ ერთმა მოქალაქემ მიმართა. მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველის აპარატში კი სულ 3 საჩივარი განიხილება.

„მოქალაქები ჩივიან იმის გამო, რომ იმიტირებული „ქრონიკის“ ურჩებისას ნერვული შოკი დაემართათ, სასწრაფოს გამოძახება დასჭირდათ და ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუუარესდათ“, – ამბობს მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველი დათო ეპრალიძე.


იმ ადამიანებს შორის, რომლებიც აღნიშნულ ორგანიზაციებს სამართლებრივი დახმარებისთვის დაუკავშირდნენ, არ არიან „ლიბერალის“ რესპონდენტები. „ადამიანი დაიღუპა და ჩივილი რაღას უშველის“, – ამბობს ალექსო ოდიშელიძე. □

სხინძალის რეაქცია

ქრონიკი ვიზუალი

ერთი კვირაა, ცხინვალში ყველა იმას ჰყვება, რა ემოცია ჰქონდათ, როცა გაიგეს, რომ „მოდელირებული“ ომი დაიწყო.

ზალინა სიუჟავა, ცხინვალი



ახალგაზრდა ქალი თვალმოუშორებლად შესცემოდა ტელევიზორს. ტკივილადები ნაცნობი სურათი მეორებოდა. ქართული ტანკები. სააკაშვილი. სიტყვები: ინტერვენცია, ოკუპაცია, რუსები, ცხინვალი, თბილისი.....

თვალინი 2008 წლის აგვისტოს კადრები დაუდგა. სარდაფში გატარებული ჯოჯონეთური დღეები და საათები – აფეთქებების ხმა, ქართული ტანკები ცხინვალში, პატარა შვილი მშეირწყობრვალი.

„მეგობარმა დამირეკა, კიოდა, – „იმედზე“ გადართე, ომი იწყებაო. ქართული ცუდად მესმის. ყურებს არ ვუჯერებდი. არ ვიცოდი, რა მექნა. ბავშვს უკვე ეძინა. კანგალმა ამიტანა, მთელი სხეულით ვძაგლაგებდი. ომის შემდეგ ნერვები საერთოდ არ მივარგა. დავინუე ქმართან და ნათესავებთან რეკვა. არავინ არ მპასუხობდა. გიუივით დაგრბოდი, საბუთები მოვძებნე, ბარგის ჩალაგება დავინუე.

■ დღეს ცხინვალში უფრო ყურადღებით ადევნებენ თვალს ქართულ ტელეარხებს, ვიდრე ეს ომამდე იყო. „იმედის“ სიუჟეტმა ნარმოუდგენელი პანიკა გამოიწვია ცხინვალში. ინფორმაცია ელვის სისწრაფით მოედო პატარა ქალაქს.

როგორც იქნა, ჩემი ქმარი დამიკავშირდა, მითხრა, – ყველაფერი კარგადაა, სიწყნარეაო. არ დაფუჯერებუ. უკვე ისტერიკა მქონდა, თავს ვერ ვაკონ-

ტროლებდა. ამ დროს მეზობლის ქალი შემოვარდა, ნუ გეშინია, ეს ყველაფერი დადგმული ყოფილაომ“, – 25 წლის ცხინვალელ ზარინა ფუხაევას ამის შემდეგ აღარაფერი ახსოვს – გული წაუკითა. მერე კი ნერვიული შეტევით საავა-დომყოფში მოხვდა.

დღეს ცხინვალში უფრო ყურადღებით ადგენერებით თვალს ქართულ ტელე-არხებს, ვიდრე ეს ომამდე იყო. ვინც ცოტაოდენი ქართული მანიც იცის, ცდილობს არ ჩამორჩეს ქართულ შიდა-პოლიტიკურ სიახლეებს, რათა უნინდელივით მოუმზადებლები არ შეხვდნენ ომს; საკუთარი თავიც გადაირჩინონ, ნათესავებიც და ყველა, ვინც 2008 წლის აგვისტოში ასე დაუცველი იყო. სწორედ ამიტომ „იმედის“ სიუჟეტმა წარმოედგნელი პანიკა გამოიწვია ცხინვალში. ინფორმაცია ელვის სისწრაფით მოედო პატარა ქალაქს.

შეუძლებელია სიტყვებით იმის გად-
მოცემა, რაც ცხნივალში „იმედის“ მო-
დელირებული სიუჟეტის ეთერში მსვ-
ლელობის ფროს ხდებოდა.

წყნარი საღმო დაარღვია ცნობამ იმის შესახებ, რომ თავს დაესხნენ პრეზიდენტ ედუარდ კოკოითის, ასევე საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სა-აკაშვილსაც.

სიუჟეტში ამბობდნენ, რომ ტანკები
ცხინვალის, თუ გორის მიმართულებით
გადაადგილდებიან.

აღელვებული ადამიანები ერთმანეთს ურეკავდნენ, რის გამოც, სატელეფონო კავშირი თითქმის გაწყდა. იმ 30-მა წუთმა, როდესაც სიუჟეტი მიმდინარეობდა, ყველა 2008 წლის აგვისტოში დააპრონა.

„მხოლოდ ერთი აზრი მიტრია ალებდა,
– ნეტა ეს რაიმე სანვლება იყოს, ნეტა
2010 წლის 13 მარტი მსოფლიოსთვის
1941 წლის 22 ივნისად არ იქცეს. გო-
ნებაში შესაძლო ვარიანტებს განვიხი-
ლავდი – თუ აშშ ჩაერევა, ეს გარდაუ-
ვალი მესამე მსოფლიო ომია. თითქოს
ჩემი შიშების დასტურად, „იმედი“ სწო-
რედ ბარაյ იბამას და უცხო ქვეყნების
ელჩების კომენტარებს უჩვენებდა“, –
ჰყვება ლარისა ცხოვრებოვა.

როდესაც გაირკვა, რომ ეს მხოლოდ ინსცუნირება იყო, დაისვა კითხვა – „ვის და რაში დასჭირდა ამის გაკეთება?“ ეს ერთ-ერთი მთავარი სასაუბრო თემაა ცხნივალში, როგორც რიგით მოქალა-ქებს შორის, ისე ხელისუფლების დო-ნაზეც.

სხვადასხვა დონის ანალიტიკოსები,
უკვე ერთი კვირაა, ბჭობენ, რომ მეტ-

ნაკლებად მართალ პასუხს მიაგნონ. სამხრეთი ოსეთის საზოგადოების აზრი ცალსახაა – თუკი საქართველოში იმზე ლაპარაკობენ, ეს ნებისმიერ შემთხვევაში სამხრეთ ოსეთსაც ეხება. ოსები, მხოლოდ წელიწად-ნახევარის, შედარებით მშვიდ და უსაფრთხო გარემოში ცხოვრობენ. ეს ძალიან მცირე დროა შიშის გადასალახად – მათ ათვეულებრო მეტ ხანს იცხოვრეს საომარ დღვეომარეობაში.

სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებელი
ექსპერტი გენადი კოკოვი მიზნევს,
რომ, აშკარა პროპაგანდისტული მიზ-
ნის გარდა, ამ სიუჟეტის დანიშნულე-
ბა ისიც იყო, რომ საქართველოს მიერ
ოსეთან და აფხაზეთან კონფლიქტის
შემნის იდეა შეემოწმებათ.

„საქმე ისაა, რომ ტელეკომპანიის ვირტუალურ სცენარს ქეთეტექსტად ახლდა იდეა, რომ სამხრეთი ოსეთი-სა და საქორთველოს ხალხებს შორის არსებულ პრობლემას მხოლოდ ორივე ქვეყნის მოქმედი ლიდერების ჩამოშორება თუ მოაგვარებს. სიუჟეტი ნათევამი იყო, რომ არაადეკვატური პრეზიდენტის – საკაშვილის აბითიცა – ნინო ბურჯანაძე და ზურაბ ნოღაიძელი – ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, არათუ ამ ხალხებს შერიგებას შეძლებენ, არამედ სამხრეთი ოსეთის-თვის კონფედერაციული ურთიერთობების შეთავაზებით – „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა-საც“, – ამბობს კოკოვი.

„უფრო დიდი ალბათობა არსებობს, ვიკარაუდოთ, რომ ამ აქციის დამკვეთთა მიზნი იყო, პირველ რიგში, მოვლენათა ასეთი განვითარების სკონარის „გათამაშება“, და, შესაძლოა, გაფრთხილებაც; მეორე – ოპოზიციონერების პოზიციის შერყევა, მათთვის „პრორუსული განწყობას“ დაბრალებით; და მესამე – საქართველოში ძლიერი ანტირუსული მუხტის შენარჩუნება. რა-მდენად ეფექტურად განხორციელდა პირველი ორი მიზნი, ამას მოიმვალი ავინენიებს, ხოლო რაა შეიძინა რუსული მუხტის შემთხვევაში.

სოფუბიას, მისი მორიგი ამოფრქვევა
ქართულ საზოგადოებაში ალბათ უკვე
პოვებას მიაღწევს. ამ ფონზე ზემოთ
ხსენებული ოპოზიციონერების რეაგინ-
გის დაცემა პრატეტიკულად გარდაუვა-
ლია”, – მიაჩნია მას.

ოფიციალურმა ცხინვალმა მაშინვე
განცხადა, რომ „იმედის“ მიერ გადა-
ცემული მასალა პროვოკაციაა რუსე-
თის წინააღმდეგ:

„სააკაშვილი პანიკაშია. მას ისლადა დარჩა, რომ ქართველი და რუსი ხალხი ერთმანეთს გადაჰკიდოს“, - განაცხადა პოსტკონფლიქტური დარეგულირების საქმეში ოსეთის პრეზიდენტის პოლიტიკურმა ნარმომადგენელმა ბორის ჩოჩიევმა.

თავის მხრივ, სამხრეთი ოსეთის მე-
თაური ედუარდ კოკიოთი ამბობს, რომ
ეს პოლიტიკური პროცესია, რადგან
ამ ინფორმაციას სამხრეთი ოსეთის სა-
ზღვრებთან დამატებითი ქართული ძა-
ლების მობილიზება მოჰყება.

„შესაძლოა, ეს საქართველოს მხრიდან უბრალოდ გარკვეული ქმედებების დამუშავება იყო სამხრეთი ოსეთის მიმართ“, – აღნიშნა კოკითაძემ.

მხოლოდ ვარაუდი შეიძლება არსებო-
ბდეს იმაზე, თუ რა მიზანი ჰქონდათ
მოდელირებული საინფორმაციო გა-
მოშვების აყვარებას. თუმცა, უკვე ცხა-
დია ის, რომ ამ სიუჟეტმა სამხრეთ
ოსეთსა და საქართველოს შორის არსე-
ბული განხეთქილება კიდევ მეტად გა-
აღრმავა. საქართველომ კიდევ ერთხელ
– თუნდაც ვირტუალურად, შეძლო თის
ხალხის დაშინება. აგვისტოს ომის
დროინდელი ჭრილობები „იმედის“ სიუ-
ჟეტის შემდეგ თავიდან გაიხსნა. სა-
მხრეთი თემის დაზიანებული მოსახლე-
ობისთვის კი ტელეარხის მიერ მოხდილი
პოდიშები ვერაფერი ნუგებია. თუმცა,
ალბათ ამ პოდიშის აღრესატები ჩვენ
არავ გართ. **¶**

სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები
და გამოყენებული ტერმინოლოგია
ეკუთვნის ავტორს, და არა „ლიბერალს“



სტატია მომზადებულია პაინტიკ პიოლის ფონდის მხარდაჭერით
ამ პუბლიკაციაში გამოიქმული შეხედულებები და მოსაზრებები
არ არის აუცილებელი, გამოხატვდეს პაინტიკ პიოლის ფონდის
შეხედულებებს.

"ზოგანი ანალიზსა და პროგნოზის შორის ას ახსებობს"

ინტერვიუ „იმედის“ მთლიანების კომპანიის დირექტორთან,
გიორგი არველაძესთან

გიორგი არველაძე ბოდიშს იხდის საზოგადოების წინაშე, თუმცა მიიჩნევს, რომ მოდელირებული „ქრონიკა“ საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურებოდა. სცენარის შექმნაში მონაწილეობის მიუხედავად, იგი სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევასაც უარყოფს, და მიიჩნევს, რომ „იმედის“ „პროფესიონალებით“ დაკომპლექტებული გუნდი საზოგადოების ნდობას ადვილად აღიდგენს.

**რა იყო „მინდელირებული“, „ქრონიკას“
მიზანი? რატომ გავიდა ამ შინაარსისა და
ფორმის გადაცემა ეთერში?**

ამ გადაცემის მიზანი ხალხის დაშინება და პანიკის გამოწვევა არ ყოფილა. გვინდოდა, საზოგადოების ყურადღება ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებულ საფრთხეებზე გაგვემახვილებინა და გვეთქვა, რომ ამ საფრთხეებისკენ მიმავალ გზაზე უფრო ფხიზლად უნდა ვყოფთ. 2008 წელს, როცა რუსები შემოვიდნენ, მათთან კოორდინაციაში მყოფი ქართველი ვერ იპოვეს, რუსებს ადგილზე არ ჰქონდათ ბაზა, რომ სიტუაცია შეეცვალათ, არ არსებობდა ქართველი, ვინც ამას გააკეთებდა. დღეს ასეთი ადამიანები არსებობენ. ისინი პირდაპირ და საჯაროდ აცხადებენ, რომ თუ რუსეთის არმია შემოვა, მაინც იძრძლებენ ადგილიობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ. „იმედი“ ხელისუფლების ადვოკატი არ არის, ვერწოდა, პროტესტი გამოგვეხატა იმის მიმართ, რაც ხდება, და მერე თუნდაც განგაშის ზარი დაგვერევა და გამოგვევზიზლებინა საზოგადოება. ჩვენ ჩერალურიდ უნდა შევაფასოთ, რა სჭირდება ქვეყნას, რომ იგი გადავარჩინოთ.

იმედი მაქვს, რომ ემოციები დაცხრება და საღად შევაფასებთ იმას, რაც მოხდა. ამ გადაცემის სცენარს წინასწარ გაეცნენ პოლიტიკური ექსპერტები – მაგალითად, ზურაბ დავითაშვილი, გია ნოდია – და ყველა ამბობდა, რომ სცენარი რეალისტურია.

გია ნოდიას სახელი ფიგურირებდა იმ სატელეფონო ჩანაწერშიც, რომელიც რუსული ვებგვერდის საშუალებით გავრცელდა. ამავე ჩანაწერიდან ჩანდა, რომ სიუჟეტს წინასწარ პრეზიდენტიც გაუცნო. უარყოფთ იმას, რომ გადაცემის შინაარსი და ტექნიკური მხარეებიც კი ხელისუფლებასთან იყო შეთანხმებული?

ხელისუფლებამ წამდვილად არ იცოდა,



რომ მზადდებოდა გადაცემა ასეთი სცენარით. სხვათა შორის, ამ სიუჟეტის მიზანი, პოპულიციისა და საზოგადოების გარდა, ხელისუფლების გამოფხიზლებაც იყო. რაც შეხება ეკა წამალაშვილთან ჩემს სატელეფონო საუბარს, ეს არარსებული ჩანაწერია. ეს არის სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადამიანებთან საუბრების კომპილაცია.

როგორ მოიფიქრეთ სცენარი? ვის ეკუთვნის მოდელირებული „ქრონიკას“ იდეა?

„იმედში“ ერთპიროვნულად არ ვიღებთ გადაწყვეტილებას, ყველანი ერთად ვმუშაობთ. თავიდან ვფიქრობდით, რომ ყოფილიყო მოვლენების ანალიზი. მერე თანდათან, იდეის დამუშავების შემდეგ გადაცემამ სულ სხვა მასშტაბი მიიღო. მორიგი მოსახუები ანალიტიკის ნაცვლად, უფრო ორიგინალური, სანახაობრივად ახალი და თამამი რამ მოვიფიქრეთ. გვინდოდა, გვეჩერენებინა ის გეგმები, რაც, ჩვენი ვარაუდით, კრემლიში მზადდება.

■ „არ მინდა, უურნალისტიკა მონყდეს ქვეყნის ეროვნული ინტერესების სამსახურს, მხოლოდ იმიტომ, რომ ვინმემ მიკერძოებულობაში არ დაგვადანაშაულოს“.

ასევე წინასწარ იყო დაგეგმილი იმავე სიუჟეტის რაზით „იმედის“ ეთერში გაშვებაც? ეს იყო ერთიანი გეგმა, რომელზეც პარალელურად მუშაობდით?

ეს სრულად სპონტანურად მოხდა. როგორც შემდეგ გაირკვა, თვითონ რაზით წამყანამა დაიჯერა, რომ ის, რაც ტელე-ეთერით გადაიცემოდა, სინამდვილეში ხდებოდა. მან თავი ვალდებულად ჩაიგა-

ლა, ინფორმაცია სასწრაფოდ გადაეცა და საზოგადოებისთვის შეეტყყობინებინა.

ნინასანარ თუ იცოდით, რომ ქცევის კოდექსს
არ ვევდით და რა შესაძლო შედეგი შეიძლება
ბოდა მოპყოლობა ამ სიუჟეტს? ტიტრების
დადგების ვარიანტი განიხილეთ?

თქვენი ლაპარაკიდან ჩანს, რომ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართული ხართ. გამოიყის, რომ ერვენით სარედაქციო დამოუკიდებლობაში?

მე ტელევიზიის სარედაცეპონ დამოუკიდებლობაში აბსოლუტურად არ ვერევი. „სპეციალური რეპორტაჟი“ არ არის საინფორმაციო გამიშვება, ეს არის ცალკეოთქ-შოუ, რომელიც განსხვავებული ფორმატით გადიოდა. ჩემი მხრიდან შეინარსის რეგულარუბა არ ყოფილა.

မაგრამ თქვენ აღნიშნეთ, რომ უშუალოდ მონაცილეობდით სცენარის შექმნაში და ამავე დროს გამორიცხვით სარედაქციო დამზუკიფრებლობაში ჩარჩუნდეთ - საკუთარ სიტყვებს ხომ არ ეწინააღმდეგობით?

ամաս Շեյդլցին ճամարշվատ մոռնանոլոցներ, ան ճամարշվատ Կըրուցևուս մենցային թիո. մը առ զերշեցու սարցագյուղու ճամունցային թիոնձնամի, մացլութաճ, շարժալությունաճ ար մայքս շորտոյրտոցն. Րուցա գաճուս սանցուրմա-ցուո ճամունցեցն, ար զուցու, րա սույսային մերյու րա ոյեցնեա.

ჩემი ჩარევა იყო არა რედაქტორული, არამედ ორგანიზაციული. ასე მოიცე-ოდა ნებისმიერი ხელმძღვანელი. ეს იყო საინტერესო, ორგონიალური პრიუქტი და ჩემთვის, ბუნებრივა, საინტერესო იყო, როგორი გამოვიდოდა იგი საბოლოოდ. მე

ჩემი მერეჯერული დამოკიდებულება მაქვს თითოეულ პროდუქტთან, თუმცა ეს არ ნიშნავს სარედაქციო პოლიტიკის განსაზღვრას.

რაზეცა აგებული „იმედის“ საინფორმაციო პროლიტიკა? მინახავს „ქრონიკის“ „გამოშვებებს, სადაც 30 წელითის განმავლობაში სოუ-ჟურნალების თემა მხილოდ რუსეთის გარშემო ტრიალებს. ანგილიური პროპაგანდა და „ახალი ორვერნიკიძების“ ისტორია ისმის საინფორმაციო და ანალიტიკურ გადაცემებში. ხომ არ ინიშნავს ეს იმას, რომ „იმედი“ სელისულებების იარაღია ანტიორუსული პროპაგანტის საწარმოებლად?

რაც აქტუალურია და სანტერესო, იმ ინფორმაციას აგროვებენ ურნალისტები და პროდიუსერები. მე აბისოლუტურად ლოგოურია მიმწინა, რომ სწორედ რესუ-
თის თემაა აქტუალური. ამ საკითხისადმი დამოკიდებულებაშიც ვრაფავერ გასაოცარს ვერ ვხედავ. მეც არ მსიამოვნებს ის, როცა
ვიღლაც პოლიტიკოსს მისკოვში ჩადის და
საჭანას სულს მიჰყიდის, და ეს ასეთი
მასშტაბით შექდება. თუ თქვენ გაღიზია-
ნებთ რესუთის თემა, რომელიც მუდმივად
ტრიალებს, გეტყვით, რომ მეც მაღიზიანე-
ბს, მაგრამ ეს რეალობაა.

სად გადის ზღვარი პროპაგანდასა და მოვლენების ობიექტები ანალიზს შორის?

არ არსებობს ზღვარი იქ, სადაც ქვეყნის სუვერენიტეტს საფრთხე ექმნება. როგორ ეს მომენტი დგება, იქ უკვე ობიექტური გაშუქრება სხვა კონტინენტში გადაადის.

ანალიზი საკმარისი არ არის სურათის
ობასახატად?

როგორ გააშექებს „იმედი“ წინასაარჩევნო პროცესს – უკრაინისტურ სტანდარტებს დააყენებთ წინ, თუ იმას, რასაც თქვენ სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვას უწოდებთ?

მედია ვალედებულია, საზოგადოებას
დაანახოს, რომ გვაქვს ორი პოლიტიკური
მხარე – ერთი, რომელსაც სურს არჩევნე-
ბი დემოკრატიული განვითარებისთვის და
მეორე, რომელსაც ეს იმისთვის სჭირდე-
ბა, რომ ქვეყანაში სიტუაცია აირიოს. ამ
ორ მხარეს შორის არჩევანს ქართული
საზოგადოება ადგილად გააკეთებს, თუკი
მედია სურათს სწორედ ასე აღწერს. რა
გვინდა ჩვენ? – ვიაროთ ევროპული
გზით, როცა არჩევნები პოლიტიკური
გადაწყვეტილების მიღების ასპარეზი იქ-
ნება, იქნება პლურალიზმი და დემოკრა-
ტია, თუ კავებასიური პოლიტიკის გზით
სიარცელი გვინდა.

„იმედში“ ჩემი საქმე არავითარ
შემთხვევაში არ არის პოლიტიკა და
პოლიტიკურ პროცესებზე გავღლინ მოხ-
დენა. მაგრამ ჩვენ ვცხოვოთ რეალურ
სამყაროში, სადც პოლიტიკა ერთ-ერთი
ყველაზე აქტუალური სფერო ყოველი
ჩვენგანის ცხოვრებაში. ამ პირობებში კი,
რა თქმა უნდა, რეალობას ვერ გაექცევი.
ჩვენ სწორედ ამ რეალობაში ვიარსებებთ,
და არათუ ვიარსებებთ, გვერნება ძალიან
კონკრეტული პოზიცია – დავიცვათ ჩვენი
ქვეყნის სუვერენიტეტი ინტერესები.

როგორ ფიქრობთ, შეძლებთ საზოგადოების
ნითბის აორგანიზაციას?


„ქრონიკა“ იმავე ფორმით გავა და
იმავე ნამყვანით. ჩევნ ყველაფერს
გავაკეთებთ იმის დასამტკიცებლად, რომ
კვლავ იძას გავაკეთებთ, რაც აქმდე
გვიკეთებია – ანუ დავიცავთ საზოგადო-
ების ინტერესებს. ჩევნი უურნალისტები
ძალიან მაღალი დონის პროფესიონალები
არიან. შეიძლება მათ არ იცოდნენ, თუ
რა ფორმატით უნდა გასულიყო კონკრე-
ტული გადაცემა, მაგრამ ეს არ ნიშნავს,
რომ ისინი ყოველთვის ასე მოიცევან. კ
ყველაფერს საქმით დაგამტკიცებთ,
ინფორმაციის ობიექტური გაშექებით,
ისე, რომ სანდოობის ხარისხი მხოლოდ
გაიზარდოს. ც

መመረጃዎች የሚከተሉትን ስምዎችን አለበት

ԱՐԵՎԵՆԻ Վ.Տ. ՀԱՅԱՍՏԱՆԻ

ვიდრე არ არსებობს კომპეტენტური პასუხი კითხვაზე, ვინ გაავრცელა ფარული ჩანაწერები, საზოგადოება თავად ეძებს „დამნაშავეს“.

ბესო კურტანიძე



პირველად მსოფლიო ისტორიაში, ხელისუფლებისადმი კეთილგანწყო-
ბილმა ტელეკომპანიამ 13 მარტს
საკუთარი ხალხი ისე დაზაფრა, ამ
ჟანრის გადაცემებს შორის ულაპა-
რაკოდ პირველი ადგილი დაიკავა. რა-
მდენიმე უცხოურმა ავტორიტეტულმა
გამოცემამ ტელეკომპანია „იმდის“
„მოდელირებული ომის ქრონიკა“
უყოფმანოდ ყველაზე საშინელ გადა-
ცემად მიიჩნია, რაც კი ოდესმე ვინმეს
უნახავს.

ოპოზიციის დახმარებით, რუსეთის ჯარები საქართველოში შემოიჭრნენ და გეზი თბილისისკენ აიღეს, ჩვენი

არმიის დიდი ნაწილი მტერს ჩაბარდა, მოკლეს პრეზიდენტი, დახვრიტეს მომიტინგები, დაჭრილები მიიყვანეს საავადყოფოებში, დაბომბეს სხვა-დასხვა ქალაქი, დამოუკიდებლობას რეალური საცირთხე შეექმნა, და ეს რუსეთმა ოპოზიციის დახმარებით მოახერხა.

თუმცა, მალევე გაცხადდა, რომ ეს ყველაფერი კიდაცის ბოროტი ფანტაზიის ნაყოფი იყო. თუმცა, ერთ-ერთ რუსულ ვებგვერდზე „მძედის“ გენერალური დირექტორის, გიორგი არველაძის და მისი მოადგილის, ეკა წამალაშვილის სატელეფონო საუბრის

ჩინანერი გამოჩნდა, სადაც ითქვა,
რომ პრეზიდენტი სააკაშვილს სურ-
და, მოსახლეობა მაქსიმალურად და-
მფრთხელიყო. ეკა წამალაშვილმა და
გიორგი არველაძემ ამ საუბარს ფალ-
სიფიცირებული უწოდეს და რუსეთის
სპეცსამსახური დაადანაშაულეს.

სატელეფონო საუბარი №1

გიორგი არველაძის და ეკა ნამალაშვილის დიალოგი 10 წეუთხე ცოტა მეტ სას გაგრძელდა. სატელეფონო საუბრის რეალურობის დასადგენად ჩვენ ეს საუბარი „მოდელირებულ ომის ქრონიკას“ შევადარეთ.

1. სატელეფონო ჩანაწერში არველაძემ წამალაშვილს მიუთითა, რომ იმიტირებული ომის თარიღად 10 ივნისი დაგესახელებინათ.

„ქრონიკში“ გამოაცხადეს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, 7 ივნისს თბილისში მომიტინგები დახვრიტეს, რასაც სამი დღის შემდეგ, ანუ 10 ივნისს, რუსეთის აგრესია მოჰყვა.

2. ამავე საუბრისას არველაძეს მოენონა იდეა, ვითომდა ნინო ბურჯანაძე ცხინვალში ჩავიდა, ვითომ კოკოითის გასვენებაში.

ფილმში ბურჯანაძე ნოლაიდელთან ერთად მართლაც ცხინვალში იმყოფებოდა.

3. არველაძის მითითებით, ოპოზიციას ბრალად უნდა დასდებოდა ახალი „შულავერის კომიტეტის“ შექმნა, რაც „მოდელირებულ ქრონიკაშიც“ ითქვა.

4. სატელეფონო საუბრისას დასახელდნენ ე.წ ექსპერტები – გია წოდია და ზურა დავითაშვილი, რომლებმაც, არველაძის თქმით, სცენარი მოიწონეს. ეს ამ ექსპერტებმა მოგვიანებით დაადასტურეს.

5. ეკა წამალაშვილმა დაასახელა ისტორიკოსი გოჩა საითიძე, რომელიც დებატებისას საინტერესო პარალელებს გაავლებდა უახლესი ისტორიის ფაქტებთან, რაც ისტორიკოსმა დებატების დროს მართლაც გააკეთა.

6. სიტყვასიტყვით დაემთხვა ეკა წამალაშვილის მიერ სცენარში ჩანერილი ციტატა, მოგვიანებით ტელეკომპანიის წამყვანის, ნათია კობერიძის მიერ წაკითხულ ტექსტებს, მანერჟეიმსა და საფრთხის რეალურობის თაობაზე.

7. სატელეფონო საუბრის დროს გიორგი არველაძემ მის მოადგილეს პრეზიდენტის მოსაზრება გადასცა, რომ სიუჟეტის დაწყებისას მაყურებელი „ლაითად“ გაეფრთხილებინათ, რომ ეს მხოლოდ იმიტირებული სიუჟეტი იყო. ასევე გავიდა სიუჟეტი ეთერშიც.

გარდა ამისა, სატელეფონო საუბრისას წამალაშვილი დამოუკიდებელი ტელეკომპანიის დანიშნულ მენეჯერს აფრთხილებდა, რომ „მოდელირებული ქრონიკა“ მაუწყებლის შესახებ კანონს არღვევდა და, შესაძლოა, ამის გამო ტელეკომპანიას ლიცენზია დაეკარგა. არველაძემ ეს გაფრთხილება არაფრად ჩააგდო, რასაც ჩვეულებრივ დანიშნული ჩინოვნიკები ვერ აკეთე-

ბენ ხოლმე.

მოხმობილი მაგალითები მიუთითებენ, რომ სატელეფონო საუბრის შინაარსი მთლიანად დაემთხვა „მოდელირებულ ქრონიკას“.

რეალურია თუ არა სატელეფონო სუპარი?

იმისათვის, რომ გაირკვეს, რამდენად რეალურია არველაძის და წამალაშვილის სატელეფონო საუბარი, საჭიროა, სათანადო ექსპერტიზის ჩატარება. სიმართლის გარევება, პირველ რიგში საუბრის მონაწილე პირების ინტერესში უნდა იყოს, თუმცა ამის თაობაზე არც ერთი ხმას არიდებს.

ამასთან, თუკი მათ დავუჯერებთ, საუბარში მათ მიერ სხვადასხვა დროს ნათევამი სიტყვებია ამოკრებილი და დამონტაჟებული. რა უშლით ხელს, მიმართონ სატელეფონო კომპანიას და საზოგადოებას მათი საუბრის ამონანერი მოასმენინონ, რომლის ხანგრძლივობას ინტერნეტში ამ პირების საუბრის ჩანაწერის ხანგრძლივობას შევადარებდით. თუმცა, მათ ესეც არ გააკეთეს.

ხოლო ვიდრე კომპეტენტური ექსპერტიზა დასკვნას დადებს, ჩვენ განვიხილავთ ვერსიებს, თუ ვინ გააკეთა აღნიშნული ჩანაწერი.

სატელეფონო საუბრის ჩანერა ტენიურად შეძლო შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, „ჯეოსელი“, რომლის აბონენტებიც ეს პირები არიან, რუსეთის და თურქეთის სპეცსამსახურებს, სადაც არველაძე საუბრის დროს იმყოფებოდა.

1. სატელეფონო საუბრიდან ჩანს, რომ გიორგი არველაძემ დაურევა ეკა წამალაშვილს. ამას ამბობს კიდეც, – აი, ამ მიზნით დაგირევერი. ამასთან ისმის ზუმერის ხმა, რომელიც მხოლოდ მას ესმის, ვინც რეკავს, ხოლო ვისაც ურეკავენ, მას ტელეფონის ზარის ხმა ესმის. ამდენად ეკა წამალაშვილი საუბარს ვერ ჩანერდა, რადგან ამ შემთხვევაში, იგი ვერ ჩაინერდა ზუმერის ხმას, ვინაიდან მას ურეკავდნენ.

2. კომპანია „ჯეოსელი“ არა მარტო რეპუტაციას, მთელ თავის საქმიანობას ეჭვეჭვეშ დააყენებდა, რაც ძალიან არალოგიკურია.

3. შესაძლოა, ეს გააკეთეს რუსებმა, ან ქვეყნის შიგნით კომპეტენტურმა ორგანოებმა – გავრცელებული ვერსიით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

ბუნებრივია, გადაჭრით ვერავინ ვერავერს იტყვის ვერც ერთ ვერსიაზე.

რატომ რუსებმა?

ამ საუბრის ჩანაწერს წინ უსწრებდა ხელისუფლების წევრების სხვადასხვა სატელეფონო საუბრიების ჩანაწერების ინტერნეტში გამოკვეყნება, სადაც, როგორც წესი, ერთ-ერთი მოსაუბრე საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფებოდა: გივი თარგამაძის საუბრები ბელარუსის ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერთან, ასევე ვანო მერაბიშვილთან უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, ასევე ვინძე „კონსტანტინთან“; ვანო მერაბიშვილის სატელეფონო საუბარი აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა მინისტრთან 7 წლების გაზის ტყვიების თაობაზე; პრეზიდენტს სააკაშვილის საუბრები უკრაინის მაშნდელ პრეზიდენტი იუშჩენკოსთან, შემდეგ პრემიერ-მინისტრ ტიმოშენკოსთან. ყველა ამ შემთხვევაში აღინიშნა, რომ საუბარი რუსეთის სპეცსამსახურმა გააყალბა და ეს ჩანაწერი ბლეფი იყო. თუმცა, საზოგადოებას ამით ეჭვი არ გაქართყლებია. ამასთან, ვანო მერაბიშვილს მაშინ მართლაც სჭირდებოდა გაზის ტყვიები, ხოლო უკრაინის არჩევნებთან ამ სატელეფონო საუბრებით ამით დაიდება, საზოგადოებას ამით ეჭვი არ გაქართყლებია. ამასთან, ვანო მერაბიშვილს მართლაც სჭირდებოდა გაზის ტყვიები, ხოლო უკრაინის არჩევნებთან ამ სატელეფონო საუბრებით ამით დაიდება, რაზეც ტელეფონით საუბრობდენ. რატომ არ შეიძლებოდა არველაძე-წამალაშვილის სატელეფონო საუბარი მას ჩაეწერა, ვინც წინა საუბრები ჩანაწერა?

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საერთო აშორის ზარები ხელისუფლების წევრებისთვის უსაფრთხო არ არის, ხოლო ოპოზიციას ქვეყნის შიგნით უსმენდნენ, რაზეც 7 წლების გაცხადდა.

ვანო მერაბიშვილს აღნიშნული ჩანაწერის გაეთება ნამდვილად შეძლო, თუმცა გაუგებარია, რას მოიგებდა ამით? სატელეფონო საუბარმა და იმიტორებულმა „ქრონიკაში“ არჩევნების წინ მმართველი გუნდის ჯერჯერობით არაოფიციალური კანდიდატი გიგი უგულავა და პრეზიდენტი სააკაშვილი დააზიანდა. თუკი მერაბიშვილი პრეზიდენტს არ ერჩოდა, მაშინ უგულავას „დასაძირად“ ან არველაძის სამსახურიდან მოსაშირებლად, პრეზიდენტის იმიჯის შეულახადაც დადებდა რაიმე სათანადო კომპრომატს. თუმცა, ამ ვერსიას კიდევ მიღუბრუნდებით.

სატელევიზო საუბარი N 2


დარჩია არველაძის პოზიცია, რომელიც დღემდე ამტკიცებს, რომ რუსეთის სპეცსამსახურმა მისი სხვადასხვა საუბარი სხვადასხვა დროს ჩანსრადა და ამ სახით დაამონტავა. თუმცა, საკითხავია, სად თქვა მანამდე არველაძემ „მოდელირებული სიუჟეტი“, იქნებ დააკონწრებულის. ამასთან, გამოდის, რომ რუსებს ხელებიფებათ სასურველი პირების სატელეფონო საუბრების ჩანსრა, ხოლო შემდეგ

ალარ იკიან, რა მოუხერხონ ამ ჩანა-

ନେର୍ଶ ଦା ମାତି ନାମର୍କ୍ଷମ୍ଭୟଦାରୀ ଉମାଲ୍ଲବ୍ରେ
ଅଶ୍ଵାରାଙ୍ଗଦେବା: ଅମନ୍ତର୍ତ୍ତାଶ୍ଵର୍ଜେନ ମଦ୍ଭେନାଭ
ଅରାପରାପ୍ରସିନୋନାଲ୍ଲୁରାଧ, ରନ୍ଧ ଦୀର୍ଘ-
ଗ୍ରହଶିଥ୍ରେ ଗ୍ରନ୍ତି ଶ୍ରେଷ୍ଠଦ୍ୱାରି ଚ୍ରାଫାଲ
ହିନ୍ଦେ ସିଯାଲକ୍ଷେ ଦା, ନୀଳଦାୟୁଶ୍ରେଷ୍ଠଦାନ୍ତିଳେ
ଗାମର, ରୂପ୍ସୁଲ ବ୍ୟେଦଗ୍ରେରଳ୍ଭେ ଅତାଗ୍ରେ-
ଦେନ, ରନ୍ଧ ଦାନନ୍ଦୀର୍ଗ୍ରେଶ୍ବୁଲମା ପିରମା
କ୍ଵାଲ୍ସ ଓରଲାଦ ମାଗନ୍ତି? ଏହି ମୁସଲିମ
ତ୍ରୈରନ୍ଦିରିକ୍ଷତା କମ୍ଭେଦ୍ଯବାସ ଉତ୍ତରମ ତ୍ରୈଗ୍ରେ,
ରନ୍ଧମିଲ୍ଲେବିପ ଗାନ୍ଧେନର୍ତ୍ତିର୍ଯ୍ୟଲେଶ୍ଵୁଲ ତ୍ରୈରା-
କ୍ରେବଥୀ ଉମାଲ୍ଲବ୍ରେ ତାଶୁଖୀଶିମଗ୍ରେଭଲନ୍ଦାଶ
ଲିଲେବେନ. ରା ଶ୍ରୀଲିଙ୍କାତ ରୂପ୍ସୁଲେ କ୍ରେଲ୍ସ,
ରନ୍ଧ ତୃଞ୍ଜଦାତ ଅମେରିକାଶି ଆର୍ଥିକିରଣାତ
ସାତିଲ୍ଲାଗ୍ରହନ୍ତି ସାଖ୍ବରନ୍ଦିବ ହିନ୍ଦାନ୍ତରିକ?

მოქალაკები V. S. ქვეშვრდობები

პოლიტოლოგიაში არსებობს ტერმინი – იმიტირებული დემოკრატია. ეს



■ იმისათვის, რომ გაირკვეს,
რამდენად რეალურია
არველაძის და წამალაშვილის
სატელეფონო საუბარი,
საჭიროა, სათანადო
ექსპერტიზის ჩატარება.
სიმართლის გარკვევა, პირველ
რიგში საუბრის მონაწილე
პირების ინტერესში უნდა
იყოს, თუმცა ამის თაობაზე
არჯ ერთი ხმას არ იღებს.

მართველობა არც დემოკრატიაა და არც სრულია ავტორიტარიზმი. ამ სის-ტემაში არსებობენ „მოქალაქეებიც“ და „ქვეშევრდომებიც“, სისტემაც იმად ჩამოყალიბდება, რომელი ჯგუფიც სა-ბოლოოდ გადაძლევს. არველაძეს და

ନାମାଲାଶ୍ଵୋଇଲ୍ ଏକ ଉତ୍ତରପୁଣ୍ୟବିଦୀ, ରାମମାତ ଶ୍ମରିଳ୍ ସାତ୍ରେଲ୍ଲେଜ୍ଫରନ୍ ସାହୁପାରି ଶେଷଗା; ଧର୍ମଶିଳ୍ପିଙ୍କର ଏକ ଗ୍ରେନିକ୍ସ୍ବେନ୍ଦ୍ରିଯାମ, - ଟାକ୍ସେସ. ତୁମମ୍ଭା „କ୍ଲେଶ୍‌ବର୍ତ୍ତନମି“ ଶର୍ମିଲ୍ ନାମିଦା ଓ ତକ୍ତା: ଅର୍ଦ୍ଧେବନ୍ଦୀ ସାହୁପାଲ୍ଲୁର୍ମା, ରାମଲ୍ଲୀଙ୍ ମେଶ୍‌ବେନ୍ଦ୍ରିଯାମ ଓ 33 ବ୍ୟକ୍ତିଙ୍କିରଣ ସାହୁଲାଲ୍ଲେଜ୍ବିନ୍ତ, ନେବିଲ୍ମିଜ୍ରି ପିରିଲ୍ ସମ୍ମିଳିତ ମିଶ୍ରମଶବ୍ଦରେ ଓ ହିନ୍ଦ୍ରିଯାମ ଶୈଖିଲ୍ଲେବା; ଏକେଦାନ ଗାମିନମିନ୍ଦାର୍ମ୍ଭ, ଏକ୍ସିପି ମାକ୍ସେସ, ସାତ୍ରେଲ୍ଲେଜ୍ଫରନ୍ ସାହୁଧର୍ମି ଓ ଫାଲ୍-ସିତ୍ତିଜିନ୍ଦିର୍ବ୍ୟଲ୍ଲିଯାମ.

ქვეყნის უსაფრთხოება, რომლის ვითომედა გადასარჩენადაც იყო მონოდებული „მოდელირებული ქრონიკა“, მოქალაქეების კონსოლიდაციით იწყება. 1920 წელს ქვეყანა „ბოლშევიკებად“ და „მენშევიკებად“ გაიყო, გამსახურდის დროს „ზოადისტებად“ და „დემოკრატებად“. თვალსაჩინოა ეს გაყოფა დღესაც:

„მოქალაქეს“ მასაჩინია, რომ ქვეყანა
არადემოკრატიულია. მას პასუხობენ:
რა დროს დემოკრატიაა, როცა ტერი-
ტორიული მთლიანობა გვაქვს აღსად-
გენი?! მედია არ არის თავისუფალი
– აბა, „მაესტრო“ და „კავკასია“ რა
არის?! არჩევნები გაყალბდა – ჩვე-
ნი პრეზიდენტი უალტერნატივო! 7
ნოემბერს ხელისუფლება ძალის გა-
დამეტებით საკუთარ მოსახლეობას
სასტიკად გაუსწორდა – 7 ნოემბერს
სახელმწიფობრიობა გადარჩა! ომი
ნავაგათ – ომი მოვიგდო, რადგან და-
მოკუდებლობა შევინარჩუნეთ; მერე
რა, რომ ორი რაიონი დავკარგეთ?!
სასამართლო არ არის თავისუფალი
– ამას კრიმინალები ამბობენ, იმიტომ
რომ ფულით საქმეებს ვეღარ აკეთე-
ბენ! კერძო საკუთრება დაცული არ
არის – განა შეგრჩებოდათ?! რატომ
ვერ მივიღეთ ნატო-ს ბუქარესტის
სამიტზე „მაპი“? – „მაპზე“ უკეთესი
მივიღეთ! რატომ არ გავრცელდა ნუ-
ლოვანი ტოლერანტობა გირგვლიანის,
რობაქიძის, ვაზაგაშვილის და სხვათა
მკლელებზე? – პასუხი არ არის.

დღეს ქვეყანა ამ ნიშნითაც გაიყო
და ყველა მოვლენას „ქვეშევრდომები“
იმის მიხედვით აფასებენ, მოეწონება,
თუ არ მოეწონება მათი პოზიცია ხე-
ლისუფლების მეთაურს. „მოქალაქეე-
ბს“ აყვედრიან, – „იმიტირებულმა
ქრონიკამ“ როგორ შეგაშინათო. ბუნე-
ბროვია, რადგან „ქვეშევრდომს“ ღირ-
სებას ვერავინ შეულახავს, მათ ის მა-
შინ დათმეს, როცა არჩევანი გააკეთეს.
ამიტომ, „მოქალაქეების“ აღშფოთება
„ქვეშევრდომებს“ ძალიან აღიზიანე-
ბთ. **¶**

საღ ახტს წარმომადგენლობის მთავრობის დადანაშაულება, რომელი ის სა ბ გ ა მ ი დ ე ბ ა ?



შეწყვიტეთ „იმედის“ სიმულაციის დადგმისთვის მთავრობის დადანაშაულება, თქვენივე თავი დაადანაშაულეთ.

მარტინ ნოგტონი, მკვლევარი და ანალიტიკოსი

„ტელეიმედის“ მიერ დადგმულმა რუსული შემოჭრის ამპავ-მა დიდი პანიკა და თანმდევი პრაზი გამოიწვია, თუმცა, პასუ-ხისმგებლობის თვალსაზრისით, ცოტა რამის მიღწევა თუ მო-ხერხდა. სამსახურიდან არავინ დაუთხოვიათ, პრეზიდენტმაც, იმის მაგივრად, რომ დამნაშავე ხელმძღვანელი გაეკრიტიკები-ნა, ფაქტობრივად, „იმედის“ სიმუ-ლაცია შეაქო და განაცხადა, რომ ის ახლოსაა რეალობასთან.

ამავე დროს ეს საქართვე-ლოა, და აქ ცოტა რთულია, რომ კონკრეტულ ქმედებაზე პასუ-ხისმგებელი ადამიანი იპოვო. მა-გალითად, რომელ პოლიტიკურ ფიგურას ეკისრებოდა პასუხისმ-გებლობა გრეგლიანის მკვლელო-ბის საქმეში?

მედიამანაბუღაციების თვალსა-ზრისით, „იმედის“ ეთერში გასული პროგრამაც სიახლეს არ ნარმო-ადგენს. რატომ უნდა ვყოფილიყა-ვთ განასაკუთრებით განცვილერე-ბულნი? მსგავსი რამ ხომ ადრეც გვინახავს. ალბათ გემასხოვრებათ ხურჩის ინციდენტი. გაერო-ს რე-პორტმა დაადგინა, რომ ინციდენ-ტი, რომელიც ეხებოდა გალიდან ზუგდიდისკენ სმის მისაცემად მიმავალი გალელების ავტობუსზე მსუბუქი ცეცხლსასროლი იარა-ლითა და ყუმბარმტყურცებით თავდასხმას, სინამდვილეში დადგ-მული იყო. სავარაუდოდ, მიზანი იყო დასავლეთ საქართველოში შეისა და და-

ძაბულობის დათესვა, რათა შემდგომში მსგავს მდგომარეობაში ჩავარდნილ მოქალაქეებს ხმა „ნაციონალური მოძრაობისთვის“ მიეცათ, ანუ იმ პარტიისთვის, რომელიც ნაციონალურ პოლი-ტიკაზე ცვლილების ხმამაღალი რიტორიკით გამოიჩინდა.

ამ მხრივ, ქართველი პოლიტიკოსებისგან დიდად არ განსხვავდებიან. მაგალითად, პრი-ტანენტის პრეზიდენტმინისტრმა ლიკიდ ჯორჯმა წინამდებარ იცო-და ირლანდიის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე გერმანული წყალქვეშა ნავების განსაკუთრებით მაღალი კონცენტრაციის შესახებ, მაგრამ არაფერი იღონა ლაინერ „ლუზიანას“ გადარ-ჩენისთვის, ანუ ამის შესახებ ამერიკელებს არ შეატყობინა. ამ

ამბავს 1 198 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ეს იყო ის ფასი, რაც ამერიკას ომში ჩართვისთვის გაიღო პრიტნენტის მხარე. მოხუცმა „უელსელმა ჯალიქარმა“ (ლოიდ ჯორჯის ზედმეტ-სახელი – მთარგმნელის შენიშვნა) ამერიკის პრეზიდენტ უილ-სონს ამის შესახებ არაფერი შეატყობინა.

მაგაველიზმი, როგორც ჩანს, ყველა პოლიტიკოსის დწმ-შია ჩა-დებული, თუმცა საზოგადოება მათ მაინც უწევს გარკვეულ სა-ზღვრებს, რომლის იქით წასვლას ერიდებიან. მეოცე საუკუნის დასა-წყისის ბრიტანეთში საზოგადოება სუსტი იყო და ადვილად იტანდა პოლიტიკოსთა ყველანირ გადა-ცდომას. ისინი გაუნათლებლებიც იყვნენ, თავისუფალი პრესა ჯერ მხოლოდ ფეხს იდგამდა, ხოლო ადამიანებს გულუბრყვილოდ სჯე-როდათ მთავრობის.

ახლა კი, თუ ბრიტანელ პოლიტი-კოსს თავის მდივანთან შეუსწრე-ბენ, იგი იძულებულია, გადადგეს. პრესა ბრიტანეთში, რაოდენ ვულ-გარული და ზედაპირულიც უნდა იყოს, იმას მაინც უზრუნველყოფს, რომ პოლიტიკოსებს პასუხისმგე-ბლობის გრძნობა უჩნდებათ.

პოლიტიკური განათლება და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მედიის თა-ვისუფლება და განვითარებულობა 21-ე საუკუნის საქართველოში იშ-ვიათი ფუფუნებაა. ამიტომ, „ტე-ლეიმედის“ ამ „ანცობამაც“, რამაც

მასობრივი პანიკა და გულის შეტევით ორი ადამიანის გარდა-ცვალება გამოიწვია, დაუსჯელად ჩაიარა, და ალბათ მომავალ-შიც ასე მოხდება.

როკ ჯგუფ The Who-ს სიმღერის ტექსტი მასხენდება: „საზო-გადოება იმსა იღებს, რაც მას უნდა. და საზოგადოებას ის უნდა, რასაც იღებს“. თუ სირცევილი ან დანაშაული ვინმემ უნდა გაიზიაროს, ეს, ჩვენი პოლიტიკოსები კი არა, თავად ჩვენ ვართ. პოლიტიკოსები ბოლო-ბოლო იმას აკეთებენ, რის უფლე-ბასაც ჩვენ ვაძლევთ. [

ინგლისურიდან თარგმნა გორგი ცხადასამ



■ თუ სირცევილი ან დანაშაული ვინმემ უნდა გაიზიაროს, ეს, ჩვენი პოლიტიკოსები კი არა, თავად ჩვენ ვართ. პოლიტიკოსები ბოლო-ბოლო იმას აკეთებენ, რის უფლებასაც ჩვენ ვაძლევთ.

ჩვენ ვაძლევთ.



■ რუსი ჯარისკაცები ცხინვალის მისადგომებთან, აგვისტო 2008

საუბრები ლიბერალიზმი

აბვისურს მო საქართველომ ეანცო

საქართველოს ხელისუფლებაში ფიქრობენ, რომ დრამატული შოუებით პოლიტიკის კეთება უფრო მომგებიანია, ვიდრე რაციონალური დისკუსია იმის შესახებ, თუ რა მოხდა, ან ახლა რა მდგომარეობაში ვიმყოფებით.

გიორგი ცხადაია

„ტელეიმედის“ ეთერში ახალი ამბების სიმულაციის გასვლის შემდეგ უამრავ ადამიანს მომხდარის მიმართ პროტესტის გრძნობა გაუჩნდა. ეს პროტესტი უმთავრესად გამოიხატებოდა იმით, რომ მოქალაქეები სიუჟეტის ეთერში გამშვებთა და დამკვეთთა დასჯას ითხოვდნენ; ასევე, წამოიჭრა „იმედზე“ ხელისუფლების უშუალო გავლენის საკითხი, რასაც ამყარებს მაუწყებლის დირექტორის პოსტზე საკუშვილის ყოფილი მინისტრის და „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის გიორგი არველაძის ყოფნა.

ამ საყოველთაო ხმაურის ფონზე, არავინ საუბრობს უშუალოდ მოდელირებული „ქრონიკის“ შინაარსზე და იმაზე, თუ რამდენად რეალურია სიუჟეტი პროგნოზირებული მომავალი, რომლი-

საც ასე შეეშინდა საქართველოს მოსახლეობას.

არადა, სწორედ ეს იყო ამ სპეციალური რეპორტაჟის მთავარი მიზანი – ხალხი რუსეთის მხრიდან სერიოზული საფრთხის არსებობაში დაერწმუნებინა.

სავარაუდოდ, ხელისუფლებას თავადაც დასაშვებ რეალობად მიჩნია ის სცენარი, რომელიც 13 მარტს „იმედზე“ გათამაშდა – ანუ ერთ დღეს რუსეთმა მართლა შეიძლება დაიპყროს საქართველო. 1921 წლის მსგავსი სცენარების დადგმით ხელისუფლება ცდილობს, ეს ეჭვები მოსახლეობას გაუზიაროს და შთააგონოს, რომ საფრთხე რეალურია.

„იმედის“ ეთერში გასულ სიუჟეტში ისე ჩანდა, რომ თითქოს რუსული აგრესია ყოველგვარი კონტექსტისა და წინაპირობის გარეშე ემუქრება საქართველოს.

სწორედ ეს იყო ამ სიუჟეტის მთავარი სიმულაცია, რომელიც ბევრისთვის შეუმჩნეველი დარჩა.

იგივე ვერსია მოვისმინეთ ხელისუფლებისგან 2008 წლის ომის დროსაც – რუსეთი საქართველოს უმიზეზოდ დაესხა თავს. „იმედის“ სიუჟეტი ამ ვერსიის კიდევ უფრო გამყარების მცდელობა იყო.

საქართველოში, ისევე როგორც რუსეთში, ძალიან არასერიოზულად უყურებენ 2008 წლის ომის შესახებ პაიდი ტალიავინის დასკვნას, რომელშიც ომის შესახებ თითქმის ყველა ვერსიამ და ფაქტმა მოიყარა თავი.

ტალიავინის კომისიის დასკვნის მიხედვით, ომის დაწყებაში მთავარი წვლილი საქართველომ შეიტანა. დასკვნა ცალსახად ამბობს, რომ რუსეთის მიერ საქართველოში შემოჭრა უშინაარსო და უკონ-



■ კარალეთის შესასვლელი, სექტემბერი 2008



■ ოსური პოლიციის დაცხილული მანქანა, აგვისტო 2008

ტექსტი აქტი არ ყოფილა. თუმცა, იქვე ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ რუსეთის რეაქცია არაპროპორციული იყო.

კომისიამ უსაფუძღლოდ მიიჩნია საქართველოს ხელისუფლების მიერ ნარმოდგენილი ომის დაწყების ორი მთავარი მიზეზი: პირველი, ის, რომ 2008 წლის 7-8 აგვისტოს დამეს ცხინვალზე საქართველოს არტილერიის და შემდგომ რეაგულარული არმიის შეტევა მიმართული იყო რუსული აგრძელისგან თავის დასაცავად, და მეორე, რომ ნინა დღეებში განხორცილებული თავდასხმები ქართულ სოფლებზე, რასაც ხშირ შემთხვევაში, ქართული მხარეც პასუხობდა, საკმარისი მიზეზი იყო მსგავსი შეტევის დასაწყებად.

კომისიამ უარყო ომის დაწყების შესახებ რუსული ვერსიაც – კერძოდ, უსაფუძღლოდ მიიჩნია რუსების განცხადება, რომ ქართველებმა სამხრეთი ოსეთის ტერიტორიაზე განახორციელეს გენოციდი; ასევე, კომისიამ უარყო ომის დაწყების მეორე მთავარი მიზეზიც – კრემლის მხრიდან რუსეთის მოქალაქეების დაცვა.

ტალიავინის დასკვნაში ომის დაწყებაზე პასუხისმგებლობა ყველა მხარეს ეკისრება, თუმცა, ამავე კომისიის მიხედვით, საქართველო იყო მხარე, რომელმაც ომი რეალურად დაიწყო. რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოში შემოჭრის გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ქართულმა ჯარმა ცხინვალზე იერიში მიიტანა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ რუსული, ისევე როგორც ქართული, ჯა-

რები მომზადებულები იყვნენ მსგავსი ოპერაციის ჩასატარებლად. საქართველოს პრეზიდენტი კი 2004 წელს ინაუგურაციის დღიდან აცხადებდა, რომ მისი მთავარი მიზანი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა იყო. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა სამხედრო ბიუჯეტის გაზრდა მთლიანი შიდა პროდუქტის 1%-დან 8%-მდე.

ტალიავინის კომისიის დასკვნადან გამომდინარე, ნათელია, რომ აგვისტოს ომის დაწყება დიდწილად საქართველოს ხელისუფლების შეცდომების შედეგია. კომისია არ უარყოფს არც რუსეთის აგრძელებულ პოლიტიკას მეზობელი ქვეყნის მიმართ.

საქართველოს ხელისუფლება ჯოუტად უარყოფს შეცდომებს და თავს არიდებს თავისი წილი ბასუხისმგებლობის აღებას.

პირიქით, ხელისუფლება თუ ხელისუფლებასთან დაახლოებული ჯგუფები ვორცუალურ ომებს ანყობენ და საქართველოს მოსახლეობას აშინებენ იმით, რომ ერთ მშენებელ დღეს რუსეთის პრეზიდენტმა, შესაძლოა, განახორციელოს ის, რაც ვერ გააკეთა 2008 წლის აგვისტოში – სრულად დაიპყროს საქართველო და ქვეყნა სააკაშვილისგან გაათავისუფლოს. მსგავსი შიში გაუმართლებელია დღეს, როდესაც რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შესახებ მთელი მსოფლიო ინფორმირებული. თბილისის აღებისა და სააკაშვილის ჩამოგდების საბაბის გამონახვას რუსები 2008 წლის აგვისტოში უფრო შეძლებდნენ, ვიდრე ახლა, როდესაც ევროკავშირის მიერ შედგენილი ცე-

■ **რაციონალური პოლიტიკა ყველაზე მარტივის აღიარებით უნდა დავიწყოთ: აგვისტოს ომი საქართველომ დაიწყო.**

ცხლის შეწყვეტის შეთანხმება არსებობს და დასაცავური მთავრობები მილიარდობით დოლარის ოდენობით გრძელებს გვირცხავნ მშვიდობიანი განვითარებისთვის.

ხელისუფლების, თუ ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირების მიერ „ტელემედიმ“ გასული სამულირებული ასალი ამბები იმის დასტურია, რომ ტალიავინის კომისიის დასკვნის მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრს უჭირს სიმართლისთვის თვალის გასწორება.

ცხადია, რუსეთის მხრიდან საფრთხეები არსებობს, მაგრამ ხელისუფლებას არ შეუძლია ამ საფრთხეების რეალური სურათი დახატოს, რადგან ჯერ ნარსული შეცდომები სათანადოდ არ შეუფასებია.

საქართველოს ხელისუფლებაში ფიქრობენ, რომ დრომატულ შოუებით პოლიტიკის კეთება უფრო მომგებიანია, ვიდრე რაციონალური დისკუსია იმის შესახებ, თუ რა მოხდა, ან ახლა რა მდგომარეობაში ვიმყოფებით. არადა, რაციონალური პოლიტიკა ყველაზე მარტივის აღიარებით უნდა დავიწყოთ: აგვისტოს ომი საქართველომ დაიწყო.



პოლიტიკა

აუგ "ჩვენი ხმა ბიბი ცხრავას"

გიგი უგულავას ჰყავს „ფანები“, რომელთა შესახებ არაფერი იცის.

3 მარტი. ქალთა და არასრულწლოვანთა N5 დაწესებულება. დედის დღესთან დაკავშირებით გაიმართა საქველმოქმედო კონცერტი. მღეროდნენ ვერიკო ტურაშვილი, ანრი ჯოხაძე, „სეიშენი“, თიკა ჯამბურია, მარიკა თხელიძე, ნინი ქარსელაძე, გიო სუციშვილი, ნატო გელაშვილი, ბესო კალანდაძე, ნოდიკო ტატიშვილი და სხვები. გაკრული იყო ბილბორდები ნარწერით – „ჩვენი ხმა გიგი უგულავას“. კონცერტის შემდეგ გაიმართა ალაფურშეტი. დაჭრეს გრანდიოზული ტორტი 400 ადამიანისთვის. პატიმრებს საჩუქრად მაცივარი და ტელევიზორი გადაეცათ.

10 მარტი. საქართველოს უნივერსიტეტის სპორტული დარბაზი. გაიმართა

ლია პირველობა ქალთა ფრენბურთში. გოგონებს ეცვათ მაისურები წარწერით „ჩემი ხმა გიგის“. გაკრული იყო ბილბორდები ნარწერით „ჩვენი ხმა გიგი უგულავას“. გამარჯვებული გუნდებისთვის ეგვიპტეში საგზურები და-ანესეს ტურისტულმა კომპანიებმა – „ინტერკონტინენტალმა“ და „ენ ტურმა“. ასევე პრიზები – სპორტულმა მაღაზია „ადიდასმა“.

არც ერთ ამ პომეზზურ ღონისძიებას ქალაქის მოქმედი მერი გიგი უგულავა არ დასწრებია; მეტიც, იმის შესახებ, რომ არსებობს მოძრაობა „ჩვენი ხმა გიგი უგულავას“, რომელიც მის მხარდასაჭრად კვირაში ერთ ღონისძიებას მაინც აწყობს, ქალაქის მერი პირველად უურნალისტებისგან იგებს.

„თბილისის მერია მსგავს რამეს არ აფინანსებს და არც ამ ორგანიზაციის შესახებ მსმენია რამე. ახლა პირველად მესმის“, – განაცხადა უგულავამ ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში.

მერიის პრესსამსახურის სპეციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ გიგი უგულავა „დიდ მადლიერებას გამოხატავს იმ ახალგაზრდული მოძრაობის მიმართ, რომლის წევრებმაც, როგორც ჩანს, კარგად დაინახეს და შეაფასეს თბილისის მერიის მიერ ბილო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტები და სრულიად უანგაროდ და გულმაცურვალედ უჭერენ მხარს გიგი უგულავას. ეს არის სტიმული იმისა, რომ კიდევ უფრო მეტი კარგი საქმე გაკეთდეს.

ქალაქში, რადგან გასაკეთებელი კი-
დევ ბევრია“.

მოძრაობა „ჩვენი ხმა გიგი უგულა-
ვას“ ოფიციალურად 19 თებერვალს
დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში,
როგორც არასამენარმეო იურიდიული
პირი.

„მე და ჩემმა რამდენიმე მეგობარმა
150 დოლარი მეგობრისაგან ვისესხეთ
და ისე დავარეგისტრირეთ ეს ორგა-
ნიზაცია“, – ამბობს მოძრაობის ერთ-
ერთი დამფუძნებელი კონსტანტინე
თოლორაია.

როგორც მოძრაობის დამფუძნე-
ბლები ამბობენ, მათი მისია თბილი-
სელების იმაში დარწმუნება, რომ დე-
დაქალაქის მერის არჩევნებზე ხმა გიგი
უგულავას მისცენ.

„ჩვენ ყველანი დავეხმარებით მას [გიგი უგულავას] რითაც შეგვიძლია –
სიმღერით, ცეკვით, კლიპებით. უბრა-
ლოდ მისი „ფანები“ ვართ. ყველას, ვი-
საც სურს, რომ გიგი თბილისის მერი
იყოს, ჩვენთან ვეპატიუებით“, – ამბო-
ბს კონსტანტინე თოლორაია.

მოძრაობას უკვე ჰყავს 200-ზე მეტი
წევრი, რომელთა პირადი ინფორმაცია
ანკეტებში ხელისმონერითაა დადას-
ტურებული. მათ შორის არიან მომღერ-
ლებიც. გარდა იმისა, რომ მათი საარ-
ჩევნო ხმა გიგი უგულავას ეკუთვნის,
მის მიმართ მხარდაჭერას ისინი სასი-
მღერო ხმითაც გამოხატავენ.

„ჩვენთან თავისი სურვილით მოდიან,
გვეუბნებიან, – ჩაგვრთეთ თქვენთან,
გვინდა, თქვენი მოძრაობის წევრები
ვიყოთო. ვიღაც ამბობს, რომ იმღერე-
ბს, ვიღაც – იცივებს, ვიღაც – დახა-
ტავს, ვიღაც ფოტოებს გადაიღებს და
ა.შ.“, – ამბობს თოლორაია.

მისი თქმით, აქამდე გამართული
ლონისძიებებიც სულ მეგობრებისა
და კეთილი ნების ადამიანების დახმა-
რებით გაიმართა – ერთმა სრულიად
უფასოდ დაამზადა ბანერები და „მე
მიყვარს გიგი“ წარწერებიანი მაისურე-
ბი, სხვაც აუზი და სპორტული დარ-
ბაზი დაუთმო უფასოდ, კონცერტებზე
აპარატურაც მეგობრებისგან ნათხოვა-
რი აქვთ. ჯგუფ „სეიშენს“ მოძრაო-
ბისთვის პამინიც კა შეუქმნია, რომელ-
საც მალე მოისმენენ თბილისელები.

ქალაქის ცენტრში, ყაზბეგის გამზირზე
პატარა ოფისიც მეგობრის კუთვნილია.
მოძრაობა „ჩვენი ხმა გიგი უგულა-
ვას“ ოფისში ირწმუნებიან, რომ მათ
დაფინანსებასთან გიგი უგულავას არა-
ფერი აქვს საერთო. მათი თქმით, ისი-
ნი უბრალოდ „გიგის ფანები“ არიან და
უგულავას წინასაარჩევნო კამპანიაში
არ არიან ჩართულება.

„არც კი შევხედრივართ გიგის ამ
ორგანიზაციის წევრები“, – ამბობს
თოლორაია.

ორგანიზაციის წევრების თქმით,
მათი მოძრაობა თვითდაფინანსებაზეა

და ძირითადად მეგობრების მიერ გა-
ლებული შემოწირულობებით არსებო-
ბს.

„აქამდე რა ლონისძიებაც გვქონია,
შემიძლია ვთქვა, რომ ყველა ხარჯი
ჩვენი პირადი სახსრებიდან იყო გა-
ლებული. ამჯერად ბიუჯეტი ცარიელი
გვაქვს. თუ არ მივისესხ-მოვისესხეთ,
ფაქტობრივად გაჩერებულები ვართ და
ახალს ვერაფერს ვპირდებით საზოგა-
დოებას“, – ამბობენ მოძრაობაში და
განმარტავენ, რომ სპონსორებს სპორ-
ტულ თუ საქველმოქმედო ლონისძიე-
ბებში ჩართვას თავად სთავაზობენ და
საინტერესო ლონისძიებების დაფინან-
სებას კომპანიები ხშირად თანხმდე-
ბიან.

მოძრაობის დამფუძნებლები ამბო-
ბენ, რომ მოქმედების კონკრეტული
სტრატეგია არ აქვთ, თუმცა, მათი თქ-
მით, ორგანიზაცია თვითმმართველო-
ბის არჩევნების შედეგაც გააგრძელებს
არსებობას. „მომავალში რას გავაკეთე-
ბით, ჯერ არ ვიცით, მაგრამ „ჩვენი ხმა
გიგი უგულავას“ ყოველთვის დარჩება,
რადგან ჩვენი ხმა ყოველთვის იქნება
ნარკოტიკების წინააღმდეგ, ჩვენი ხმა
ყოველთვის დარჩება გაჭირვებულე-
ბის დასახმარებლად, ჩვენი ხმა იქნება
ქველმოქმედებაზე ორიენტირებული“, –
ამბობს თოლორაია.

ადგილობრივი თვითმმართველო-
ბის არჩევნები 30 მაისს გაიმართება.

■ მოძრაობა „ჩვენი ხმა გიგი უგულავას“ ოფისში ირწმუნებიან, რომ მათ
დაფინანსებასთან გიგი უგულავას არათერი აქვს საერთო. მათი თქმით, ისინი
უბრალოდ „გიგის ფანები“ არიან და უგულავას წინასაარჩევნო კამპანიაში
არ არიან ჩართულები.



თბილისის მოსახლეობა პირდაპირი კუნძულისყრის წესით პირველად აირჩევს საკუთარ მერს.

თბილისის მოქმედ მერს გიგი უგულავას, რომლის „ფანებიც“ არიან კოტიკო თოლორაა და მისი მეგობრები, ჯერ ოფიციალურად არ უთქვამს, რომ 30 მაისს აპირებს თბილისის მერის პოსტზე კერძი იყროს.

შმართველი პარტია – „ნაციონალური მოძრაობა“ უგულავას თავის კანდიდატად 30 მარტს დაასახელებს. ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ გასულ კვირას განაცხადა.

თუმცა, მერობის კანდიდატად დასახელების შემდეგაც კი, საარჩევნო კოდექსის თანამად, გიგი უგულავა არ არის ვალდებული, დატოვოს მერის თანამდებობა. საარჩევნო კამპანიის წარმართვა მას შარტავას ქუჩის 21-ე

„ნაციონალურ მოძრაობაში“ ამბობენ, რომ ამ ეტაპზე პარტიას არ გააჩნია თანხები იმისათვის, რომ გიგი უგულავას წინასაარჩევნო კამპანია სათანადოდ წარმართოს.

„საარჩევნო ფონდი ჯერ შექმნილიც არ არის. საარჩევნო კამპანიის დამფინანსებლები გამოჩენდებან ალბათ. ამ კუთხით მუშაობა მიმდინარეობს. ჩვენ ვთხოვთ სხვადასხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს, რომ დაეხმარონ „ნაციონალურ მოძრაობას“, – აცხადებს მმართველი პარტიის პოლიტიკური საბჭოს მდივანი მიხეილ მაჭავარიანი. მისი თქმით, ამ კამპანიის დროს თანხის ხარჯების პროცესი აბსოლუტურად გამჭვირვლე იქნება.

წინასაარჩევნო კამპანიაზე საუპარი და ამ კამპანიაში ჩაბმა არ ეჩქარება გიგი უგულავას, რომელსაც გასული წლის ზაფხულიდან – მას შემდეგ,

ტო დარბაზში 10 ლონისძიება გაიმართა. აქედან შეიდის მხარდამჭერი თბილისის მერია იყო.

„ბასტი-ბუბუ“, „შინი“, „კომედი შოუ“, ალექსანდრე ბასილაიას ხსოვნისადმი მიძღვნილი „Tbilisi Alter Vision“, სხვადასხვა საიუბილეო საღამო და ფესტივალი – ეს მხოლოდ არასრული ჩამონათვალია იმ კულტურული ღონისძიებებისა, რომლებსაც თბილისის მერია აფინანსებს.

თბილისში არასოდეს ასეთი გრანდიოზული პროექტები არ განხორციელებულა, როგორიც – ახლა.

თითქმის თვე-ნახევარია, დედაქალაქი მტვრისა და საცობებში გახვია გმირთა მოედანი-საბურთლოს დამაკავშირებელი ახალი მატასტრალის მშენებლობამ, რომელიც 80 მილიონი დაჯდება. ვაკე-საბურთალოს გზაზე კლდის ნგრევა და ვერეს ხეობაში სხვა

■ საარჩევნო კოდექსის თანახმად, თბილისის მოქმედ მერს თანამდებობის დაუტოვებლად შეუძლია წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართვა. ეს იმას ნიშნავს, რომ გიგი უგულავა ერთი მხრივ მერობის კანდიდატი იქნება, და მეორე მხრივ – მოქმედი მერი.

სართულიდან, მისი დღევანდელი კაბინეტიდან შეეძლება.

ეს იმას ნიშნავს, რომ გიგი უგულავა ერთი მხრივ მერობის კანდიდატი იქნება, და მეორე მხრივ – მოქმედი მერი.

თუ უგულავა მასის ბოლომდე მართლაც დარჩება მოქმედ მერად, მასთან სრულიად არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩენდებიან თბილისის მერობის სხვა კანდიდატები. მათი აქტიურობა შეუმჩნეველი დარჩება თბილისის მოსახლეობას, რომელიც, ბოლო რამდენიმე თვე, თბილისის მერის ჰიპერექტიურობას ადენებს თვალყურს, მათ შორის – პირდაპირ ეთერშიც (ინტერნეტით შესაძლებელია ესტაკადის მშენებლობიდან პირდაპირ ტრანსლაციის ნახვა). იქ ორი კამერაა დამონტაჟებული).

ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ აღმასრულებელი დირექტორი ეკა სირაძე ამბობს, რომ ეს „აშეარა საკანონმდებლო ხარვეზია, რომელიც დასახელებია“.

„მანამდე კი ჩვენ ვაპირებთ, მოვუწოდოთ უგულავას, როდესაც იგი დარეგისტრირდება კანდიდატად, შევბულება აიღოს, რათა სხვა კანდიდატებთან თანაბარ პირობებში ჩადგეს“, – აცხადებს სირაძე.

რაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა მერის პირდაპირი წესით არჩევნების დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო – დღემდე ისედაც უპრეცედენტოდ „ბევრი პროექტისთვის უწევს თვალყურის დევნება“.

ყველგან – ქუჩაში, ტრანსპორტსა თუ „კომედი შოუს“ კონცერტზე, საკუთარ ავტომანქანებსა თუ სახლებში, ტელევაზორის წინ მოკალათებულებს – თბილისელებს არ ავინუდებათ, რომ მათი მერი გიგი უგულავა, რომელსაც „უყვარს თბილისის“.

გზებზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოებისთვის გიგი უგულავა პირდად უხდიდა ბოლიშს მოქალაქეებს დისკომფორტისთვის. „ბოლიშს გიხდით მოძრაობის შეფერხებისათვის, სარემონტო სამუშაოები თქვენთვის სრულდება“, – ენერა ბილბორდის, სადაც გიგი უგულავას მომლიმარი ფოტო იყო გამოსახული.

ეს ბილბორდები გზებიდან ცოტა სნის წინ გაერთა.

გარდა კეთილმოწყობითი პროექტებისა, თბილისის მერია განსაკუთრებით აქტიურად აფინანსებს სხვადასხვა ტიპის კულტურულ ღონისძიებებს.

მაგალითისთვის, მხოლოდ მარტის თვეში ფილარმონიის დიდ საკონცერ-

სამუშაოები დღე და ღამე იმისათვის მიმდინარეობს, რომ ახალი ესტაკადა მაისის ბოლომდე დასრულდეს.

თითქმის ყოველდღე (ზოგჯერ დღეში რამდენჯერმე) თბილისის მერი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფს ხედება: ხან კონკრეტული უბნის მაცხოვრებლებს, ხან პედაგოგებს, ხან დევნილებს და პენისონერებს, სოციალურად დაუცველ ოჯახებს სტუმრობს. ამ შეხედრებზე არავინ საუბრობს მოსახლებულ თვითმმართველობის არჩევნებზე, არავინ ითხოვს საარჩევნო ხმებს. თბილისის მერი უბრალოდ ხალხს იმედს აძლევს, რომ შათ ყველა პრობლემას მოაგვარებს.

არსებული კანონმდებლობის პირებში, თბილისის მოქმედი მერის საკუთარ მოსახლეობასთან ეს შეხედრები, სავარაუდო, ხავერდოვნად გადაიზრდება წინასაარჩევნო კამპანიაში, რომელიც 29 მაისამდე გასტანს. თუ, რა თქმა უნდა, გიგი უგულავა მაისისთვის შვებულებაში გასვლას არ გადაწყვეტს.

რაც შეება უგულავასთვის საარჩევნო ხმების შეგროვებას, ამ საქმეს ჯერჯერობით მოძრაობა „ჩემი ხმა გიგი უგულავას“ და „გიგის ფანები“ უმელავდებიან. [

რაოდისია

ოპოზიცია "ხაცებს ითვას" აჩრივანს ეცის

ლევან გაჩეჩილაძეს არ აქვს პარტია, არც დასავლეთის მხარდაჭერა, მაგრამ მას შეუძლია პოლიტიკურ პროცესებს განაჩენი გამოუტანოს.

ნინო რობაქიძე



■ ლევან გაჩეჩილაძე აქციაზე, თბილისი, 10 მარტი 2008

DUSTY STYLING / GETTY IMAGES

„მე, სხვებთან შედარებით, განსხვავებული სტატუსი მაქვს – მე არ ვეკუთვნი მარტო ჩემს თავს, ხალხს ვეკუთვნი. ვიყავი საერთო ოპოზიციური კანდიდატი და უფლება არ მაქვს, ჩემი გადაწყვეტილება იყოს ნაჩერევი. იგი უნდა

იყოს სწორი და მხოლოდ გამარჯვებისთვის“, – ამბობს ოპოზიციის უპარტიო ლიდერი გაჩეჩილაძე თავის კაბინეტში, ჭავჭავაძის 50-ში.

გადაწყვეტილება, რომელიც გაჩეჩილაძემ უნდა მიიღოს, მნიშვნელოვანია

ოპოზიციისთვისაც და ხელისუფლებისთვისაც. მან უნდა გადაწყვიტოს – თბილისის მერის არჩევნებში დამოუკიდებელი კანდიდატი იქნება, თუ სხვა ოპოზიციურ კანდიდატს დაუჭრეს მხარს.

გაჩერჩილაძესთან გაერთიანებას თი-თქმის ყველა ოპოზიციური ძალა შეე-ცადა. თუმცა, ამ გაერთიანების უკვე აღარავის სჯერა.

„ალიანსის“ ლიდერმა ირაკლი ალასა-ნიამ განაცხადა, რომ ოპოზიციის გაერ-თიანების ილუზია აღარ აქვს და მისი მოძრაობა წინასაარჩევნო კამპანიას დამოუკიდებლად იწყებს. „ალიანსის“ მერობის კანდიდატი თავად აღასანია.

იგვე გააკეთეს 15 მარტს „პრაიმე-რისტებმა“. წინასაარჩევნო პრაიმერის მომხრე ქვემა პოლიტიკურმა პარტიამ „ეროვნული საბჭო“ შექმნა და ამით, შესაძლოა, არასაპარლამენტო ოპო-ზიციის გუნდებად დაყოფის პროცესი საბოლოოდ დასრულდა. „კონსერვატო-რები“, „ხალხის პარტია“ და ზურაბ ნო-ლაიდელის პარტია ახალი ოპოზიციური გაერთიანების ლიდერები არიან. ვინ იქნება ამ პოლიტიკური კოალიციის მე-რობის კანდიდატი, ჯერ უცნობია.

„ეროვნული საბჭო“ – ეს სახელი ოპოზიციურად განხყობილი ამომრჩე-ვლისთვის კარგად ნაცნობია. სწორედ ასე ერქვა ოპოზიციურ გაერთიანებას, რომელმაც 2008 წლის იანვარში ლევან გაჩერჩილაძე პრეზიდენტობის ერთიან კანდიდატად წამოაყენა.

2007 წელს, 7 ნოემბრის კრიზისის შემდეგ შექმნილი ოპოზიციური გაერ-თიანება დღემდე ხელისუფლებასთან ბრძოლის ყველაზე შთამბეჭდავ და წარმატებულ მაგალითად იქცა.

თუ დღევანდელი კოალიციისთვის ამ სახლწოდების შერჩევით ნოლაიდელი, ძიძიგური და დავითაშვილი 3 წლის წინანდელი წარმატების განმეორე-ბას გეგმავენ, მათ ამისათვის, გარდა ქვეყნაში აუკილებელი ოპოზიციური მუხტისა, ერთი მთავარი კომპონენტი აკლიათ – ლევან გაჩერჩილაძე.

სწორედ ამ ადამიანის სახელს უკა-ვშირდება ის წარმატება, რომელსაც დღეს თითქმის ყველა ოპოზიციონერი კანდიდატი სათავისოდ იყენებს, როდე-საც თბილისის მერის არჩევნები ხელი-სუფლების დამარცხებაზე ლაპარაკობს: „თბილისი ხომ ოპოზიციურია, ეს 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევ-ნებმა დაადგინდება“.

2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში მაშინდელი „ეროვნული სა-ბჭოს“ ლიდერმა შეძლო ისეთი შედეგის ჩვენება, რომელიც „ვარდების რევო-ლუციის“ შემდეგ არც ერთ ოპოზიციურ ლიდერსა თუ პარტიას არ ჰქონია. მან, ოფიციალური მონაცემებით, ნახევარ მილიონზე მეტი ხმა მიიღო. გაჩერჩილა-

ძე მთელი საქართველოს მასშტაბით – მეორეზე, ხოლო თბილისში პირველ ადგილზე გავიდა (ლევან გაჩერჩილაძე – 39.76%; მიხეილ სააკაშვილი – 31.82%). ცხადია, ოპოზიციის მაშინდელი წარმა-ტება მეტნილად ნოემბერში ხელისუ-ფლების მიერ დაშვებულმა შეცდომებმა განაპირობა, მაგრამ გაჩერჩილაძემ შე-ძლო იმ დროს ნამდვილი ლიდერი გა-მხდარიყო.

5 იანვრის არჩევნებამდე სულ რაღაც ორმოცი დღით ადრე გაერთიანებულმა ოპოზიციამ პოლიტიკურ საბჭოზე მიი-ღო გადაწყვეტილება, სწორედ ლევან გაჩერჩილაძე ყოფილიყო „ეროვნული საბჭოს“ პრეზიდენტობის კანდიდატი. კენჭისყაში უპარტიო ლიდერმა „რეს-პუბლიკური პარტიის“ თავმჯდომარეს, დავით უსუფაშვილს ერთი ხმით მოუ-გო.

ამ არჩევნების შემდეგ ლევან გა-ჩერჩილაძე ანგარიშგასანევი პოლიტი-კური ფიგურა გახდა საერთაშორისო დამკირვებლებისთვისაც. საპრეზი-დენტო არჩევნების შემდეგ არ ჩატარე-ბულა არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშ-ვნელოვანი შეხვედრა საერთაშორისო წარმომადგენლებსა და ქართულ თბი-ზიციას შორის, რომელსაც გაჩერჩილაძე არ დასწრებია, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი პოლიტიკური ორგანიზაცია მას დღემდე არ აქვს.

მართალია, მომავალი თვითმმართვე-ლობის არჩევნებში საკუთარი კანდიდა-ტურის დაყენებაზე ჯერ არ უფირია, გაჩერჩილაძე საუბრისას ყველაზე დიდ დროს მაინც საკუთარ საარჩევნო გამო-ცდილებაზე ლაპარაკს უთმობს.

„მე არ დამათვლევინეს ხმები. ნამდ-ვილად მოვუგე სააკაშვილს და ეს ვვე-ლამ დაინახა“, – ამბობს იგი.

დღეს უპარტიო ლიდერი, წარსულში რამდენიმე პარტიის წევრი იყო. სულ თავიდან – „მოქალაქეთა კავშირის“.

1999 წლის საპარლამენტო არჩევნე-ბისთვის ედუარდ შევარდნაძის პარტიამ მთავარ პრიორიტეტად პოლიტიკურ პროცესებში ახალი სახეების ჩართვა დასახა. სწორედ ასეთი ახალი სახე იყო წარმატებული ახალგაზრდა ბიზნესმენი ლევან გაჩერჩილაძე. ამ არჩევნებზე გა-ჩერჩილაძემ ვაკის მაჟორიტარი დეპუტა-ტობს კანდიდატის, ასევე პოლიტიკა-ში ახალი სახის, მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო შტაბს უხელმიღებანელა. სააკაშვილის და გაჩერჩილაძის პირველი თანამშრომლობა წარმატებული გამოდ-გა – მიხეილ სააკაშვილმა გაიმარჯვა და ედუარდ შევარდნაძისგან მხარზე

ხელის მოთათუნება და ფრაზა – „ეს შემცვლის მე“ – დაიმსახურა. იმ წელს „მოქალაქეთა კავშირის“ სიით პირვე-ლად გახდა დეპუტატი ლევან გაჩერჩი-ლაძე.

2001 წელს გაჩერჩილაძემ „მოქალაქე-თა კავშირი“ დატოვა და ოპოზიციური პარტია „ახალი მემარჯვენების“ ჩამო-აყალიბია. გაჩერჩილაძე მეგობარ დავით გამყრელიძესთან ერთად სათავეში ჩაუდგა „მემარჯვენების“. მიუხედა-ვად იმისა, რომ მიხეილ სააკაშვილსა და გაჩერჩილაძეს შორის ამ დროისთვის უკვე აშკარა იყო პოლიტიკური დაპი-რისპირება, ეს ორი პოლიტიკოსი საკმა-ოდ კარგ პირად ურთიერთობას კიდევ დიდანს ინარჩუნებდა. ეს 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების დროსაც გამოჩნდა. ლევან გაჩერჩილა-ძემ არ გაიზიარა დავით გამყრელიძეს პოზიცია, გამიჯვნოდა „ვარდების რე-ვოლუციას“, ზედმეტი სკანდალების გა-რეშე დატოვა „მემარჯვენების“ ერთ-ერთი ლიდერის პოსტი და ბოლომდე თანაუგრძნობდა „ვარდების რევოლუ-ციას“.

რევოლუციის შემდეგ გაჩერჩილაძე პარლამენტში მოხვდა როგორც ვაკის მაჟორიტარი დეპუტატი და, როგორც უპარტიო ლიდერი, „კონსერვატორე-ბისა“ და „რესპუბლიკელების“ ოპოზი-ციურ ფრაქციაში გაერთიანდა.

მიუხედავად ამისა, იგი არასადროს გამოირჩეოდა ხელისუფლების მისამარ-თით მკეთრად კრიტიკული განცხადე-ბებით.

ამას ადასტურებს მისი იმდროინდე-ლი თანაფრაქციელი, „რესპუბლიკელები“ დავით ზურაბიშვილიც: „ის არასადრე ესწრებოდა სესიის, სადაც ჩვენ და „კონსერვატორების“ ძალიან აქტიურად ვაკრიტიკებდით მთავრობას. მართა-ლია, ლევანი ჩვენს ფრაქციაში იყო, მაგრამ მაინც ცდილობდა, ნორმალური ურთიერთობა შეენარჩუნებინა მიშას-თან“.

ფაქტობრივად, 2003 წელს პარლა-მენტში მოხვედრის შემდეგ ლევან გა-ჩერჩილაძემ ხაგრძლივი პოლიტიკური ტაიმაუტი აიღო.

ეს მისი პირველი და უკანასკნელი ტაიმაუტი არ იყო პოლიტიკაში. რო-გორც მისი პოლიტიკური პარტნიორები თუ ოპოზიციები ამბობენ, გარკვეუ-ლი დროით გაუჩინარება გაჩერჩილაძის ერთ-ერთი თვისებაა.

„ლევან გაჩერჩილაძეს ერთი ძალიან კარგი რამ ახასიათებს – ის პოლიტიკუ-რიად იძინებს ხოლმე. მას შეუძლია პაუ-

ზა გააკეთოს და მაშინ გააქტიურდეს, როცა მისი სტილის პოლიტიკოსია საჭირო”, – ამბობს „ქრისტიან-დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან ვეფხვაძე.

კიდევ ერთი თვისება, რომელზეც გაჩერჩილადის მეგობრები თუ ოპონენტები ამახვილებენ ყურადღებას, ხალხის მასებთან მისი ურთიერთობის ნიჭია.

„მას გარევეული დინამიკა მოაქვს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მას ქუჩაში გამოსულ ხალხთან კომუნიკაციის საოცარი უნარი აქვს“, – ამბობს ვეფხვაძე.

გაჩერჩილადის „მუდმივ იარაღად“ მოიაზრება მისი საკმაოდ ფართო ნაცნობებისა და მეგობრების წრე, რომელსაც ლევანის ძმა, გია გაჩერჩილაძე, „უცნობი“ უდგას სათავეში.

„რესპუბლიკელი“ დავით ზურაბიშვილი თვლის, რომ გაჩერჩილადის ფიგურა და მნიშვნელობა აბსოლუტურად პერსონალიზებულია: „არის თვითონ და მისი ძმა აცები, კაი ჯიგრები, კაი თბილისელები და მისი სამეგობრო წრე. მისი პოლიტიკური საქმიანობაც მუდმივად აქეთექენ არის ნარმართული. ის მუდმივად ცდილობს, შექმნას პოლიტიკური სიტუაცია, სადაც პარტიული ინტერესი და პარტიული დისკიპლინა მეორე პლანზე იქნება გადატანილი და ყველაფერს რამდენიმე ტიპი გადაწყვეტის. ამას, რა თქმა უნდა, აკეთებს, ერთი შეხედვით, პრიმიტიულად – „რა დროს პარტიებია?! ყველა ერთად დავდგთ!“ პრინციპით, თუმცა ეს კერჯერობით მუშაობს საქართველოში“, – ამბობს ზურაბიშვილი.

ექსპერტების აზრით, ლევან გაჩერჩილადის უკან პარტიული, სტრუქტურული და იდეოლოგიურად გამართული ორგანიზაციის არარსებობა მის საერთაშორისო იმიჯს ვნებს. ამიტომაც დღეს დასავლეთის თვალში გაერო-ში ნამუშევარი ირაკლი ალასანია და მისი „ალიანსი საქართველოსთვის“ უფრო სერიოზულ და ანგარიშგასასწევ პოლიტიკურ ძალად გამოიყურება, ვიდრე უპარტიო, „ხალხური“ ლევან გაჩერჩილაძე.

საზოგადოებრივი ორგანიზაციიების სიმპათიებიც ალასანიას გუნდისკენ უფრო ხშირად იხრება.

„ქართული აკადემია“, რომელიც 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე აქტიურად უქმერდა მხარს ლევან გაჩერჩილაძეს, დღეს ირაკლი ალასანიას მხარესაა. აკადემიის წევრი ნუკრი ქანთარია ხსნის, რომ „ქართული აკადემია“ ლევან გაჩერჩილაძის გულწრების განვითარებას ქუჩაში ხედავს,

ფელობასა და პატრიოტიზმში დარწმუნებულია, მაგრამ მან არჩევნებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება დააგვიანა: „ლევან გაჩერჩილაძემ იცის თბილისელების ენა, მას აქვს სერიოზული საარჩევნო გამოცდილება და გამარჯვების გამოცდილებაც. მაგრამ მის სახელთან ხალხის განპილებაც ასცირდება. მისი აქტიურობა ძალიან წაადგება წინასაარჩევნო პროცესს, თუ გაჩერჩილაძე პოზიციური ხმების გაყოფას არ დაუშვებს“.

გაჩერჩილაძის სამომავლო გეგმები იპოზიციურ სპექტრში ერთ-ერთი ყველაზე განხილვადი თემაა.

ექსპერტები და პოლიტიკოსები თანხმდებიან, რომ თუ ლევან გაჩერჩილაძე თვითმმართველობის არჩევნებში ირაკლი ალასანიას დაუპირისპირდება, ისინი ამომრჩეველთა ხმებს ერთმანეთს წართმევენ.

დავით ზურაბიშვილის განცხადებით, მოვლენათა ასეთი სცენარის განვითარების შემთხვევაში, ლევან გაჩერჩილაძის და ხელისუფლების ინტერესები უადგილოდ დაემთხვევა ერთმანეთს: „ყოფილი პრეზიდენტობის კანდიდატს ძალიან კარგად ესმის, რომ თუ ალასა-

■ „მე ვთქვი, რომ მზად ვარ, ვიყო რიგითი ჯარისკაცი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ეს ბრძოლა რეალურად უნდა დავინახო! თუ იქნება მერობის ათი კანდიდატი, ცხადია, ათი ჯარისკაცი ვერ ვიწევი. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, ოპოზიცია ერთ კანდიდატზე შეთანხმდეს“, – აცხადებს იგი.

ლევან გაჩერჩილაძე ამბობს, რომ ოპოზიციაში ყოფნა მისთვის სამსახური არ არის და მომავალ თვითმმართველობის არჩევნებში მეორე ადგილისათვის ბრძოლა გაუმართლებლად მიაჩინა: „ბრძოლა უნდა იყოს მხოლოდ გამარჯვებისთვის!“

დამოუკიდებლად იბრძოლებს გამარჯვებისთვის, „პრაიმერისტებთან“ თუ ადასანიას მხარდამჭერად, ლევან გაჩერჩილაძემ დღემდე არ იცის. ამბობს, რომ ყველა ვარიანტზე უფიქრია:

„მიფიქრია იმაზეც, რომ ირაკლი ალასანიას დავუჭირო მხარი... თუმცა, მიუხედავად ირაკლის მიმართ ჩემი სიმპა-

თობა არ გვერდი იყვნენ?“

■ „მე ვთქვი, რომ მზად ვარ, ვიყო რიგითი ჯარისკაცი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ეს ბრძოლა რეალურად უნდა დავინახო!“

ნიასთან ერთად ქალაქის მერობის კანდიდატი იქნება, მაგრამ ხელისუფლების გამარჯვება გარანტირებულია“.

ჟურნალისტი კოკა ყანდიიშვილი, რომელიც 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ლევან გაჩერჩილაძის საარჩევნო შტაბის მენეჯერი იყო, მიიჩნევს, რომ გაჩერჩილაძის კანდიდატურის დაუნება თბილისის მერის პოსტზე „უფრო სხვა ადამიანებისა და პოლიტიკური ძალების ინტერესებშია, ვიდრე თვითონ გაჩერჩილაძის“. „გაჩერჩილაძე არის ლიდერი, რომლის გაყიდვას სულ ცდილობენ სხვადასხვა პოლიტიკური ძალები, და ამის მთავარი მიზეზი სწორები ის არის, რომ ლევანის უკან ხალხი დგას“, – ამბობს ყანდიაშვილი.

„ქრისტიან-დემოკრატი“ ლევან ვეფხვაძე თვლის, რომ ლევან გაჩერჩილაძის „პოლიტიკური გამოღვიძება“ დღეს ოპოზიციის იმ ნაწილს აძლევს ხელს, რომელიც არჩევნების შემდეგ მოვლენების განვითარებას ქუჩაში ხედავს,

თიებისა, ასეთ შემთხვევაში, საკუთარ თავთან არ ვიწევი მართალი – რატომ არ უნდა დავუჭირო მხარი კობას და ზოადს, რომლებიც მძიმე დღეებში ჩემ გვერდი იყვნენ?“

თუ ლევან გაჩერჩილაძე თბილისის მერობას მაინც დააპირებს, მას გადაწყვეტილების მისაღებად დაახლოებით ერთი თვე რჩება. ხოლო პოლიტიკური ტაიმუტის აღების შემთხვევაში, პაუზა გრძელი ვერ იქნება. თვითმმართველობის არჩევნებში იმპერია გამარჯვებისათვის მერიანი უნდა დადგენილი იყოს მხოლოდ გამარჯვებისთვის!“

„მე ვთქვი, რომ მზად ვარ, ვიყო რიგითი ჯარისკაცი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ეს ბრძოლა რეალურად უნდა დავინახო!“

ნახთმავის სიღნალი

მატილდა მირზოევა, მესამე წელია, საცხოვრებელი სახლის შესასვლელთან
მდებარე მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებას უშედეგოდ
ითხოვს.

მადონა პატიაშვილი



B | S | T The Black Sea Trust
for Regional Cooperation
A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND

სტატია დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების
German Marshal Fund-ის პროექტის The Black Sea Trust-ის მიერ.
ამ პუბლიკაციის გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ
არის აუცილებელი, გამოხატავდეს German Marshal Fund-ის, The Black
Sea Trust-ის და მისი პარტნიორების შეხედულებებს.

მატილდა მირზოევა, მესამე წელია,
საცხოვრებელი სახლის შესასვლელთან
მდებარე მიწის ნაკვეთზე საკუთრების
უფლების აღიარებას უშედეგოდ
ითხოვს. სიღნალის გამგეობაში მირზოევების
ოჯახს მიწის ფართი ჩამოართვა და
სახლის წინ მდებარე კაფე დაუნგრია,
ხოლო მატილდა მირზოევა დედამისთან,
მარიასთან ერთად წინააღმდეგობის გა-
ნევის გამო დააკავეს და დააკარიმეს.

„სიღნალი მილიონერების ქალაქია. მი-

ლიონერებში არ ვგულისხმობ არც ბიზ-
ნესმენებს და არც იმ ადამიანებს, რომ-
ლებიც სიღნალში შენობებს ყიდულობენ.
მილიონერები არიან სიღნაღელები, რო-
მელთა სახლები ერთი წლის წინ 2000
დოლარი ლირდა, ახლა ნახევარი მი-
ლიონი ან მეტი ლირს. სიღნალი მთელ
ევროპაში ულამაზესი ქალაქია. ვერც
ჩინელები, ვერც ამერიკელები და ვერც
თურქები ვერ აშენებენ ისე სწრაფად,
ხარისხიანად და ენთუზიაზმით, რო-

გორც ჩვენ. რეაბილიტირებულ სიღნალ-
ში უბრალო ადამიანებს აქვთ საშუალება
ფული იმოვონ და ცხოვრება მოიწყონ“,
– განაცხადა განახლებული სიღნალის
პომპეზურ პრეზენტაციაზე პრეზიდენტ-
მა მიხეილ სააკაშვილმა.

სიღნალში პრეზიდენტის ბევრს სჯე-
როდა, მათ შორის – მარია მირზოევასაც,
რომელიც უკვე მესამე წელია, საკუთა-
რი სახლის წინ მდებარე მიწის ნაკვეთის
დაკანონებას უშედეგოდ ცდილობს. სიღ-

ნალის მუნიციპალიტეტის გამგეობაშ მირზოევებს აღნიშნულ ტერიტორიაზე ჯერ კომერციული საქმიანობა აუკრძალა, მოგვიანებით კი მათი მიწის ნაკვეთი თვითონ გამგეობაშ დაირეგისტრირა. ფაქტები კი იმაზე მეტყველებს, რომ მირზოევები ამ მიწას კანონიერად ფლობდნენ.

მარია მირზოევამ სიღნალში საცხოვრებელი სახლი დადანის ქუჩის პირველ ნომერში 1973 წლის 5 სექტემბერს შეიძინა. მან თავდაპირველად სახლის ერთი მეხუთედი - 34,6 კვადრატული მეტრი იყოდა.

1979 წელს მირზოევებმა მეზობლისა გან კიდევ ერთი ოთახი და მიწის ნაკვეთი შეიძინეს. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში, რომელიც 1979 წლის 23 მაისაა გაფორმებული, ჩანს, რომ მათ 97.5 კვ.მ შეიძინეს. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში არ არის გამიჯული, მიზის რა ფართობი უკავია საცხოვრებელ სახლს და რამდენი საკარმიდამო ნაკვეთს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, მირზოევების კუთვნილი მიწის ნაკვეთი 132.1 კვ.მ-ს შეადგინა.

საცხოვრებელი სახლის ტექნიკური პასპორტიდან კი ირკვევა, რომ მირზოევების სახლს 100 კვ.მ მიწის ფართო-

ესტრში მხოლოდ საცხოვრებელი სახლის დარეგისტრირება შეძლეს. მირზოევებმა აღნიშნული დოკუმენტი მოგვიანებით სხვა დოკუმენტებთან ერთად სახლში აღმოჩინეს. თუმცა მიწის ნაკვეთი საჯარო რეგისტრში არ დაურეგისტრირებითა.

მატილდა მირზოევა: „როცა სახლი საჯარო რეგისტრში გავატარეთ, ამ მიწის დოკუმენტში ვერ ვიპოვე. გარდაცვალებამდე ყველაფერს მამა აგვარებდა და მე და დედამ ამ საქმის არაფერი ვიცოდით. მოგვიანებით აღმოვაჩინეთ, რომ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, რომელიც ამ მიწის საკუთრებას ადასტურებს, სახლში სხვა დოკუმენტებთან ერთად გვექნია შენახული“.

მიწის ნაკვეთათან დაკავშირებით მირზოევებს პრობლემები მოგვიანებით შეექმნათ.

2008 წლის მარტში დედა-შვილმა, მატილდა და მარია მირზოევებმა სახლის წინ მდებარე მიწის ნაკვეთზე, რომელსაც 37 წელი ფლობდნენ, კაფებარი გახსნეს. იჯამა დროებითი ნაგებობა კომპანია „ყაზბეგის“ დახმარებით ააშენა.

მატილდა მირზოევა: „ეს სახლი 1973 წელს, ჩემს დაბადებამდეა ნაყიდი, იმ

სამუშაოები დაწყო, მიეცვდით, რომ ამ მიწას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით ვეძარ გამოვიყენებდით, რადგან ჩემი სახლი ქალაქის ცენტრალურ უბანში მდებარეობს. გადავწყვიტოთ, სახლის წინ ღია კაფე-ბარი გაგვეხსნა და ოჯახი ამით გვერჩინა. დავიწყეთ ყველა საჭირო დოკუმენტის შეგროვება, რათა ჩვენი საქმიანობა კანონიერი ყოფილყოფი.

როცა კაფეს ვაკეთებდით, ჩვენთან რაიონის იმ დროინდელი გამგებელი ზაზა ზედელაშვილი და სიღნალის მაჟორტარი დეპუტატი ნუგზარ აბულაშვილი მოვიდნენ და კაფეს მშენებლობაში დახმარება და თანადგომა შემოგვთავაზეს. მუშაობა დავიწყეთ. ვყიდდით ყავას, ნაყისს, ლუდს და გამაგრილებელ სასტელებს. ერთი თვის შემდეგ კვლავ მოვიდა ზაზა ზედელაშვილი და გვითხა, მიწას ხომ არ გავყიდდით; გვითხა, რომ ამ მიწით ბიზნესმენები დაინტერესდნენ და მათთან შეხვედრაც შემოგვთავაზა. ჩვენ მიწის გაყიდვაზე უარი ვუთხარით. პრობლემებიც ამის შემდეგ შეგვექმნა“.

2008 წლის 25 აპრილს მირზოევებმა სიღნალის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან კომერციული საქმიანობის შეწყვეტის თაობაზე კატეგორიული მოთხოვნის



■ როცა კაფეს ვაკეთებდით, ჩვენთან რაიონის იმ დროინდელი გამგებელი ზაზა ზედელაშვილი და სიღნალის მაჟორტარი დეპუტატი ნუგზარ აბულაშვილი კაფეს მშენებლობაში დახმარება შემოგვთავაზეს. მუშაობა დავიწყეთ. ერთი თვის შემდეგ კვლავ მოვიდა ზაზა ზედელაშვილი და გვითხა, მიწას ხომ არ გავყიდდით; გვითხა, რომ ამ მიწით ბიზნესმენები დაინტერესდნენ და მათთან შეხვედრაც შემოგვთავაზა. ჩვენ მიწის გაყიდვაზე უარი ვუთხარით. პრობლემებიც ამის შემდეგ შეგვექმნა“.

ბი უკავია. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მიხედვით, მირზოევები სახლის წინ მდებარე 32.1 კვ.მ მიწის ნაკვეთის მფლობელებიც არიან.

მირზოევების სახლი საჯარო რეგისტრში 2007 წლის 6 დეკემბერსაა დარეგისტრირებული, იმის გამო, რომ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებდა, რომ სახლის წინ მდებარე მიწის ნაკვეთი მათ ოჯახს ეკუთხონდა, მირზოევებმა დაკარგეს და საჯარო რე-

დლიდან, რაც ჩემმა მშობლებმა ეს სახლი იყიდეს, ამ მიწის მფლობელებიც ვართ, რადგან ჩემს სახლს ერთადერთი შესასვლელი ამ მიწიდან ჰქონდა, ამიტომ ჩემს მშობლებს ეს მიწაც უყიდიათ, დამადასტურებელი დოკუმენტებიც გვაქვს. ვიდრე სიღნალი „მილიონერების“ ქალაქად გადაიქცეოდა, ამ მიწაზე ჩემს ოჯახს ბოსტნეული მოწყავდა. ეზოში გვაქვს ხეივანი, სადაც 35 წლის ვაზია გაშენებული. როცა სიღნალში სარეაბილიტაციო

წერილი მიიღეს. წერილს ხელს აწერდა მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი დავით კოჭკლამაზაშვილი. წერილში ეწერა, რომ მირზოევები მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სკერის ტერიტორიაზე თვითნებურად შეიქრინენ და ეწეოდნენ არაკანონიერ კომერციულ საქმიანობას.

მირზოევებმა კომერციული საქმიანობა დროებით შეაჩინეს და საკუთრების

დამადასტურებელი დოკუმენტებით გამოვლინებული აღნიშნული მინის ნაკვეთის მცირე ნაწილს – 32.1 კვ-მს ფლობდნენ, ხოლო თვითნებურად დაეკავებინათ 56 კვადრატული მეტრი. მირზოევებმა ალურიცხავი მინის დაკანონება გადაწყვიტეს, მაშინ „რაც შენია, შენიას“ პროგრამით ხალხი ასეთ ნაკვეთებს საკუთრებად იფორმებდა. 2008 წლის 1 ივნისს ოჯახის უფროსმა მარია მირზოევამ განცხადებით მიმართა სილნალის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და ეკრძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებული მინის ნაკვეთებზე საკუთრების აღიარების კომისიას და მისი სახლის შესასვლელთან თვითნებურად დაკავებული მინის ნაკვეთზე საკუთრების აღიარება მოითხოვა. მირზოევამ მინის ნაკვეთზე საკუთრების

„სიღნალი მიღიონერების ქალაქია. მიღიონერებში არ ვგულისხმობ არც ბიზნესმენებს და არც იმ ადამიანებს, რომლებიც სიღნალში შენობებს ყიდულობენ. მიღიონერები არიან სიღნალელები, რომელთა სახლები ერთი წლის წინ 2000 დოლარი ლირდა, ახლა ნახევარი მიღიონი ან მეტი ლირს“.

უფლების აღიარებისათვის კომისიას ცენტრ დოკუმენტი წარუდგინა. ვიდრე კომისია მოწოდებების საქმეს განიხილავდა, გამგების პრძანების საფუძველზე, პოლიციამ მათი კაფე-ბარი დანგრია და მიწის ნაკვეთის გასათავისუფლებლად სპეციალურია ჩატარა.

აღმოჩნდა, რომ ვიდრე კომისია მირზოევებს რამე პასუხს აცნობებდა, ამასონაში მათი კუთვნილი მინა გამგეობას საკუთრებად გადაუფორმებია, თუმცა

თავად მირზოევებმა ამის თაობაზე არა-
ფერი იცოდნენ.

მირზოევებმა მუდმივმოქმედ კომისიას საკუთრების აღიარების მოთხოვნით მეორედ 2009 წლის 29 აპრილს მიმართეს. საკუთრების აღიარების მუდმივმოქმედმა კომისიამ მირზოევებს 2009 წლის 25 ივნისს საკუთრების აღიარების მოთხოვნაზე უარი უთხრა. წერილში, რომელსაც კომისიის თავმჯდომარე ვასილ ნარინდოშვილი ანგრძს ხელს, ნათქვამია, რომ ქ. სიღნაღის დადიანის №1-ის მიმდებარე ტერიტორია სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურში რეგისტრირებულია სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელზე. კომისიის თავმჯდომარე იტყობინება, რომ საკითხი არ არის კომისიის ქვემდებარე და კომისია ვერ განიხილავს მოქალაქესა და მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის

ნონებას, ჩემი კუთხონლი მინის ფართი დამიძრუნონ. პრეზიდენტის დაპირება, რომ სიღნაღელები ფულს ვიშმოვიდით და ცხოვრებას მოვიწყოთ, ტყუილი აღმოჩნდა. სიღნაღელებს წაგართვეს მაღაზიები, საოჯახო სასტუმროები და მინის ნაკეთები. თუ დასჭირდათ, აღბათ სახლებას დაგვატოვებინებენ“.

მირზოევების საქმესთან და ბრალ-დებებთან დაკავშირებით სიღანძის მაჟორიტარი დეპუტატი ნუჯგარ აბულაშვილი კომინტარს არ აკეთებს. ზაზა ზედელშვილი კი ბრალდებებს უარყოფს და აცხადებს, რომ ალინიშვილი ტერიტორია ყოველთვის მუნიციპალიტეტის გამგეობას ეკუთვნიდა.

ზაზა ზედელაშვილი: „ეს მიწა მუნიციპალიტეტის საკუთრებაა. მანდ ყოველთვის ბალი იყო. ადრე ამ ადგილას ავლიძურაბაშვილის ბიუსტი იდგა, მანამდე კი

საკუთრებასთან დაკავშირებით წარმო-
შობილ დავას.

ზაზა პაცულშვილი, საკუთრების აღიარების კომისიის წევრი: „მარია მირზოევამ კომისიას ყველა საჭირო დოკუმენტი წარუდგინა, მაგრამ უარი ვუთხარით საკუთრების აღიარებაზე. აღნიშნული ტერიტორია სიღნაღმის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკუთრებაა და კომისიის ვერგანისხილავს მოქალაქეებსა და მუნიციპალიტეტის გამგეობის საკუთრებას შორის საკუთრებასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავას“.

მარზოლების თქმით, აღნიშნული მინის ნაკვეთით, სიღნალის რეაბილიტაციის შემდეგ, სიღნალის მაჟორიტარი დეპუტატი ნუჯგარ აპულაშვილი დინინგერს სად. გადაწყვეტილება, რომლის საფუძვლზეც, პოლიციამ მირზოლები ნაკვეთიდან გაყრა, დეპუტატის ბიუროს ამჟამინდელი უფროსს და აპულაშვილის მეგობრის, ზაზა ზედელაშვილის მიერ არის მიღებული, რომელიც მაშინ სიღნალის რაონის გამჯობრათ მუშაობდა.

მარია მირზოევა: „გაიგეს, რომ მინა
დარეგისტრირებული არ გვქონდა და
წაგვართვეს. გამგეობამ ჩემი კუთხინი-
ლი მინის ნაკვეთი „ინგლისურ პარკ“
მიაკუთხნა, პარკი კი ჩემი სახლიდან მო-
შორებითაა. „ინგლისურ პარკს“ და ჩემს
მინის ნაკვეთის გზა ჰყოფს. აღარ ვითხოვ
თვითონებულად დაკავებული მინის დაკა-

სოლომონ დოიდაშვილის ძეგლი. მირზო-
ევები უკანონოდ შეიჭრნენ გამგეობის
მინაზე და ჩვენ კანონით მინიჭებული
ყველა უფლება გამოიყენეთ“.

საბირისპოროს ამტკიცებულ სიღნაღელების მათი თქმით, ამ მინას ყოველთვის მირზოევები ფლობდნენ და ავლია ზურაბაშვილის ბოუსტი არა მირზოევების სახლის წინ, არამედ „თიბისი ბანკის“ წინ, მირზოევების მიწის მიდგებარეტერიტორიაზე იდგა. სიღნაღელი ჯონი ცანაგა და ვენერა ობოლშვილი ამბობენ, რომ მინა მირზოევებმა იყიდეს და ყოველთვის მათ ეკუთხონდათ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღრანტის სარეგისტრაციო სამსახურის ინფორმაციით, სადაც მიზის ნაკვეთი მუნიციპალიტეტის გამგებამ 2008 წლის 26 ივნისს დირექტივირა.

მირზოევების ადგოუატი თენგრიზ ბე-
ჟაშვილი ამბობს, რომ ჩაიონის ხელმძღ-
ვანელობაზ უმწეო ოჯახის მდგომარეო-
ბით ისარგებლა და ახალგაზრდა
მარტოხელა დედას მინა წაართვა, ხოლო
მუნიციპალიტეტის ყოფილმა გამგებელ-
მა ზაზა ზედელაშვილმა თანამდებობა
ბორიტად გამოიყენა. სილნალის გამგეო-
ბის წარმომადგენელმა კახი ლვინიაშ-
ვილმა კი გვითხრა, რომ გამგებამ
მინის ეს ნაკვეთი, შესაძლოა, უმოკლეს
დორში გაყიდოს. **■**

აღარისებული შეფასება

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობას, კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით, საკმაოდ მკაცრად აფასებს.

ნინო ბექიშვილი



■ 7 ნოემბრის აქციის სისხლიანი ნაკვალევი ქაშვეთის ეკლესიაში, 2008

ფოტო იანი ჯავახიშვილი

„ვფიქრობ, როდესაც ჩეენ ადამიანის უფლებებს განვიხილავთ, მათ სტიმულირებას ვახდენთ ან ამ უფლებების დაცვის აუცილებლობაზე ვსაუბრობთ, ეს ჩენი ინვესტიციის ნანილია ქართველ ხალხში“.

ჯონ ბასი აშშ-ს ელჩი საქართველოში

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი უკანასკნელი 34 წლის მანძილზე, ყოველ წელს აქვეყნებს საანგარიშო მოხსენებას ადამიანის უფლებების დარღვევების შესახებ თითქმის მთელ მსოფლიოში.

შარშანდელი ანგარიში ამა წლის 11

მარტს გამოქვეყნდა. ის თავი, რომელიც საქართველოს ეხება, საკმაოდ ვრცელია, 68-გვერდიანი და არა მხოლოდ შარშანდელ ვითარებას აღნირს, არამედ უკანასკნელი ოთხი წლის მოვლენებს განიხილავს. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ეყრდნობა სახალხო დამცველის, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების თუ ექსპერტების მოსაზრებები. მნიშვნელოვანია ისიც, რომ წელს ამერიკის საელჩომ ანგარიში სამოქალაქო საზოგადოებას წარუდგინა და დისკუსია მოაწყო, რათა ამ დოკუმენტში განხილული საკითხების მიმართ ინტერესს გაეზარდა. ასეთი რამ წინა წლებში არ მომზდარა“.

„ეს ანგარიში დიდი ხნის მუშაობის ნაყოფია, – ამბობს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ჩხეიძე, – მოხსენება საკმაოდ ყოვლისმომცველია,

მოყვანილი ფაქტები გადამოწმებულია რამდენიმე წყაროს მიერ; მოცემულია, როგორც ხელისუფლების პოზიცია, აგრეთვე კონკრეტული არასამთავრობო ორგანიზაციების თუ ექსპერტების მოსაზრებები. მნიშვნელოვანია ისიც, რომ წელს ამერიკის საელჩომ ანგარიში სამოქალაქო საზოგადოებას წარუდგინა და დისკუსია მოაწყო, რათა ამ დოკუმენტში განხილული საკითხების მიმართ ინტერესს გაეზარდა. ასეთი რამ წინა წლებში არ მომზდარა“.

ანგარიშის შესავალში მოკლედაა შეჯამებული ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც დოკუმენტში კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით, დაწვრილებით

არის განხილული. აღნიშნულია, რომ „საერთაშორისო დამცვირვებლების დასკვნის მიხედვით, მასის საპარლამენტო არჩევნები საერთაშორისო სტანდარტებს სრულად არ შეესაბამებოდა“.

ანგარიშში დაწვრილებითაა აღნეროლი უამრავი საკითხი – სასამართლოს დამოუკიდებლობა, ციხეებში არსებული მდგომარეობა, გამოხატვის, შეკრებებისა და მანიფესტაციების, მედიის თავისუფლება, ძალის გადამტება სამართლდამცავთა მიერ, პოლიტიკურად მოტივირებული დაბატიმრებები, სატელეფონო მოსმენები, რომლებიც ძალვანთა მიერ უკანონოდ ხორციელდება, ელიტური კორუფცია და საკუთრების ხელყოფის ფაქტები, ბავშვების და ქალების, აგრეთვე – ადგილნაცვალ პირთა მდგომარეობა, რელიგიის თავისუფლება, განსხვავებული საქსუალური ორიენტაციის მქონე პირთა მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულებები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მდგომარეობა, კონფლიქტის ზონებში ადამიანის უფლებების დარღვევების ფაქტები და ბევრი სხვა.

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი არა მხოლოდ დარღვევებს აღნუსხავს, არამედ ადამიანის უფლებების კუთხით აფასებს ზოგად მდგომარეობას. ამიტომაც, საუბარია დადებით ტენდენციებზეც – მაგალითად, ახალ საპროცესო კოდექსზე, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტზე და საარჩევნო ცვლილებაზე, რომლის მიხედვითაც, თბილისის მერის პირდაპირი არჩევა გახდა შესაძლებელი. აღნიშნულია, რომ გაისხა რამდენიმე ახალი სასჯელადსრულების დაწესებულება და გაუქმდა ცნობილი მე-5 საპურობილე, სადაც პატიმრებისთვის გაუსაძლის პირობები იყო. დადებით კონტექსტში ისიც არის ნათქვამი, რომ წამების ფაქტები ქართულ პოლიციაში სისტემურ ხასიათს აღარ ატარებს.

საქართველოს სახალხო დამცველი გიორგი ტულუში ამბობს, რომ ომბუდსმენის ოფისი მჭიდროდ თანამშრომლობს ამერიკის საერთოსთან: „სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში მოყვანილი არაერთი ფაქტი სწორედ სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშიდანაა აღვტული. ცხადია, სახელმწიფო დეპარტამენტს აქვს თავისი ხედვა. აქ, როგორც წესი, მოყვანილია ფაქტები და ნაკლებადაა შეფასებები. თუმცა, ნლევანდელ ანგარიშში არის მინიშნებები, რაც გარკვეულ ტენ-

დენციებზე მიუთითებს. 2008 წლის ანგარიშიც საკმაოდ კრიტიკული იყო და იქ დიდი ადგილი არჩევნების თემას ეთმობლივა, ვინაიდან 2008 წელი არჩევნების წელი იყო. ამ ანგარიშში ყურადღება იმ მოვლენებზეა გამახვილებული, რომლებიც საქართველოში აპრილიდან განვითარდა, როგორც მომიტინგების, ისევე სამართლდამცავთა მხრიდან. ნათქვამია ისიც, რომ „მედიის თავისუფლებისადმი პატივისცემის ხარისხი დაცაცა“.

„ალიანსი საქართველოსთვის“ ლიდერის, ყოფილი სახალხო დამცველის, სოზარ სუბარის აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვნია ის ფაქტი, რომ ამერიკის სხელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებაში ადგილი დაეთმო პოლიტიკურად მოტივირებულ დაბატიმრებებს. ანგარიშს ერთი თავი მთლიანად ამ თემას ეხება და ნახმარია ტერმინი „პოლიტიკური პატიმარი“. ანგარიშში აღნიშნულია ისიც, რომ სხვადასხვა სტრუქტურა „პოლიტიკური პატიმრების“ განსხვავებულ რიცხვებს ასახელებს: „ნულიდან – ათასამდე“. „სახალხო დამცველმა წლის პირველი ნახევრის მოხსენებაში პოლიტიკური პატიმრები არ მოიხსენია. ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტმა განაცხადა, რომ პოლიტიკური პატიმრები არ არსებობდნენ“, – ნათქვამია მოხსენებაში.

ანგარიშის ამავე თავში განხილულია იმ პირთა საქმეები, რომლებსაც წინა სახალხო დამცველი და ადგილობრივი თუ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები პოლიტიკურ პატიმრებად მიიჩნევნ. აღნიშნულია ის ფაქტიც, რომ 12 აგვისტოს, ოპოზიციურმა პარტიებმა მოლაპარაკებებისას საქართველოს ხელისუფლებას მათი 48 წევრის საქმე წარუდგინეს, რომელთა უმტკისობაც ერთი და იმავე საბაბით მოხვდა ციხეში. ნაწილი გათავისუფლდა, თუმცა, ზუსტად რამდენი ადამიანი რჩება პატიმრობაში, ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ანგარიშში ლაპარაკა იმაზეც, რომ, პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების შემთხვევაში, სამართლდამცავები იარაღისა და ნარკოტიკების „ჩადებას“ ხშირად დაბატიმრების საბაბად იყენებდნენ.

ანგარიში მოხვდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც პოლიციის მიერ არალეტალური ტყვიერის გამოყენების დაკანონებას, მიტინგებისა და მანიფესტაციების წესების გამკაცრებას და ადმინისტრაციული ჯარმებისა და პატიმრობის ვადების გაზრდას ითვალისწინებდა. ეს საკანონმდებლო



სუფისტური მეჩეთი აზეტის რაიონის სოფელში

აქტები ოპოზიციურმა პარტიებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა გააკრიტიკეს. აღნიშნულია ისიც, რომ მთავრობამ პირობა დადო, გაეთვალისწინებინა ვენეციის კომისიის დასკვნა ამ საკითხებთან დაკავშირებით.

განსაკუთრებით კატეგორიულია ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ქართული მედიის მიმართ. ანგარიშის შესავალში ნათქვამია, რომ „მედიის თავისუფლება შემცირდა და დაფიქსირდა დამფუძნებლებისა და კომპანიების უფლებამოსილებებში მთავრობის წარმომადგენელთა ჩარევა“. მოყვანილია არაერთი ფაქტი, როდესაც ხდებოდა ურნალისტებზე ზენოლა და მათი ფიზიკური შეურაცხებული.

აღნერილია, რომ ქვეყანაში არსებობს სახელისუფლო და ოპოზიციური ტელეარხები. განხილულია მედიამფლობების თემაც. ეს უკანასკნელი ქართული საზოგადოებისთვის დღეს განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან ვერ ხერხდება ნაციონალური ტელეარხების რეალური მფლობელების დადგენა. „რა თქმა უნდა, ლიცენზიის მფლობელი

უნდა იყოს საქართველოს რეზიდენტი. თუმცა, როდესაც მფლობელი იურიდიული პირია, კანონი არ განმარტავს იმას, რომ აუცილებელად უნდა გაიცეს ინფორმაცია იმ ფიზიკური პირების შესახებ, ვინც იურიდიული პირების უკან დგას. აქ საკანონმდებლო პრობლემაა“, – ამბობს გიორგი ტულუში.

ანგარიშში, ტალიავანის კომისიის დასკვნაზე დაყრდნობით, 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ ამ ომში პასუხისმგებლობა მხოლოდ ერთ მხარეს არ ეყარება და ლია საპროცესო მოქმედებები სწორედ საქართველოს მხრიდან დაიწყო.

აღნიშნულია, რომ არ დადასტურდა ქართველების მიერ ოს ერთს გეხოცდი, სამაგისტროდ, დადასტურდა ოსური ფორმირებების მიერ ქართული მოსახლეობის ეთნოწმენდა. განხილულია ის პრობლემებიც, რაც კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ ქართულ მოსახლეობას ექმნება, როცა მათ აფხაზურ არმიაში ჩანერას აიძულებენ, ან არ ეძლევათ ქვეყნის შიგნით თავისუფლად გადაადგილების ან მშობლიურ ენაზე სწავლის სამუალება.

■ განსაკუთრებით კატეგორიულია ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ქართული მედიის მიმართ. ანგარიშის შესავალში ნათქვამია, რომ „მედიის თავისუფლება შემცირდა და დაფიქსირდა დამფუძნებლებისა და კომპანიების უფლებამოსილებებში მთავრობის წარმომადგენელთა ჩარევა“. მოყვანილია არაერთი ფაქტი, როდესაც ხდებოდა ურნალისტებზე ზენოლა და მათი ფიზიკური შეურაცხებული.

აღნერილია, რომ „მედიის თავისუფლება შემცირდა და დაფიქსირდა დამფუძნებლებისა და კომპანიების უფლებამოსილებებში მთავრობის წარმომადგენელთა ჩარევა“.

რელიგიის თავისუფლებას ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა შარშან ოქტომბერში ვრცელი მოხსენება მიუძღვნა. ანგარიშში სწორედ ამ მოხსენების თებისებია მოკლედ მოყვანილი. ძირითად პრობლემად ისევ რჩება სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დაცებული საკონსტიტუციო შეთანხმება, რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის, ქონების რესტიტუციის საკითხები; მოყვანილია რელიგიური შეუწყნარებლობის ფაქტები. მაგალითად, მუსლიმები ჩივიან, რომ მათ სოფლებში ქართველები ჯვრებს დგამენ.

ნერვანდელ მოხსენებაში ადგილი დაეთმო განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მქონე პირთა დისკრიმინაციას სამართლდამცავთა მხრიდან, კერძოდ, ფონდ „ინკლუზივის“ პოლიციის მიერ დარბევის ფაქტს.

ოპოზიციის და ხელისუფლების წარმომადგენლები ანგარიშს სხვადასხვაგარად აფასებენ.

„ვალიარებთ, რომ საქართველო არ არის დასრულებული დემოკრატია, – ამბობს საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წარმომადგენელი გიორგი კანდელაკი, – დოკუმენტს ყურადღებით გავეცანით და აღმოვაჩინეთ, რომ ანგარიშში რამდენიმე სერიოზული უზუსტობაა. არ გვინდა ამ ანგარიშს ხაზი გადაუუსვათ, ამოტომაც, შევეცდებით უმოკლეს ვადაში მოვახდინოთ რეაგირება და ეს უზუსტობები აღმოვალებათ. რაც შეეხება იმ ფაქტებს, რომლებსაც, ჩვენი აზრით, სუსტი საფუძველი აქვს ან საფუძველი არ გააჩნია, არგუმენტაციას წარვადგენთ შესაბამისი არხების მეშვეობით. ახლა სწორედ ამ საკითხებზე ვმუშაობთ“.

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი სოზარ სუბარი კი ამბობს: „ამ ანგარიშში ჩანს ამერიკის შეერთებული შტატების დამოკიდებულება საქართველოს ხელისუფლების მიმართ; ჩანს, რომ ისინი არაფერზე დახუჭავენ თვალს. შეიძლება ისიც კი ითქვას – ამერიკა საქართველოს არსებულ ხელისუფლებას მსარს აღარ დაუჭერს, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა თავს ამერიკის მოკავშირედ აცხადებს. ჩვენ შეიძლება ამერიკისგან რაღაც უფრო ქმედით ნაბიჯებს ველოდებიდეთ, მაგრამ ეს არ მოხდება, ისინი არ ჩეარობენ. ერთი რამ ცხადია – ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოში არსებულ მდგომარეობას ადეკვატურად აფასებს“. ■



■ გამოხატვის, შეკრებისა და მანიფესტაციების თავისუფლად

ინიციატივი ბავშვების ნაცვალ

მძიმე დიაგნოზის მქონე პატარები, რომლებზეც დედები დაბადების პირველივე საათებში ამბობენ უარს, ფაქტობრივად, იმ წუთიდანვე სიკვდილისთვის არიან განწირულები.

მარიკა ქოჩიაშვილი



■ კ. ჩაჩავას სახელობის სამშობარო, თბილისი 2010

ფოტო ალექსანდრე გაგაურაძე

ერთი კილო და შვიდასი გრამი. ტურის და სასის ნაპრალი. არ გაეხსნა ფილტვი. გულის ბოტალური არხი – ღია. შიდა დანფიცირება, ტვინზე კისტა, სმენის დაქვეითება – ეს იმ პრობლემების მოკლე ჩამონათვალია, რაც დღენაკლულ მათეს დაბადებისას ჰქონდა.

მათეს დედა, კრისტო 31 კვირის ფეხმძიმეც არ იყო, როცა მშობიარობა დაეწყო. თუკი მანამდე იცოდა, რომ

მის შვილს მხოლოდ ტურის ნაპრალი ჰქონდა, მათეს დაბადების შემდეგ შვილის დიაგნოზების აღნუსხვას თითქმის ორი ფურცელი დასჭირდა.

„დარჩა თქვენი შვილი განუვითარებელი“... – ექიმებმა ამ ფრაზის სხვადასხვა ვერსიაც ბევრჯერ მოასმენინეს.

„არც მე და არც გიოს ერთი წამითაც კი არ გვიფიქრია, აზრადაც კი არ გაგვივლია, რომ მათეს მიტოვება

შეგვეძლო. დაბადების პირველი თვეები მისი დიაგნოზების აღმოჩენის პერიოდი იყო, დახმარება და ჩარევა ყოველ წუთს იყო საჭირო, რამე რომ არ გამოგვპარვოდა. უცებ გვეტყოდნენ, რომ უნდა გვეშვოვა მედიკამენტი, რომელიც კლინიკაში არ ჰქონდათ. ვშოულობდით, შემდეგ ახალი პრობლემა ჩნდებოდა. ერთადერთი ფიქრი გვიტრიალებდა თავში, რომლითაც თითქმის შეპყრობილი ვიყავით

- ვუშველოთ, დავეხმაროთ, რამე არ გამოგვრჩეს”, – იხსენებს კრისტი.

იმავე სამშობიაროში მათესთან ერთად იმ დღეებში კიდევ ერთი ბავშვი დაიბადა ტუჩის ნაპრალით. ექიმები მშობლებს არწმუნებდნენ, რომ ამ პრობლემას მარტივი ქირურგიული ოპერაციით უშველიდნენ, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებს სხვა არაფერი სჭირდა, მშობლებმა ის მაინც სამშობიაროში დატოვეს. განერისას ქმარი ცოლს გაეხუმრა კიდეც: „ნავედით ახლა, ბრაჟიანი ბავშვი არ მინდა, ნორმალური ბავშვები გავაკეთოთ“.

მათე გადარჩა და დღეს უკვე განვითარებით თავის ასაკის პატარებს არაფრით ჩამორჩება. ორი წლისა, და მშობლებთან ერთად დასავლეთ ევროპაში ცხოვრობს. თამაშობს, წიგნებს ცნობასმოყვარე თვალებით ათვალიერებს, მანქანას და ველოსიპედს ატარებს და საყვარელ მულტფილმებსაც ინტერესით უყურებს. 2 მარტს ოპერაციის შემდეგ ყურის ინპლანტაციებიც ჩაურთეს. ესმის, მაგრამ ჯერ რეაქცია არ აქვს. მშობლები არ ნერვიულობენ, უთხრეს, რომ ეს ნორმალურია და პროგრესიც თანდათან გახდება საგრძნობი.

დატოვეს. მათეს ისტორია კი გამონაკლისია. ის პატარები, რომელებზეც დედები დაბადების პირველივე საათებში ამბობენ უარს, ფაქტობრივად, იმ წუთიდანვე სიკვდილისათვის არიან განნირულები.

ბოლო ორი წლის განმავლობაში მძიმე დიაგნოზის მქონე, ჩვილ ბავშვთა სახლის 54 ჩვილი გარდაიცვალა.

ჩვილ ბავშვთა სახლი – ეს ის დაწესებულებაა, სადაც მიტოვებული და რთული დიაგნოზის მქონე ბავშვები ხვდებიან. მიუხედავად იმისა, რომ, ჯანმრთელობის სამინისტროს სპეციალური დებულების მიხედვით, ჩვილ ბავშვთა სახლს უფლება არ აქვს, ასეთი ჩვილები მიიღოს. ამიტომ, უწყება, რომელიც ბავშვს აგზავნის – პოლიკლინიკა ან სამშობიარო – ადგენს დოკუმენტს, რომელშიც დაფარულია ჩვილის დიაგნოზი და ამის ნაცვლად წერია, რომ ბავშვი არის ჯანმრთელი ან განერას ექვემდებარება და ის გადაყვავთ ჩვილ ბავშვთა სახლში. თუმცა, რადგან მათზე ზრუნვა ჩვეულებრივ პირობებში ხშირად შეუძლებელია, პატარებს შემდეგ ისევ კლინიკაში – გივი შვანიას სახელობის კლინიკაში აგზავნიან, რომელიც

თხილება მისცა მხოლოდ ჩვილ ბავშვთა სახლის პედიატრებს, რათა, დაგვიანებული პოსპიტალიზაციის გამო, ბავშვის სიცოცხლეს მომავალში მაინც არ შეექმნას საფრთხე.

„რაც უფრო მძიმეა დიაგნოზი, მით უფრო მნიშვნელოვანია პატარას გვერდით დედა და მამა ჰყავდეს. ზოგ შემთხვევაში კი, შესაძლებელია, მშობლების ყურადღების და სწორი სამედიცინო პროცედურების შედეგად ბავშვი პრაქტიკულად გამოჯანმრთელდეს კიდეც“, – ამბობს მედიცინის დოქტორი მაია ხერხეულიძე.

დაახლოებით შვიდი წლის წინ სენაკის ბავშვთა სახლიდან მძიმე სამედიცინო დიაგნოზებით რამდენიმე ბავშვი გურამიშვილის სახელობის პედიატრიულ კლინიკაში გადაყვანეს. ზოგი მათგანი ვერ მეტყველებდა, ვერ ჯდებოდა, ვერ დადიოდა, ჰქონდათ უძმიმესი დაავადება – ცერებრული დამბლაც. როცა ბავშვების ჯანმრთელობა გაუმჯობესდა, ექიმებმა რამდენიმე მათგანი შინ წაიყვანეს და მათზე ზრუნვა ოჯახურ გარემოში განაგრძეს. მაია ხერხეულიძე იხსენებს, რომ მალე ამ ბავშვებს გონებრივი პროგრესიც კი შეიძლება.

■ „რაც უფრო მძიმეა დიაგნოზი, მით უფრო მნიშვნელოვანია პატარას გვერდით დედა და მამა ჰყავდეს. ზოგ შემთხვევაში კი, შესაძლებელია, მშობლების ყურადღების და სწორი სამედიცინო პროცედურების შედეგად ბავშვი პრაქტიკულად გამოჯანმრთელდეს კიდეც“.

რატომ ტოვებენ მშობლები შვილებს სამშობიაროში? ფსიქოლოგები ამას შემით, სტრესით და პასუხისმგებლობისგან გაქცევის სურვილით ხსნან. თუმცა, ხშირად თვითონ მშობლები თავს უფულობით იმართლებენ.


მათე თითოეული დღე კლინიკაში, მედიკამენტების გარდა, 160 ლარამდე ჯდებოდა. კრისტო არ მუშაობდა, მის მეუღლეს კარგი სამსახური ჰქონდა, თუმცა ორი თვის განმავლობაში ბავშვის სააგადმყოფოში დასატოვებლად ეს მაინც არ კმარიდა. ამიტომ მშობლებმა რამდენიმე ბანკიდან გამოიტანეს კრედიტები, მათე რომ გადაერჩინათ. ლუდუშაურში გატარებული დღეებიდან კრისტოს ახსოვს ერთი შემთხვევაც, როცა ახალდაბადებული შეილისთვის საჭირო წამლები რომ ეყიდა, მამამ ოქროს კბილები დაიძრო და ფული ისე იშროვა.

2009 წელს სამშობიაროში მშობლებმა 31 მძიმე დიაგნოზის მქონე ბავშვი

სახელმწიფო პროგრამის მიხედვით, ერთადერთია, სადაც მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს იღებენ. წესით, პატარები იქ მდგომარეობის გაუმჯობესებამდე უნდა რჩებოდნენ.

54 გარდაცვლილი ჩვილიდან 49 წწორედ უვანიას კლინიკაში გარდაიცვალა. თითოეული ეს შემთხვევა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ შეისწავლა. თუმცა, ამ შემთხვევებიდან საკვირდ მხოლოდ 10 ბავშვის გარდაცვალება მიიჩნიეს და მათი შემთხვევები უფრო დეტალურად შეისწავლეს. აღმოჩნდა, რომ ზოგ შემთხვევაში პატარებს დიაგნოზი გვიან დაუსვეს და, შესაბამისად, არც მკურნალობამ გამოიღო შედეგი. ზოგ შემთხვევაში კი, პატარები იმიტომ ვერ გადაარჩინეს, რომ საავადმყოფოში ჩვილ ბავშვთა სახლიდან ისინი დაგვიანებით გადაიყვანეს. ამ სამდეიცინო გამოძიების შემდეგ ექიმები არ დაუსჯიათ. საპჭომ გაფრ-

მიტოვებული ჩვილებისგან კი მხოლოდ ინცილადები რჩება. ერთ-ერთის სამედიცინო ბარათში ვკითხულობთ: 2004 წლის 17 სექტემბერს დაბადებული კ.მ. 18 დღის იყო, როცა ბავშვთა სახლში მოხვდა. დიაგნოზი – „ჯანმრთელი“. თუმცა, შემდეგ პატარას სხვადასხვა პათოლოგია აღმოუჩინეს, მათ შემორის, სასუნთქი გზების დაავადებები. ამის გამო, ორი წლის განმავლობაში კ.მ. ჩვილ ბავშვთა სახლიდან კლინიკაში ოთხჯერ გადაიყვანეს. სამი წლის იყო, როცა სასუნთქი გზების ანთებით, სიცხიანი ბავშვი უვანიას საავადმყოფოში კიდევ ერთხელ მოხვდა. ტემპერატურამ 12 დღის შემდეგაც არ დაუწია, თუმცა მაინც განერეს და ბავშვთა სახლში დააბრუნეს. რამდენიმე თვეში ბავშვი საავადმყოფოში კვლავ მიაბრუნეს და მხოლოდ მაშინ დაუსვეს პირველად დიაგნოზი: პრონქოპნეომონია, ლეიმიზმანიზმი, ან კლინიკაში გარდაცვლილი ბავშვის გარდაცვალება და მათი შემთხვევები უფრო დეტალურად შეისწავლეს. აღმოჩნდა, რომ ზოგ შემთხვევაში პატარებს დიაგნოზი გვიან დაუსვეს და, შესაბამისად, არც მკურნალობამ გამოიღო შედეგი. ზოგ შემთხვევაში კი, პატარები იმიტომ ვერ გადაარჩინეს, რომ საავადმყოფოში ჩვილ ბავშვთა სახლიდან ისინი დაგვიანებით გადაიყვანეს. ამ სამდეიცინო გამოძიების შემდეგ ექიმები არ დაუსჯიათ. საპჭომ გაფრ-



იპიტხეთ „ლიბერალის“ კონტაქტი

www.liberal.ge

პლოგი: ირაკლი კორძაიძა

აგრესიული კრეატივის პოლიტიკა
და საქართველოს იმიტირებული
ისტორია

„ნებისმიერი ხალხი, რომელიც
სახელმწიფოში - ნაციაში კრისტალ-
იზაციის პროცესს გადის საკუთარი
ისტორიის დაწერის ცდუნების ნინაშე
დგება. „ისტორიის გამოგონების“
ცდუნებას ვერ გაუძლო თითქ-
მის ვერც ერთმა პოსტსაბჭოურმა
სახელმწიფომ. ახალი მოცემულობის
გათვალისწინებით, მსგავს მისწრაფე-
ბებს გაგებით შეიძლება მოეკიდო,
რადგან მათი იდეა ერთია - დასტან-
ცირება საბჭოთა მეტალიტეტთან
და მეტყვიდრეობასთან“.

მულტიმედია: პოდკასტი

ამერიკული აკადემიის პედაგოგი
ლევან გიგინეიშვილი, სამხელო-პა-
ტრიოტული აღზრდის გაკვეთილების
შესახებ

ამ ჩვილების ისტორიები ძალიან ჰგა-
ვს ერთმანეთს. ბევრია ისეთი შემთხვევა,
როცა პატარების გარდაცვალების
მიზეზი გახდა არასრულყოფილი დაიგ-
ნოზის დასმა. თუმცა, „სრულყოფილი
დიაგნოზი უვანისა კლინიკის პედია-
ტრებმა უნდა დასვან და არა ბავშვთა
სახლების ექიმებბა“, - ამბობს ჩვილ
ბავშვთა სახლის დირექტორი ირინა
ბექურიძე და დასქნს, რომ მისი პე-
დიატრები ბავშვების მდგომარეობის
სირთულეს ადგილზე ვერ განსაზღვრა-
ვენ, - „ეს არასაპოსპიტალო გარემოში
შეუძლებელია“.

ჰოსპიტალში კი პედიატრები პასუ-
ნისმგებლობას თავიდან იცილებენ და
აცხადებენ, რომ ამ ბავშვების მდგო-
მარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ მათ
გადასარჩენად ვერაფერს გააკეთებდ-
ნენ.

გავუშვი ჩემი პედიატრი და შემოწ-
მების შემდეგ, პატარას წამოყვანაზე
უარი ვთქვით. ბავშვის მდგომარეობა
ძალიან მძიმე და სათუთად. შეიძლე-
ბა გზაში გარდაიცვალოს და მერე ვის
ვუმტკიცო, მე დავმართე რამე, თუ
კლინიკამ დროზე ადრე გამოწერა“.
ბავშვის გადარჩენა, ალბათ, შეუძლე-
ბელია, მაგრამ ეს მისი მშობლების
ნაცვლად ახლა მხოლოდ ბავშვთა სა-
ხლის აღმზრდელებს აღელვებთ.

„პირველი კითხვა აუცილებლად
გიჩნდება, რომ რატომ მაინცდამაინც
მე? როგორც კი ამ ფიქრს მოიშორებ,
როგორც კი შენი შვილის პრობლემას
მიიღებ და მიხვდები, რომ ეს არის არა
ტრაგედია, არამედ შენი ცხოვრების
ნაწილი, იწყებ ფიქრს მხოლოდ იმაზე,
თუ როგორ მოარგო შენი შვილი ამ სა-
ზოგადოებას. ასე ცველაფერი უფრო

■ ბოლოს, გარდაცვლილი ჩვილები აეროპორტის გზაზე მდებარე
„ველის სასაფლაოზე“ გადაჰყავთ და მიუსაფარ მოხუცებთან
ერთად კრძალავენ. ამ სასაფლაოზე ე.წ. „უზედამხედველო
გვამები“ განისვენებენ.

ზოგჯერ ხელის შემშლელი ფაქტო-
რი კლინიკის წვრილმანი ბიუროკრა-
ტიული წესებიც ხდება. „აქ წინასწარ
აქვთ დადგენილი იმ საწოლდებების
რაოდენობა, რომელიც ბავშვებს უნდა
გამოუყონ. ვთქვათ, გრიპით ავადმყო-
ფს ეკუთვნის საავადმყოფოში მხო-
ლოდ 5 დღით დარჩენა. მაგრამ, თუ
არ განიკურნა, რა აზრი აქვს მის გა-
მოწერას?! ამიტომაც იყო, რომ ხანდა-
ხან 10-ჯერაც კი გვიწევდებ ზოგიერთი
ბავშვის უკან, კლინიკაში გადაყვანა.
ამ წინ და უკან ტარების გამო კი პა-
ტარების მდგომარეობა კიდევ უფრო
მძიმდებოდა“, - იხსენებს ირინა ბე-
ქურიძე.

გართულებების თავიდან ასაცილე-
ბლად ირინა ბექურიძემ გადაწყვიტა,
ახლა ბავშვები უკან მანამ არ წა-
მოიყვანოს, ვიდრე მათ მდგომარეო-
ბას ბავშვთა სახლის პედიატრები არ
შეამოწმებენ.

დღეს, უვანისა კლინიკაში 4 მიტოვე-
ბულ ჩვილს მკურნალობენ. ერთ-ერთი
მათგანის მდგომარეობა ყოველდღიუ-
რად მძიმდება. პატარას პილოცეფა-
ლია აქვს და მისი თავის ზომა კვირა-
ში თითო სანტიმეტრით იმატებს. მისი
ტრანსპორტირება სარისკოა. „ამას
წინათ, მოგვწერეს, გამოსაწერიან.

მარტივდება“, - ამბობს კრისტო.

მან უკვე კარგად იცის, რა არის პირ-
ველ რიგში საჭირო - „ეს არის მოთ-
მინება, სულ მოთმინება, რომ ამით
შვილს დაეხმარო. მეორე - არასადროს
უნდა შეადარო შენი შვილი სხვა ბა-
ვშვს. და მესამე - უნდა იყო ძალიან
ძლიერი“.

ალსაზრდელი მ.მ.... ალსაზრდელი
გ.ხ.... ალსაზრდელი გ.ა.... ალსაზრ-
დელი გ.შ.... და ა.შ. - სულ 54 ინი-
ციალი. პირველივე წუთიდან, მიტოვე-
ბული პატარა ყველასთვის „ზედმეტი
თავის ტყივილი“ ხდება. ექიმებისთვის
ყველაზე მნიშვნელოვანია, თავის მარ-
თლება არ მოუწიოთ იმის გამო, რომ
ბავშვი მათ ხელში გარდაიცვალა. ბო-
ლოს, გარდაცვლილი ჩვილები აერო-
პორტის გზაზე მდებარე „ველის სა-
საფლაოზე“ გადაჰყავთ და მიუსაფარ
მოხუცებთან ერთად კრძალავენ. ამ
სასაფლაოზე ე.წ. „უზედამხედველო
გვამები“ განისვენებენ - ისინი, ვისაც
ოჯახი აღარ დარჩა, ანდა მიატოვეს.


თუკი რომელიმე მძიმე დიაგნოზის
მქონე ჩვილი ამ 54 ინიციალს შორის
არ აღმოჩნდა, ეს მხოლოდ მათი მშო-
ბლების მოთმინების, სულ მოთმინე-
ბის და ძალიან ხანგრძლივი და მტკივ-
ნეული ბრძოლის შედეგია. ■

პაციენტები

კომისო ბჩნდის აიზოს ნინალმელაბ

თუ საერთაშორისო მასშტაბის ექსპერიმენტი, რომელსაც ქართველი ონკოლოგი ხელმძღვანელობს, წარმატებული გამოდგა, ძუძუს კიბო შეიძლება განკურნებულადაც ჩაითვალოს.

ნინო ჩიმაკაძე



მას შემდეგ, რაც მკერდის არეში მრავლობითი კისტური და ფიბროზული კვანძები დაუდგინეს, 48 წლის ნინომ სიმსივნისგან თავი ქირურგიული ოპერაციით დაიზღვია – ორივე სარძევე ჯირკვლის ქსოვილი ამოიკვეთა და ის სილიკონით ალიდგინა.

მიუხედავად იმისა, რომ კისტა ონკოლოგური დაავადების საშიშ ფორმად არ ითვლება და ზოგ შემთხვევაში მისი განვითარების აფთიასებიან სიმსივნის განვითარების ალბათობა მაინც არსებობდა. ნინო სარისკო ასაეში იყო და თან დედაც მკერდის სიმსივნით გარდაუცვალა, ამ დავადების 15-20 პროცენტი კი გენეტიკურია.

„აღლიან სწრაფად მიერთები გადაწყვეტილება, – ამბობს ნინო, – შემეძლო, სხვა გზა ამერჩია, მემკურნალა და პერიოდულად

შემონმებებზე მევლო, მაგრამ ეს ნიშნავდა ქრონიკული შიშის ქვეშ ცხოვრებას. ახლა კი მშვიდად მძინავს, რადგან ვიცი, რომ ძუძუს კიბო არასოდეს დამემართება“.

ონკოლოგის ნაციონალური ცენტრის ბოლო ხუთი წლის მონაცემებით, საქართველოში ყოველწლიურად ძუძუს კიბოთი 1200-მდე ადამიანი ავადდება, დაახლოებით 600 კი ილუპება.

ძუძუს პროფილაქტიკური კანქვეშა ამპუტაციის პრაქტიკა ჩვენთან დაახლოებით

ხუთი წლის წინ დაინტერგა. ნინო ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც მსგავსი ოპერაცია გაიკეთა. მიუხედავად იმისა, რომ წინანარი

პრევენცია დაავადებისგან თავის დაზღვევის ყველაზე ეფექტური გზაა და ამ პპერაციისთვის სათანადო ტექნიკური ბაზაც უკვე არსებობს – ამის გაკეთება მაინც ბე-

ვრს უჭირს. ფსიქოლოგიური, ფინანსური თუ სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, პაციენტისთვის ძნელი გადასაწყვეტია სარძევე ჯირკვლები მხოლოდ სიმსივნის განვითარების ალბათობის გამო ამოიკვეთოს.

მასშტაბური საერთაშორისო კვლევა, რომელიც ამჟამად ბრიტანეთში, ნოტინგჰემის საუნივერსიტეტო კლინიკის ძეგლებს ქირურგიის განყოფილებაში მიმდინარეობს და რომელიც ქართველი ექიმია ჩართული, სწორედ ამ ალბათობის მინიჭებულების დაყვანას და ძეგლს კიბოს ადრეულ დიაგნოსტიკურ გრადუსზე გრძელდება.


ავტომატურობის კვლევის ფართომასში –
ტაბინიძენ პროექტს ბრიტანელი მკვლევარი –
ნოტინგჰემის უნივერსიტეტის ქირურგიის
პროფესიონი ჯონ რობერტსონი ხელმძღვანელობაში.
მისივე მიწვევით, ძუძუს კბილს
დარგში კვლევას ქართველი ექმი გიორგი
ძი ძაგნიძე ახორციელებს. ძაგნიძემ 2009
წლის სექტემბერში ევროპის ონკოლოგთა
ასოციაციის კონფერენციაზე (ESMO) ერთნალანი ულიმიტო გრანტი მოიპოვა იმის-
თვის, რომ თავისი ნაშრომის – „ავტომატურობის როლი ძუძუს კბილს ადრეულ დაგნოსტიკაში“ მიხედვით – კვლევა დაეწყო.

სწორედ ამ გრანტის საშუალებით, ორი თვეს წინ დაწყებულ კვლევას ახორციელებდ ძაგლიძე და მეცნიერებათა ნ-კაციანი ჯდული ჯორ რობერტსონის კონსულტანტობით. ძაგლიძის გუნდი სისხლში იმ ავტო-ანტისხეულებს ეძებს, რომლებსაც შემდეგ ძექს კიბოს ადრეული დიაგნოსტიკის მარკერებად გამოიყენება. მათი შესწავლის შედეგად დაავადების გამოვლენა, ქსოვილურის ნაცვლად, უკვე უჯრედულ დონეზე იქნება შესაძლებელი და სიმსივნისა.

የፖ.ስ ተከራካሪ ስር መሠረት

ძუძუს კიბით ქალებში
ცველა ავთვისებანი
სიმსივნეების 22 პროცენტს
შეადგენს. ასაკთან ერთად
ამ დაავადების რისკიც მა-
ტულობს. რისკის ჯგუფში
40-70 წლის ასაკის ქალები
შედიან, განსაკუთრებით კი
ისინა, ვის მშობლებს ანდა
ახლო წინაპრებსაც მსგავ-
სი დაავადება ჰქონდათ.

თუმცა ონკოლოგები
ბოლო წლებში ძებუს
კიბოს გახსალგაზრდავე-
ბაზე ლაპარაკობენ. ეს კი
მკურნალობის პროცესსაც
არის ულებეს, რადგან ახალ-
გაზრდა ასაკში მეტასტაზე-
ბი უფრო მაღლ ვითარდება,
მანგრაციული სკრინინ-
გის მგრძნობელობა კი 50
პროცენტს არ აღემატება.
სწორედ ამის გამო,



ქართველი ონკოლოგის
კვლევა კიდევ უფრო მეტ
მნიშვნელობას იძებნს,
რადგან აյ უკვე 100-პრო-
ცენტიან გარანტიაზეა
საუბარი.

კიბოს კვლევაზე დღეს
ლიდერ ქვეყნებად ითვლე-
ბიან – ამერიკა, ბრიტანეთი,
გერმანია და ავსტრია-ლია.
ბოლო წლების ყველაზე

გაუვნებელყოფაც გამარტივდება.

„დადგინდება ახალი ტაბის ავტონო-
ტის სეულებით, რომლებიც კიბოს უკრე-
დებს მანამდე აღმაჩენენ, ვიდრე დაავა-
დება კონიკური, რენტგენოლოგიური ან
ექისკოპიური საჭალებებით გამოვლინ-
დება. რეალურად, ნულოვან სტადიაზე ან
სულაც მანამდე – მხოლოდ რისკის არსე-
ბობის დადასტურებისას. ეს კი ის ეტაპია,
როდესაც კიბოს განვითარების თავიდან
აცილების ანდა განკურნების შენი 100
პროცენტია“, – ამბობს ძაგნიძე.

კვლევის შედეგებს, რომლებიც 2011 წლის სექტემბრში უნდა გახდეს (ცნობილი, საქართველოშიც ეღიან). „ამ კვლევის საშუალებით შესაძლოა, მივაგნოთ ოპტომალურ გზას, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს, ერთი მხრივ დავამარცხოთ ძეგუს კიბი და მერიე მხრივ, გავაკეთოთ ეს მინიმალური გვერდითი ეფექტურობა. ცნობილია, რომ ქიმიოთერაპიას ძნელად გადასატანი გვერდითი ეფექტები ახლავს თან და ის აუარესებს სიცოცხლის ხარისხს-საც, ამიტომ პაციენტებისთვის საქამიან დამთრიგულებია“, – აღნიშნავს ონკოლოგი ირაკლი კოხერიძე.

ძაგნიძე, ათ წელზე მეტია, საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრში, მამოლოგიის განყოფილებაში მუშაობს. თუმცა, დღეს ნოტინგემის საუნივერსიტეტო დაბორატორიაშია, სადაც ამ ეტაპზე სისხლის ჯგუფების შეგროვება მიმდინარეობს. კინოს უკარედებით დაინიცირა.

რებული, მეგვიდრული მაღალი რისკის მქონე და ჯანმრთელი ადამანების სისხლი იქ ცალ-ცალკეა განთავსებული. კვლევის მიზრინარებისას საერთო ანტისტეულები და მათი წარმოქმნის დრო და ინტენსივობა უნდა დადგინდეს. მკვლევრები კიბოსგან ჯანმრთელ სისხლში სხვა, არაონკოლო-გოურ პათოლოგიებსაც ექცენ და ამ პა-თოლოგიებსა და ძეგუს კიბოს განვითა-რების რისკს შორის კავშირის დადგენას ცდილობენ.

ძაგნიძის კოლეგის, ირაკლი კოხერებიძის თქმით, მსგავსი დაკვირვებით შესაძლებელია დადგინდეს, თუ რა ინვეცს ონკოლოგიურ პათოლოგიებს და რას აქვს გარდამტები მნიშვნელობა ორგანიზმში დაკადების განვითარებისთვის:

დაგნიძეს ამ კვლევის ჩატარება საქართველოშიც უნდა, მაგრამ რადგან აյ შესაფერისა ტექნიკური პაზა და პირობები არ არსებობს, ჯერჯერობით ის კირხლები.

როგორც ონეგილოვი ამბობს, თუ პრიე-
ქტმა გაამართლა, რისკის ჯგუფის ქალები
სისხლის სტანდარტული ანალიზის შედე-
გად შეძლებენ იმის ზუსტად დადგენას,
განუვითარდებათ თუ არა სიმისივნე და
დაახლოებით რა პერიოდში ემუქრებათ ეს.
ანუ გამოიდის, რომ კვლევის ნარჩატებით
დასრულების შემთხვევაში, ძუძუს კიბრ
შეიძლება სრულად მორჩინოლადაც კი ჩაი-
თვალის. ძაგნიძის თქმით, ამის შემდეგ და-
კავშირი გადაწყვეტილი იქნება და მათ და-
კავშირი გადაწყვეტილი იქნება და მათ

- აგდების აოვეების გ ხეთ ასეთი იქნება:

 1. მოხდება სარძევე ჯირკლების ამოკვეთა და სიღოკონით რეკონსტრუქ-ცია, როგორც ეს თბილისელმა ნინომ ხუთი წლის წინ გააკეთა; 2. წამლების საშუალე-ბით შეაჩერებენ ანდა გადაავადებენ პრო-ცესს; 3. შესაძლოა, მოხდეს ვაქცინაციაც.

პირველი ორი გზა უკვე რეალურია, მე-
სამე კი მხოლოდ ასეთი ვაქციინის გამოყო-
ნებისა შემთხვევაშია შესაძლებელი. ეს კი
ანტისხეულების კვლევის წარმატებით
დასრულების შემთხვევაში არც ისე წარ-
მოუდგენელი იქნება; მით უმეტეს, რომ მს-
გავსი ვაქციინა რამდენიმე წლის წინ მეც-
ნიერებმა საშეილოსანოს ყელის კიბოს
წინააღმდეგ უკვე შექმნეს. **■**

ქალლების უფლებები

შენ თავშესაფარი

მერია „ქუჩის ძაღლების“ პრობლემის მოგვარებას ბოლო საფეხურიდან იწყებს და ძაღლების თავშესაფარს აშენებს. ამით იგნორირებას უწევს ცხოველთა დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციასაც და ქალაქში არსებულ რეალობასაც.

მარიკა ქოჩიაშვილი

ვაკის სასაფლაოს ჩასახვევთან სამსართულიანი სახლი დგას. ეზოში ფეხს შედგამ თუ არა, ყველა კუთხე-კუნტულში ძაღლი შეეცემობა – ზოგი ყეფს, ზოგი ნემუტუნებს, ზოგი ფეხზე გელაქუცება; ერთ-ერთს ლეკვები ჰყავს და ცოტა აგრესულია. სახლის კარი იღება და ძაღლი გამოდის, აიგნზე აიხედავ და იქიდანაც ძაღლი გიყურებს. მოკლედ, აქ ყველგან ძაღლია – ზოგი მხიარული, ზოგიც სევდიანი, ქუჩიდან მოსული, თუ სახლიდან გამოგდებული.

ბიზნესმენმა თამაზ ელიზბარაშვილმა თავშესაფარი მანანალა ძაღლებისთვის სამი წლის წინ გახსნა. მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ მოპერისტულ, ხან მოხუც, ხანაც ახალგაზრდა ჯიშიან ძაღლებს პატრონები ქუჩაში ყრინ, მათი გადარჩენა გადაწყვიტა. დღეს ის უკვე 100-მდე ძაღლს უვლის. ელიზბარაშვილს „პირველ ვეტერინარულ კლინიკასთან“ შეთანხმება აქვს დადებული. თუ შემთხვევით, კლინიკის ძაღლმჭერების რეინის მამებში ჯიშიანი, სახლიდან გამოგდებული ძაღლი მოხვდება, ის გლდანის ნაგავსაყრელზე ე.წ. „ბეიკერის ორმოში“ კი აღარ მიჰყავთ, პირდაპირ მასთან – თავშესაფარში გზავნიან.

ასე მოხვდა თავშესაფრის მე-4 ვოლიერში გერმანული ნაგაზი გულიკო – კეთილი, მოსიყვარულე, კარგად განვრთნილი, მაგრამ უკვე ხანში შესული, ძილის-გუდა ძაღლი.

გერმანელ გულიკოს და ამ თავშესაფარში მცხოვრებ ასამდე ძაღლს თითქმის ერთნაირი ისტორია აქვთ. თვითონ ერთ ჰყვებიან, მაგრამ გამოცნობა ადვილია – ხანში შესული და უმაჯნისი ძაღლი პატრონს აღარაფერში სჭირდებოდა და სახლიდან გამოაგდო. თუმცა, იმის გამო, რომ ჯიშიანი გერმანელი იყო, გულიკო, ძაღლების სასაკლაოს ნაცვლად, კომფორტულ თავშესაფარში მოხვდა.

აქ ძაღლებს საკუთარი რეინის გაღიერები აქვთ. ვოლიერში თითოეულ ძაღლს ხის გადახურული სახლი და წყლის ჯამი უდ-



■ საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოების თავშესაფარი, თბილის მარტი 2010

გას. საკვებითაც ამარაგებენ და თუ საჭირო გახდა, არც ექიმების მომსახურება აკლიათ.

ვოლიერები დანიმრილია. სახელიც ყველა ძაღლს აქვს. უმეტესობა კავკასიური ნაგაზია. არიან გერმანული ნაგაზებიც, სახურები, ქალაქები, ქართული მთის ძაღლი, რომელიც და დაღმატინელი.

ქუჩის პირობებს რომ შევადაროთ, აქ უპატრონო ძაღლებისთვის ნამდვილი სამოთხეა მოწყობილი, მაგრამ ამის მიუხედავად, ძაღლები გამუდმებით რეინის ჭიშკრისკენ იურებიან და კარის ყოველ გაღებაზე ყურებს ცქვეტენ – ჰგონათ, რომ აი, მის ნასაყვანად პატრონი დაბრუნდა.

„ძალიან ბევრი მეცნიერული მტკიცებულება არსებობს, რომ ცხოველებს შეგრძნებები აქვთ – სტკივათ და განიცდიან“, – ამბობს მსოფლიო ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის (WSPA) წევრი, ჯორ ლი, რომელიც საქართველოში 10 მარტს ცოფის პრევენციის საშუალებებთან დაკავშირებით გამართულ სემინარზე მომსხვენებლად ჩამოვიდა და თბილისში მანანალა ძალების პრობლემასაც გაეცნო.

ძალები, რომლებიც წლობით ერთსა და იმავე ადამიანთან ცხოვრობენ, მას ისე ერგვიან, რომ გაგდების შემდეგ წყალს და საკვებს აღარ ეკარებიან და დარდისგან კვდებიან. ელიზბარაშვილი ფიცხი თათისა ვოლიერთანა ჩაცუცქული და ცდილობს, სახლიდნ გამოიტყონ. თან მეუბნება, რომ ყოფილ პატრონზე დარდისგან მის თავშესაფარში 12 ძალი მოკვდა. თათია დიდი, თეთრი, ქართული მთის ძალია და საოცრად სევდიანი თვალები აქვს.

ჯორ ლი ამბობს, რომ ინგლიში თავშესაფარში მოხვედრობი ძალს მხოლოდ ერთ კვირას უვლიან, თუ ამ ხნის განმა-

ლების დაჭრას და არაჰუმანური გზებით დახოცვას ხმარდებოდა.

პირველი ვეტერინარული კლინიკა, უკვე მესამე წელია, მერის ტენდერების უპირობო გამარჯვებულია. კლინიკის ძალმჭერებმა 2007 წლის ივნისიდან მოყოლებული 24 ათასზე მეტი ძალი დახოცეს, ანუ დღეში საშუალოდ 50 ძალის კლავდენი.

წლებანდელი ტენდერის შემდეგ, რომელიც მონაწილეების არასაქმარისი კომპეტენტურობის გამო სამჯერ ჩაიშალა, ხელშეკრულება ისევ პირველ ვეტერინარელ კლინიკას გაუგრძელდა. ეს ნიშანას იმას, რომ მანანალა ცხოველების ხოცვა კვლავაც გრძელდება, რადგან მათი ასე თავიდან მოშორება გაცოლებით იდგი ჯდება – თითო ძალი სულ 35 ლარამდე. სტერილიზაციას კი 70-დან 100 ლარამდე სჭირდება.

WSPA-სთან მერის მიმოწერით ირკვევა, რომ მერია 2010 წლის აპრილის ბოლოსთვის აეროპორტის გზატკეცილზე დიდი თავშესაფრის აშენებას დაასრულე-

ძალები, რომლებიც წლობით ერთსა და იმავე ადამიანთან ცხოვრობენ, მას ისე ერგვიან, რომ გაგდების შემდეგ წყალს და საკვებს აღარ ეკარებიან და დარდისგან კვდებიან.

ვლობაში მას არც ძევლი პატრონი მოაკითხავს და არც ახალი წაიყვანს, ძალს სამუდმოდ აძინებენ. ლი ამბობს, რომ თუები ძალის იჯახში დაბრუნების შანსი არ არსებობს, დარჩენილი ცხოვრება გალიაში გამომწყვდევას, მათი სამუდამოდ დაძინება ჯობს.

ელიზბარაშვილის თავშესაფრიდან ბოლო სამი წლის განმავლობაში სულ 60 უპატრონო ძალი წაიყვანება. მოთხოვნა უფრო მეტად ორ წლამდე ასაკის ძალებზეა, ხნიერები კი თოთქმის არავის მიჰყავს.

„გადარჩინე სიცოცხლე – გაასტერილე!“ – ამ ლოზუნგით ხელმძღვანელობენ განვითარებული ქვეყნები. გადარჩინილ სიცოცხლეში ის ლეველი იგულისხმებიან, რომლებიც აღარ დაიბადებიან და, შესაბამისად, ქუჩაშიც ვერ აღმოჩნდებიან.

თუმცა, ქუჩაში ძალების სტერილიზაცია თბილისის მერიისთვის სამი წლის განმავლობაში ვერ გახდა პრიორიტეტული. მათ მიერ გამოცხადებულ ტენდერებში სტერილიზაცია, როგორც მანანალა ძალების გაუცნებელყოფის ყველაზე ეფექტური გზა, საერთოდ არ იყო ნახსენები. ქალაქის ბოუკეტიდან გამოყოფილი თანხის უდიდესი ნაწილიც ამიტომ ძალ-

ბს, რისთვისაც 187,000 ლარი გამოჰყო. WSPA-ს რეკომენდაცია კი ის არის, რომ მერიამ, პირიქით, თავი შეიკავოს თავშესაფრის აშენებისგან. „მის გამო, რომ ძალის შინ წაყვანა თავშესაფრიდან არაპოულარელია ქართული საზოგადოებისთვის, ის ვერ შეასრულებს უპატრონო ძალისთვის დროებითი საცხოვრებლის ფუნქციას. იქ მოხვედრილი ცხოველები ვერ იპოვიან სახლს და, როგორც თავშესაფრი ახალი ძალებით გადაივსება, ძევლი ნაკადს დახოცვა გახდება საჭირო, ანუ თავშესაფრი სასაკლაოდ გადაიქცევა“, – ასეთია WSPA-ს პიზიცია, რაც მერიისთვისაც ცნობილია.

თუმცა, საქართველოში ჩამოსულ WSPA-ს ნარმომადგენელს მერიიდან არავინ შეხვდა. მიზეზად მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურში მოუცლელობას ასახელებრენ.

„თუკი თქვენი მთავრობა მუდმივად იყიდება, რომ პრიბლების გადაჭრა ქუჩაში ძალების ამოხოცვით უნდა დაიწყოს, ამას ვერასდოროს უშეველის. ძალი ქუჩაში პრიბლების სიმტკომია. მერიამ იმხელა თავშესაფარიც რომ ააშენოს, რომელიც 10 ან თუნდაც 20 ათას ძალის დაიტევს, ეს საკითხი მანც არ მო-

გვარდება. თქვენს ქუჩებში ძალი მანც დარჩება“, – აცხადებს ჯორ ლი.

ჯორ ლი მიიჩნევს, რომ პრობლემის მოგვარების პირველი ნაბიჯი საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა. რატომ ჩნდებიან ქუჩებში უპატრონო ძალები? ვიდრე უპატრონისგან მეპატრონები იარსებენ, რომლებიც მოტეზრებულ ძალების ქუჩაში გაყრინ, ვიდრე არავინ დარეგულირებს ცხოველების უფლებებს და არ შეიქმნება სპეციალური საკანონმდებლო ბაზა, მანამდე ქუჩებში უპატრონო ძალების ვერ გამოვლევთ.

მოსალოდნელ საფრთხეებზე არც ის ადამიანები ფიქრობენ, ვისთვისაც ძალი ფულის შოვნის საშუალებაა და სხვა არაფერი. ისინი ამ პრობლემის მნიშვნელოვანი მონაწილეები არიან და მათ ძალების მომშენებლები ჰქვიათ. იმის გამო, რომ არ არსებობს რეგულაციის ნორმები და საკანონმდებლო ბაზა, არც ამ ადამიანების ბიზნესი რეგულირდება, რომლებიც მაგალითად ჰასკა ლეკვეს 800 დოლარად ჰყიდან.

არადა, WSPA-ს ერთ-ერთი რეკომენდაცია სწორედ ძალების მოშენების პროცესის დარეგულირებაა. მაგალითად, შესაძლოა, არსებობდეს კანონი, რომლის მიხედვითაც, მომშენებლს ძუ ძალის მხოლოდ წელიწადში ერთხელ შევევარების უფლება ექნება. შესაბამისად, დარეგულირდება ძალების გამრავლების საკითხიც და პატრონის უპატრონის მიზეზით ქუჩაშიც ნაკლები ძალი მოხვდება.

ასევე უნდა მოგვარდეს ის საკითხიც, თუ სად შეიძლება ძალის გაყიდვა. „არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეიძლებოდეს ძალის მანქანის საბარეულოდნ გაყიდვა, – ამბობს ჯორ ლი და დასტენს, – ყველა, ვისაც კი ძალი ჰყავს, ამრავლებს და შემდეგ გიყვირთ, რომ ქუჩაში ამდენი უპატრონი ძალი დარბის“. ასეთი რეგულირდება ძალის გამრავლების საკითხიც და პატრონის უპატრონის მიზეზით ქუჩაშიც ნაკლები ძალი მოხვდება.

თუკი თქვენი მთავრობა მუდმივად იყიდება, რომ პრიბლების გადაჭრა ვერ იპოვიან სახლს და, როგორც თავშესაფრი ახალი ძალებით გადაივსება, ძევლი ნაკადს დახოცვა გახდება საჭირო, ანუ თავშესაფრი სასაკლაოდ გადაიქცევა“, – ასეთია WSPA-ს პიზიცია, რაც მერიისთვისაც ცნობილია. თუკი თქვენი მთავრობა მუდმივად იყიდება, რომ პრიბლების გადაჭრა ქუჩაში ძალების ამოხოცვით უნდა დაიწყოს, ამას ვერასდოროს უშეველის. ძალი ქუჩაში პრიბლების სიმტკომია. მერიამ იმხელა თავშესაფარიც რომ ააშენოს, რომელიც 10 ან თუნდაც 20 ათას ძალის დაიტევს, ეს საკითხი მანც არ მო-

"მოითხოვთ ჩაბი ნიბნები ე მიიღობთ მათ"

დომინანტური პოპულარულისა და უმოწყვალო კომერციული კანონების ფონზე,
ხარისხიანი ლიტერატურის გადარჩენა მხოლოდ აქტიურ მკითხველს შეუძლია.

ნინო ჩიმაკაძე



■ დენიელ მენაკერი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მარტი 2010

ფოტო ლევან ჯაფარიშვილი

როდესაც ამერიკელი მწერალი და ჟურ-
ნალ „ნიუ იორკერის“ მხატვრული ლიტერა-
ტურის განყოფილების ყოფილი რედაქტორი
დენიელ მენაკერი 60-იან წლებში კარიერას
იწყებდა, ძნელდა თუ წარმოიდგენდა, რომ
ოდესმე მაღალმატვრული ლიტერატურის
მომავალს ეჭვვევს დაყენებდა: მეტიც, წიგ-
ნის ყოფნა-არყოფნაზეც კომუნიკაცია საუ-
ბარი. აპდარის, ფოლკლორის და სტერეოტიპის
ნაწარმოებზე გაზრდილი მენაკერი დღეს
სწორედ ამ თემებზე მსჯელობს.

„თანამედროვე ამერიკული ლიტერატუ-
რა“ – ასეთი სახელწოდება პქნდა ერთსა-
ათიან ლექციას, რომელიც საქართველოში
ამერიკის საელჩოს მოწვევით ჩამოსულმა
მენაკერმა 17 მარტს თბილისის სახელმწი-
ფო უნივერსიტეტში ჩაატარა.

რა შედი ელი მაღალმატვრულ ლიტე-
რატურას მასობრივი კომერციული ხარმო-
ების პირობებში და როგორი იქნება წიგნის
ფუნქცია ინტერნეტის ეპოქაში? – ეს კო-
სისტემა სინამდებლეში ძალიან ძველია. მე-
ნაკერი საკუთარ „3 ეკრანის თეორიას“ აყა-
ლიბებს და ლაპარაკობს იმ სამ ისტორიულ
წიგნაციაზე, რომლებმაც წიგნის გაქრობის

■ „ინტერნეტი ერთდროულად
წყევლაცაა და წყალობაც.
ის ანადგურებს კულტურას,
მაგრამ ამავდროულად მას
მუდმივად ხელმისაწვდომს
ხდის“.

საფრთხე კაცობრიობის ისტორიის მანძილ-
ზე რამდენჯერმე წამოქრა.

მენაკერის თქმით, პირველი „საფრთხე“
კინოერანი იყო, შემდეგ – ტელეერანი, მე-
სამე ეკრანი კი კომპიუტერის მონიტორი და
ინტერნეტი გახდა მწერალი ფაქტობს, რომ
წიგნზე ყველაზე დიდი გავლენა სწორედ
კომპიუტერის ეკრანს აქვს და ეს გავლენა
დღითი დღე უფრო თვალსაჩინო ხდება.

თუმცა, მენაკერი წეოფობების კატეგო-
რიას არ განეკუთვნება და ახალი გამოწვე-
ვების მისაღებადაც მზადა. ფიქრობს, რომ
სიახლეების ერთმნიშვნელოვნად დადგები-
თად ან უარყოფითად აღქმა არასწორია და

ამ შემთხვევაშიც, ის, თუ როგორ გამოვიყე-
ნებთ ამ „მესამე ეკრანს“, მხოლოდ ჩვენზეა
დამოკიდებული: „ინტერნეტი ერთდროუ-
ლად წყევლაცაა და წყალობაც. ის ანადგუ-
რებს კულტურას, მაგრამ ამავდროულად
მას მუდმივად ხელმისაწვდომს ხდის“, – აღ-
ნიშნავს მენაკერი.

მწერლის აზრით, დღეს ძალიან რთულია
კულტურის ცენტრალიზება და გამორჩეუ-
ლი, ხელუხლებელი ფიგურების შექმნა.
გვეყოლება თუ არა კვლავ ფოლკერი ან
თუნდაც ელის პრესლი? შესაძლებელია
ასეთი გამოკვეთილი ფიგურების არსებო-
ბა ინტერნეტის ეპოქში? – კითხვას სვამს
ის. და მართლაც ძნელია, სკოპტიკურად არ
შეხედო ამ საკითხს, როცა თითქმის ყოველ-
დღე ინტერნეტით ახალი „ვარსკელავის“
თუ მწერლის დაბადების თანამონაბილები
ეზდებით.

მას შემდეგ, რაც მენაკერმა თანამედროვე
ლიტერატურის ეკელექტურობასა და დეცენ-
ტრალიზაციაზე ილაპირაკა, დარბაზიდან
მას საუკეთესო თანამედროვე მწერლების
ტოპ-ათეულის დასახელება მოსთხოვეს.
მწერალმა ღიმილით აღნიშნა, რომ დღეს
ყველას თავისი ტოპ-ათეული ჰყავს, ასეთ
რეტრინგებს კი ძირითადად გაყიდვების მა-
ჩვენებლებით ადგენენ.

ლექციის მეორე საკითხი სწორედ ლი-
ტერატურის კომერციალიზაცია იყო. მე-
ნაკერის თქმით, თუ ადრე გამომცემლები
აქცენტს სანარმოების ორიგინალურობასა
და მხატვრულ ღირებულებაზე აკეთებდნენ,
დღეს იმას ბეჭდავენ, რაც, სავარაუდოდ,
დიდ შემოსავალს მოიტანს.

მაღალმატვრული ლიტერატურის გა-
დარჩენის ერთადერთ გზად მენაკერი
აქტივური მკითხველის არსებობას მიიჩინებს.
მხოლოდ მეოთხელის აქტიურობით შეიძ-
ლება, „და ვინჩის კოდისა“ და „ჰამი-
ტორის“ წარმატების პარალელურად, მაღალ-
მატვრულმა ლიტერატურამაც
შეინარჩუნოს როლი და ასეთი ტიპის ტექს-
ტები გლობალურმა კომერციულმა კანონე-
ბმა საპოლიტიკური არ შთანთქს. █

პირების სახეობი "პიპ-პოპის პინსი"

საფრანგეთის პრეზიდენტის ვაჟი იმ რეპერის პროდიუსერია, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენლებსა და პოლიციას დაუნდობლად დასცინის.

დავით ბუხრიკიძე

მოკლედ და ოდნავ სარკასატულად: სარკოზების ოჯახს ახალი ვარსკვლავი შეემატა. საფრანგეთის პრეზიდენტის მეუღლის, კარლა ბრუნის სამოდელო თავგადასავლებისა და ვოკალური კარიერის შემდეგ საფრანგეთში დიდი ინტერესი და არანაკლები მხიარულება გამოიწვა შოუბიზნესში ნიკოლა სარკოზის ვაჟის, პიერ სარკოზის გამოჩენამ. პრეზიდენტის უფროსი ვაჟი, 24 წლის პროდიუსერი პიერ სარკოზი, ერთ-ერთ ვიდეოკლიპში გადაიღეს. პიერი მუსიკალურ პულტს უცნაურად ამაყი და თვითმაყიფილი ღიმილით უზის. მისი მწვანე პალსტუხი და წითელი ჟილეტი კი, ეკრანზე გამოჩენილ წარწერასთან ერთად – „ჰიპ-ჰოპის პრინცი“, მხოლოდ ამძაფრებს მაყურებლის ირონიას.

პიერ სარკოზი საფრანგეთში კარგად ცნობილი მუსიკოსისა და მომღერლის ლასლო ჯონსის პროდიუსერიცაა და მის ვიდეო-რგოლშიც მონაწილეობს. კლიპში ბრიონლინით გაპოხილი, სულელურად მომლიმარი და მასიური ოქროს სამკაულით მოსილი პიერ სარკოზი ფრანგებითვის ბოლო თვეების განმავლობაში დაცინვისა და ერთგვარი

სტილის – ბლინგ-ბლინგ-ის სიმბოლოდ იქცა.

ეს სიტყვა თავიდან რეპერების ჩაცმის სტილის აღსანიშნავად გამოიყენებოდა, ვისთვისაც დამახასიათებელია ჭრელა-ჭრულა სამოსი, სამკაული და ოქრო. თუმცა ნიკოლა სარკოზის გაპრეზიდენტების შემდეგ ამ სიტყვამ უფრო განზოგადებული შინაარსა შეიძინა და დღეს გადაჭარბებულ სანახაობას, ხაზგასმულ, უგემოვნონ სიმდიდრეს უფრო ნიშნავს.იახტების, ოქროს საათებისა და საერთოდ, ფუფუნებისადმი მიღრებილების გამო, ფრანგებმა საკუთარ პრეზიდენტს სწორედ „ბლინგ-ბლინგ პრეზიდენტი“ შეარქვეს.

კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ უძრონი სარკოზის მუსიკალური პროტესტი „მამის წინააღმდეგ მიმართული სტიქიური გამოვლინება“. სინამდვილეში კი ეს შეფასებები მხოლოდ ანტიბურუუაზიული მითოლოგიაა და პიერ სარკოზი უბრალოდ შემოქმედებითად ერთობა. მუსიკალური პროდიუსერის კარიერა მან რამდენიმე წლის წინ „მოზეს“ ფსევდონიმით დაინყო, თუმცა ახალ კლიპში მისმა გამოჩენაშ საიდუმლოს ფარდა ახადა და ფსევდონიმის უკან ამიტარებამაც აზრი დაკარგა. მოკლედ, რა „უცნობიცაა“ ჩვენთვის გაჩერილაქ, ის „მოზეა“ ფრანგებისთვის პიერ სარკოზი... იმ განსხვავებით, რომ პირველ ცოტა დაკალდა პრეზიდენტის ძმა გამდარიყო, მეორე კი, დიდი ხანია, პრეზიდენტის შვილია.

როგორც ამბობენ, პიერ სარკოზის მიერ დაფინანსებული ჰიპ-ჰოპის ჯგუფი და მომღერალი ლასლო ჯონსი საფრანგეთის პროგნოციებში დიდი პოპულარობით სარგებლობს; მით უმეტეს, რომ ფრანგული რეპი მძაფრი სოციალურობით და პოლიტიკურობით გამოირჩევა, რასაც ემიგრაციის მწვავე პრობლემებიც ემატება. რეპ-ჯგუფი სიმღერების ტექსტებში ხელსუფლების წარმომადგენლებს, პოლიციას და საზოგადოებისათვის ცნობილ ადამიანებს დაუნდობლად დასცინის.

როგორც უურნალისტი და მუსიკის კრიტიკოსი ოლივიე კაშანი წერს, „პიერ

სარკოზი ფრანგულ რეპში არა თავისი სახელით, არამედ მოზეს ფსევდონიმით დამკიდრდა; რადგან იცოდა, რომ მისი შემოქმედებით კი არა, მამის გვარით შეაფასებდნენ. ამ ერთი შეხედვით, სოციალურ ვოდევილში არსებითი ისაა, რომ უნებლიერ პიერ სარკოზი მართლაც დამოუკიდებელი მუსიკს განვითარებას უწყობს ხელს. გარდა უშუალოდ პროდიუსერობისა, იგი მუსიკასაც წერს, თუმცა ხარისხს ამ შემთხვევაში ნაკლები მნიშვნელობა აქვს, მთავარი სარკოზის პიროვნეული და სოციალური გავლენაა, რაც თავად საფრანგეთის პრეზიდენტისათვისაც ლამის მიუღწეველი ფუფუნებაა“.

დავძინთ, რომ იუმორით (და ალბათ, ცოტა თვითირონითაც) პიერ სარკოზი ერთდღოულად თავისუფალი ხელოვანის, ნუვორინის, მუსიკალური პროდიუსერისა და „შურისმაძიებელი“ შვილის როლს თამაშის, საიდანაც „ბლინგ-ბლინგ პრეზიდენტობამდე“ ძალიან მცირე მანძილი რჩება. და თუ ეს თამაში, გარევეული მიზეზების გამო, საკმარისად ირონიულად არ აღიქმება, მოსაწყებ ბურუუაზიულ გასართობებს მაიც აშკარად სჯობს. მაგალითად, ჯობია თუნდაც მისი უმცროსი ძმის, უანის სერიოზულ ვნებას უგო ბოსის ნაცროსფერი კოსტიუმების მიმართ; ან ასევე უანის პოლიტიკურად ანონდანონილ, მაგრამ მოსაწყენ ცხოვრებას. ამბობენ, რომ ნიკოლა სარკოზის უცროსი ვაჟი, უან სარკოზი, პოლიტოლოგითაა სერიოზულად გატაცებული.

ლასლო ჯონსის ჯგუფის ახალი კომპოზიცია სახელწოდებით „ჩამტვირთე, უფასო ვარ“, კრიტიკად აღიქმება ჩამნერი სტუდიების მიმართ, რომლებიც მომღერლებისა და მუსიკალური ჯგუფების მუსიკას უფასოდ ქაჩავენ სხვადასხვა ვებგვერდებიდან და შემდეგ მათ უსარცხვილო კომპილაციას ავრცელებენ. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, პიერ სარკოზის თაყვანისმცემელი გოგონებისათვის ახალი კომპოზიციის სათაურს უფრო სხვა, თამამი მნიშვნელობა აქვს... ■



ყველაფრის ლენოსის შესახებ

სოფი ლორენის ახალი ავტობიოგრაფიული როლი

დავით ბუხრიკიძე



იტალიის სახელმწიფო ტელევიზიამ (RAI) კინომანებს სასიამოვნო სიურპრიზი მოუმზადა. ორსერიანი სატელევიზიო ფილმი, სახელმოდებით „ჩემი სახლი სარეკების ტყვეობაში“, მარტის ბოლოს გავა ეთერში და იგი სოფი ლორენის ახალგაზრდობის წლებზე მოგვითხრობს. იტალიური კინოს უდიდესი ვარსკვლავი ავტობიოგრაფიულ ფილმში თავისი დედის, რომილდა ვილანის როლს ასრულებს.

პუბლიკა დიდი ინტერესით ელის პრემიერას, რადგან, სოფი ლორენის გარდა, ფილმი სცენარის თანაავტორად მისი და მარია შიკოლონე გვევლინება (სოფი ლორენის ნამდვილი გვარი შიკოლონეა).

ფილმი სწორედ სოფის დის, მარიას მეუკრების მიხედვით არის გადაღებული და ორ პარალელურ ისტორიას მოგვითხრობს – დედის, რომელიც მეუღლის ძალადობრივი სიყვარულის მსხვერპლია, და რომელის როლსაც სოფი ლორენი ასრულებს, და ქალიშვილების, რომლებიც განსხვავებულად აღიქვამენ ოჯახურ დრამას. უფროსი სოფი (რომელსაც ახალგაზრდა, მაგრამ უკვე პასულარული იტალიელი მსახიობი მარგარეტ მადე თამაშობს) მამას, რიკარდო შიკოლონეს ეგოიზმსა და ოჯახურ ძალადობაში ადანაშაულებს; ხოლო უმცროსი – მარია დამნაშვედ დედას მიიჩნევს, რომელმაც მას რომან მუსოლინიზე დაკორნინება აიძულა და, ფაქტობრივად, ჯაზის მომღერლის კარიერა დაუწერა. ეს არის ავტობიოგრაფიული ფილმი, რომელიც ფსიქოანალიტიკული მოტივებისაც არის დატირთული. ქეთეტექსტში კი განუკვეტილი იყოთხება მსხვერპლშემირვისა და პასუხისმგებლობის თემები“, – აღნიშნავენ კინოკრიტიკოსები.

ფილმში „ჩემი სახლი სარეკების ტყვეობაში“, დედის როლისადმი გაორებული დამოკიდებულების მიხედვად, სოფი ლორენმა დაბურულ ჩვენებაზე, კინოსტუდია „ჩინეჩიტაში“ აღნიშნა, რომ არტისტულ კარიერას და, სართოდ, ყველაფერს, რასაც მან მიაღწია, უნდა უმაღლოდეს სწორედ დედას, რომელმაც ამინათვის ცველაფერი გააკეთა. ვარსკვლავმა კამერების წინ ცოტა იტირა კიდეც და აღნიშნა, რომ ბავშვისა არ დავიწყება და დედას ხატს სულის სილრმეში ატარებს. ფილმის ტელეპრემიერა RAI-ზე მარტის ბოლოს გაიმართება. სავარაუდოდ, მას ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ტელევიზიებიც უჩვენებენ.

გამოიცერეთ

ურნალი
„ლიბერალი“



ციბები

24 ნოემბრი (6 თვე)
60 ლარი

48 ნოემბრი (1 დეკემბერი)
120 ლარი

PDF ვარსია
24 ნოემბრი (6 თვე)
35 ლარი

48 ნოემბრი (1 დეკემბერი)
70 ლარი

ურნალის გამოსაწერად
დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:

23 37 31, (899) 48 62 41

ან მოგვაწოდეთ თქვენი
საკონტაქტო ინფორმაცია

ელ-ფოსტით: info@liberali.ge

სამარშრუტო საწილები



სირცხვილია სამარშრუტო ხაზების და მანქანების მფლობელების დამოკიდებულება საკუთარი მოქალაქეებისადმი. ისინი, ფულის შემოტანის გარდა, არაფერს სთხოვენ დაქირავებულ მძღოლებს.

კახა თოლორდავა

ჩემი მარჯვენა ხელი შავთმიანი ქალის ბარძაყზე დევს. მართალია, შემთხვევით მომიხვდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო, მგონი, თვითონაც მიხვდა და გაგებით გამიღიმა (ბოლოს და ბოლოს მე ხომ მას ადგილი დავუთმე, როდესაც მძღოლმა ნახირივით ამორეკა მგზავრების შემდეგი, ფეხზე დასადგომად განწირული ულფა მანქანაში?). წინააღმდეგ შემთხვევაში, კიდევ უფრო ნინ უნდა გადავხრილიყავი და ხელი შუმაზე მიმდევ. ასე რომ მექანა, მის გახურებულ სუნთქვას აღბათ სადაც მარცხენა ყურის მიდამოებში ვიგრძნობდი, ეს კი ნამდვილად ზედმეტი იქნებოდა... პერიოდულად, ვიდრე მეორე, დიდსაყურებიანი ქალბატონი, ჩემსა და შავთმიან ქალბატონს შორის ცდილობს გაძრომას, მე უკან ვიხერები (ამ დროს კარგა მაგრად ვაწვები ხელით შევთმიანის ბარძაყს, უკან გადაქანებისათვის საყმარისი გაქანება რომ ავილო) და სულ რამდენიმე წამით ორივე თეძოზე ვადებ ხელებს დიდსაყურებიან ქალბატონს, თან ვცდილობ, მხრით ვაგრძნობინო ჩემ გვერდზე მდგარ გაუპარსავ მამაკაცს, რომ თუ შესაძლებელია, კიდევ უფრო გაინიოს გვერდზე. მისი ერთი ხელი მანქანის ჭრზეა აკრული, მეორეს კი უმისამართოდ აფათურებს რაიმე მყარი საყრდენის დასაქებნად, როგორც იქნა, პოულობს ვიღაც ახალგაზრდა მამაკაცის სახეს და მთელი ძალით აწვება მას. ამასობაში დიდსაყურებიანი ქალბატონი როგორლაც უძვრება ჩემს ხელებს და ინტერესით იყურება უკან იმის გასარკვევად, თუ ვის ხელში გაატარა რა უკანასკნელი რამდენიმე წამი. მერე ჩემი მარჯვენა ხელი კი ისევ იმ შავთმიანი ქალბატონის ბარძაყზე ბრუნდება. ის კვლავ გაგებით მიღიმის. არაფერი სერიოზული არ ხდება, ასეთია ყოველდღიური სექსი თბილისის სამარშრუტო ტაქ-სებში და ამით მოქალაქეების დიდი ნანილია დაკავებული....

გავაგრძელებ... სამარშრუტო ტაქსი ლამის პროსპექტის შეუგულშია გაჩერებული. უკინდან მანქანები გვეპინებენ. ჩემს მძღოლს ეს ნაკლებად ანალვლებს, რადგანაც, ჩამსვლელების გარდა, ქუჩის კუთხეში ამომსვლელებიც დგანან; ორი ადამიანი ე.ი ლარი, თუმცა სრულიად გაუგებარია, თუ როგორ უნდა ჩაეტიონ ისინი მანქანაში. კაბინში რაღაც სრულიად შეურაცხმყოფელი რუსული სიმღერა უკრავს ძალან ხმაბლა. „ჩავინიოთ, ამომსვლელები გავატაროთ!“ – ხმაბალლა იძლევა ბრძანებებს მძღოლი. მან ნამდვილად არ იცის, რომ სულ რაღაც ორიოდე წუთის სიცოცხლედა დარჩენია, მთავარია იმ შავთმიანი ქალბატონის ბარძაყიდან ხელის აღება მოვახერხო და გასასვლელისკენ წავინიო, მერე მე ვიცი...“

ყველაფერი ამის შემდეგ მოკლედ ვიტყვი: სექსუალუ-



თბილისის სამარშრუტო ტაქსი, 2010

რი სიამოგზების მიღებისთვის ყველა პირობის მიუხედავად, თბილისური სამარშრუტო ტაქსები თბილისის სირცხვილია! სირცხვილია მათ გასაჩერებლად ხელის აწევაც კი, სირცხვილია კარის გამოლება და კაბინაში შეძრომა, სირცხვილია თავისუფალი ადგილისკენ წელში მოხრილად ხოხვა, სირცხვილია (თუ ადგილი არა) წელში მოხრილი ფეხზე დგომა, სირცხვილია არავინ ხმას რომ არ ვიღებთ და არავინ პროტესტს არ გამოვთქვამთ, სირცხვილია მუსიკალური რეპერტუარი სამარშრუტო ტაქსებში, სირცხვილია გაუპარსავი, ხელდაუბანელი და პირში სიგარეტ-გაჩრილი მძღოლები (არ დამიწყოს ახლა ვინმემ, – უჭირთ და ვერ იბანენო!) სირცხვილია სამარშრუტო ხაზების და მანქანების მფლობელების დამოკიდებულება საკუთარი მოქალაქეებისადმი. ისინი, ფულის შემოტანის გარდა, არაფერს სთხოვენ დაქირავებულ მძღოლებს; სირცხვილია „ბორჯომის“ პლასტმასის ბოთლებით დამაგრებული სამარშრუტო ფირნიშები, სირცხვილია სუნი და ჭუჭყი მანქანებში, სირცხვილია ზედმეტი 50 თერიოსთვის ჩადგმული მოუხერხებელი, ზედმეტი სკამები, სირცხვილია მანქანების გაუმართაობა, სირცხვილია მათი ჩაჭყლეტილობა და გაურეცხაობა, სირცხვილია, რომ არავის რცხვენია სამარშრუტო მანქანებში ჩაჯდომის... მე მოვრჩი!


სამარშრუტო ტაქსში ჯდომისას თბილისელებს ანიტა რაჭელიშვილის ლა სკალაში წარმატება არ უხარით, არც თბილისელობა უხარითა... ■



რადიო „ნაცობი“ გეპატიურათ კლუბი „ნაცობი“

- ტრადიციული ქართული სამზარეულო
- ცოცხალი მუსიკა





WWW.LIBERALI.GE
